პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
პარასკევი
23 იანვარი
№ 18-19 (17961)
ფასი 4 კაპ.

გუშინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ

დელეგატებმა მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში.

ყრილობა მუშაობას განაგრძობს.



თბილისი. 1981 წლის 22 იანვარი. საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა.

გ. კიკვაძისა და ს. ედიშერაშვილის ფოტო. (საინფორმის ფოტოქრონიკა).

ოქტომბრით გაცისკროვნებული გზა

გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა

დროა საქმეთა და მიღწევათა საწყაო. დროს აღვნუსხავთ იმ ნაკვალევით, რომელსაც იგი ჩვენს ცხოვრებაში ტოვებს. მაგრამ არის მოვლენები, რომელთა მონაწილეებისთვისაც უაღრესად საჭირო ხდება წარმოაჩინონ თავიანთ მისწრაფებათა მთავარი, განსაზღვრელი ნიშნები, შეაჯამონ, თუ რამდენად იხმიანება ისინი დროის ხულიანკეთებას... სწორედ ასეთი მოვლენა აქვთ ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს — 1981 წლის 22 იანვარს მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობამ.

საჭიროა წინსვლა, გვახსოვდეს დიდი ლენინი, საჭიროა წინ ვიხედებოდეთ, საჭიროა ყრილობაზე მოვიტანოთ საბუთრნი მშენებლობის კარგად მოფიქრებული და ყურადღებით, პარტიის ყველა წევრის საერთო შრომით, საერთო ძალ-ღონით გადამუშავებული პრაქტიკული გამოცდილება. მტკიცედ ასრულებენ რა ლენინის ამ ბრძანებულ განაწესს, რესპუბლიკის კომუნისტები თავიანთ ყრილობაზე მოვიდნენ ბრძოლისა და შრომის საყურადღებო გამოცდილებით, აღმშენებლობის გამოცდილებით, პარტიის დიდებულ წინასწარდასახულობათა, სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისადმი შემოქმედებითი მიდგომის გამოცდილებით გამდიდრებული.

„არის ხუთწლედი!" — საქართველოს მშრომელთა ეს პატაკი გაისმა ეფექტანობისა და ხარისხის ხუთწლედის დამამთავრებელი, გამარჯვების წლის ჯერ კიდევ ნოემბრის დამლეგს. მან გამოხატა რესპუბლიკის გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი შესანიშნავი სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომა. იგი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების მიზანმიმართული ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის შედეგია.

ეს ბრწყინვალე გამარჯვება საქართველოს მშრომელებს მხურვალედ და გულითადად მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ძვირფასი ლეონიდ ილიას ძის მისალმების გულთბილმა, აღმფრთოვანებელმა სიტყვებმა რესპუბლიკაში გამოიწვია უდიდესი შრომითი ენთუზიაზმისა და შთაგონების მძლავრი ტალღა ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, რომლებიც დასახავენ კომუნისტური აღმშენებლობის გზით ჩვენი წინსვლის ახალ მაღალ მიჯნებს.

და აი, ახლა, თავიანთ უმაღლეს ფორუმზე შეკრებილი საქართველოს კომუნისტები სიამაყით უპატაკებენ სამშობლოს გაწეულ მუშაობას, სახავენ მომავლის მიზნებს. ისინი, ეს პერსპექტივები, საუკეთესოდ არის გაშუქებული პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტში „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებებში". ამ საპროგრამო დოკუმენტის ყოველი სტრიქონი, რომელიც განმსჭვალულია ზრუნვით ადამიანისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებისათვის, ეწვევა კანონიერი სიამაყის გრძნობას, მისწრაფებას — დღეს ვიმუშაოთ გუშინდელზე უკეთ, ხვალ კი დღევანდელზე უკეთ.

სწორედ ასეთი სიბრძოლო განწყობით მოვიდნენ 22 იანვარს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში რესპუბლიკის კომუნისტთა მრავალათასიანი არმიის წარმომადგენლები თავიანთ XXVI ყრილობაზე.

... დილის 9 საათია. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ირჩევენ ყრილობის ხელმძღვანელ ორგანოებს.

ყრილობის პრეზიდიუმის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები გ. გ. აბაშიძე, ი. ბ. აბაშიძე, ვ. პ. აბრამიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, შ. ა. ანანიაშვილი, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ვ. ბ. აფაქიძე, ვ. ნ. ბაზოვსკი, ა. ვ. ბარბაქაძე, შ. ზ. ბერიანიძე, ე. ი. ბოროდინი, ე. ი. ბუბაევი, გ. დ. გაბუნია, ბ. პ. გამცემლიძე, ი. ბ. გვერდწითელი, გ. ი. გვეტაძე, კ. ბ. გილაშვილი, ვ. პ. გიორგაძე, რ. ვ. გიორგაძე, დ. ვ. გუშგაძე, დ. ნ. დვალიშვილი, ნ. ვ. დუშგაძე, ბ. ნ. ენუქიძე, შ. ვ. ეცადაშვილი, ვ. ი. ვადაჭკორია, ლ. ბ. ვარდოსანიძე, ო. ბ. ვარძელაშვილი, ა. ვ. ვიჭტორაკი, ლ. ლ. ზაქაიძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, რ. ნ. თევზაძე, ი. ტ. თოდუა, პ. შ. თორდია, ო. ვ. ივანაშვილი, უ. ა. ივანიაშვილი, თ. შ. ივიდაძე, ა. ნ. ინაური, თ. შ. კაბულოვა, ა. ბ. კარანაძე, ა. ტ. კარაპეტოვი, ა. ა. კობაძიძე, ბ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, ბ. ნ. კურტანიძე, დ. ვ. ლომაძე, ნ. ი. მაკაროვი, ბ. დ. მგელაძე, ვ. ა. მეფხრიშვილი, ო. ვ. მელქაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ბ. ზ. მირიანაშვილი, ა. ვ. მისა-

(დასასრული მე-10 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება 1981 წლის 22 იანვარს

ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობა მუშაობას შეუდგა. ლენინური ტრადიციის შესაბამისად, ყრილობა — რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის უმაღლესი კოლექტიური ორგანო — შეაჯამებს განვლილი ხუთწლეულის შედეგებს და განსაზღვრავს საქართველოს კომპარტიის მომავალ, XXVII ყრილობამდე, მეთერთმეტე ხუთწლედის, მთლიანად 80-იანი წლების მოქმედების პროგრამას.

ჩვენი ყრილობა შეიკრიბა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენის — დიდი ლენინის პარტიის XXVI ყრილობის წინახანებში, ყრილობისა, რომელიც დასახავს კომუნისტური მშენებლობის ახალ ჰორიზონტებს.

პარტიის XXV და XXVI ყრილობებს შუა პერიოდი ახალი, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მთელი საბჭოთა ქვეყნის, საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის ცხოვრებაში.

გასულ ხუთწლეულში, 70-იანი წლების მეორე ნახევარში, საბჭოთა ხალხმა და მისმა კომუნისტურმა პარტიამ, დაამთავრეს რა განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, როგორც ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, მიიღეს შესაძლებლობა გადასულიყვნენ კომუნიზმის უშუალო მშენებლობაზე.

70-იანი წლები, მეათე ხუთწლედი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ისტორიაში: წინათ არასოდეს არ გვქონია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ისეთი გაქანება და მასშტაბი, როგორც გასულ ხუთწლეულში, წინათ არასოდეს არ მიგვიღწევია მშრომელთა მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის გაუმჯობესების ისეთი მწვერვალებისათვის, როგორც მეათე ხუთწლედში. ამის მტკიცებულება — ბრეჟნევის ანგარიში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის შვიდი გარდამავალი წითელი დროშა. მეათე ხუთწლედს ხატოვნად შეიძლება ვუწოდოთ „საბჭოთა საქართველოს წითელდროშოვანი ხუთწლედი". მისი ღირსეული ფინალი გახდა რესპუბლიკის მიერ საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე — 20 ნოემბრისათვის — შესრულება.

ცენტრალური კომიტეტი ყრილობას მოახსენებს, რომ საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ მთლიანად შეასრულა ამოცანა, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ ჩვენს რესპუბლიკას დაუსახა.

ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ 70-იანი წლების მეორე ნახევარი შეიძლება მივიჩნიოთ რესპუბლიკაში იმ დადებითი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივ-ფსიქოლოგიური პროცესების საბოლოო და შეუქცევად დამკვიდრებაზე გადასვლად, რომლებიც დაიწყო პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შემდეგ.

70-იანი წლები უკვე ისტორიაა, მაგრამ ისინი ეკუთვნის თანამედროვეობასაც და მომავლსაც, რადგან სწორედ ამ წლებმა ჩაუყარეს ქვაკუთხედი, მტკიცე საძირკველი საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთო-ეკონომიკური განვითარების გარკვეული ჩამორჩენის გადალახვის და შექმნეს 80-იან წლებში მისი საბოლოოდ დაძლევის საიმედო წანამძღვრები.

ყველა ჩვენი წარმატება შედეგია პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ლენინური ზრუნვისა საქართველოსთვის, საქართველოს პარტორგანიზაციისათვის, რესპუბლიკის მშრომელებისათვის.

საქართველოს მშრომელებს მიაჩნიათ, რომ სწორედ ამით ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ღირსეულად განაგრძობს მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, საბჭოთის ყველა ერისა და ეროვნებისათვის ზრუნვის ლენინურ ტრადიციებს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით იყო მიღებული ფუნდამენტური დადგენილებანი საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების, საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ, აფხაზეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების შესახებ, რომლებმაც 70-იან წლებში ისტორიული როლი შეასრულეს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავების საქმეში. რესპუბლიკის ეკონომიკისათვის საეტაპო სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი მარნეულის ბიმბე და უნიკალური ჩარხსაშენებელი ქარხნის მშენებლობის, ქუთაისის სერგო ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ძირეული რეკონსტრუქციის, ქ. ქუთაისში სასოფლო-სამეურნეო საშუალთა მცირე მექანიზაციის საშუალებათა საწარმოო სიმძლავრეების შექმნის შესახებ და სხვა პარტიული, სახელმწიფო დოკუმენტები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყოველი პლენუმისა და ყოველი პარტიული აქტივის მუშაობას ახალ შინაარსს მატებდა ლეონიდ ილიას ძის რჩევა-დარიგებანი, მასთან საუბრები და შეხვედრები. მისი მითითებები და დებულებები კომუნისტებსა და მშრომელებს რაზმავდნენ ახალი შრომითი გმირობისათვის. ლ. ი. ბრეჟნევს სისტემატურად აინტერესებდა საქმის ვითარება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, განსაკუთრებით კაპიტალურ მშენებლობაში.

უდიდესი ორგანიზატორული ნიჭი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ესოდენ დეტალურად, საქმიანად სწვდებოდეს მსოფლიოს უდიდესი ქვეყნის ყველა დიდ და პატარა საქმეს.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, კომუნისტური მშენებლობის გამოჩენილი ორგანიზატორისა და თეორეტიკოსის მუშაობის სტილი, ჭეშმარიტად ლენინური სტილი, მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული ძალისა და კომუნისტური აღმშენებლობის მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების შენადნობია. მუშაობის ამ სტილს სწავლობენ ლეონიდ ილიას ძისაგან ჩვენი პარტიული ორგანიზაცია, თითოეული კომუნისტი და თითოეული ხელმძღვანელი.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა მხურვალედ მიესალმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით და მთელი ხალხის სახელით სულითა და გულით უღრნის მადლობას, რომ ლენინურად ზრუნავს ჩვენი რესპუბლიკისათვის, ტიტანურ მუშაობას ეწევა ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ასაშენებლად, მადლობას უძღვნის ლენინური საშინაო და საგარეო პოლიტიკისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის!

ამხანაგებო!

დელეგატებს ახსოვთ, რომ საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებისა და მთელი ყრილობის მუშაობის ყურადღების ცენტრში იყო ადამიანი, კომუნისტი. ცენტრალური კომიტეტი ვარაუდობს, რომ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა ჩაიკლის **დემოკრატიის შემდგომი განვითარების, დისციპლინის განმტკიცებისა და ამ საფუძველზე მასების აღმშენებლობითი აქტიურობის გაძლიერების** დევიზით, ორ ყრილობას შორის ღრმა ლოგიკური ურთიერთკავშირია. დემოკრატია, დისციპლინა და აქტიურობა

(გაგრძელება მე-2 გვ.).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

თვითმიზანი არ არის. ეს სოციალური კატეგორიები უწინარეს ყოვლისა ემსახურება ადამიანს, საზოგადოებას. ამის მკაფიო დადასტურებაა საყოველთაო-სახალხო განხილვა პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტისა „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი“, რომელიც სოციალისტური დემოკრატიის ახალ ზეიმად გადაიქცა.

დემოკრატიული ცენტრალიზმისა და შინაპარტიული დემოკრატიის განვითარების პრობლემებს ჩვენ განვიხილავთ ლ. ი. ბრეჟნევის იმ ცნობილი დებულების თვალსაზრისით, რომ „...ჩვენი განვითარებული სოციალიზმის საზოგადოება განვითარებული სოციალისტური დემოკრატიული საზოგადოებაც გახდა. **მომწიფებული სოციალიზმის ეტაპზე, საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში ქვეყნის ცხოვრების მართვაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა მტკიცედ დამკვიდრდა, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების ცენტრალური მიმართულება**“.'

ჩვენი ყრილობა მთელი ჩვენი პარტორგანიზაციის სულისკვეთების: მისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული ღირებულებების, მუშაობის სტილისა და მეთოდების, რევოლუციური წრთობისა და ორგანიზებულობის, მისი ღრმა დემოკრატიზმის კონცენტრირებული გამოხატულებაა. ამიტ არის ნაკარნახევი წინადადება **ყრილობაზე შეგვექმნა 15 სამუშაო ჯგუფი** პარტიული მშენებლობის, ეკონომიკისა და კულტურისადმი ხელმძღვანელობის ძირეულ საკითხებზე რეკომენდაციათა განსახილველად და შესამუშავებლად. ეს ჯგუფები ყრილობის მუშაობის დამთავრების შემდეგ გარდაიქმნება მუდმივ სამუშაო კომისიებად და საქმიანობას განაგრძობენ პარტიის XXVII ყრილობამდე.

ამრიგად, იქმნება შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომი განვითარების კიდევ ერთი მწყობრი სისტემა, რომელიც ეხება პარტიული მუშაობის, ყრილობის ჩატარების როგორც ფორმას, ისე შინაარსს. იგი ცხოვრებამ წარმოშვა და ნაკარნახევია პრაქტიკით, განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიული მუშაობის სრულყოფის აუცილებლობით.

ჩვენი ყრილობა, რომელიც რეტროსპექტულად ავლებს თვალს 70-იან წლებს, მთლიანად მიმართულია მომავლისაკენ, XX საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლებისაკენ. **მომავალი ჩვენი ყრილობის მთავარი დელეგატია.**

I.

საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაჩქარებისათვის და მეთერთმეტე ხუთწლედსა და თვალსაწიერ მომავალში ამ მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანები

1. უზრუნველვყოთ რესპუბლიკის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის ინტენსიური ზრდა

ამხანაგებო!

იმასთან დაკავშირებით, რომ ყრილობა ჭოისმენს მინისტრთა საბჭოს ვრცელ მოხსენებას სახალხო მეურნეობის განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედის ძირითად მიმართულებათა პროექტის შესახებ, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მთავარი ყურადღება დაეთმობა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისადმი ხელმძღვანელობის სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირითად საკითხებს.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების დონის გათანაბრების შეფასების თავად კრიტერიუმად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22 ივნისის დადგენილებაში მიჩნეულია ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის მოცულობის მაჩვენებლები ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით.

70-იანი წლების მანძილზე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დიდი თვისებრივი ძვრები მოხდა. მარტო ხუთწლედის მანძილზე ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 42 პროცენტით და მეტად გაიზარდა და დაახლოებით 16 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი 43 პროცენტით გაიზარდა და 1980 წელს 7,3 მილიარდი მანეთი შეადგინა.

მეათე ხუთწლედის ოთხ წელიწადში ყველა საწარმოო ფონდის განახლების კოეფიციენტმა შეადგინა 28 პროცენტი. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 86 პროცენტი და სამრეწველო პროდუქციის მატების 74 პროცენტი. ამის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე წარმოების საერთო-საკავშირო მოცულობებთან შედარებით რესპუბლიკის სამრეწველო მარტო მეათე ხუთწლედის წლებში, წინასწარი მონაცემებით, შემცირდა: ეროვნული შემოსავლისა — 14, სამრეწველო პროდუქციისა — 9 და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 8 პროცენტული პუნქტით.

ეს რესპუბლიკის კომპარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია საანგარიშო პერიოდში.

70-იან წლებში განმტკიცდა საერთო-საკავშირო ეკონომიკურ პოტენციალში ჩვენი წვლილის თანამიმდევრული გადიდების ტენდენცია.

მეთერთმეტე ხუთწლედში ეფექტიანობის ამაღლებასა და საერთო ეკონომიკურ პროპორციათა სრულყოფას ისიც ასახავს, რომ მკვიდრდება ტენდენცია, როცა რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი სჭარბობს მოხმარებულს.

საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და მოხმარებული ეროვნული შემოსავლის ასეთი თანაფარდობის ტენდენცია, რომელიც ეყრდნობა სრულიად საკავშირო ეკონომიკურ პოტენციალში რესპუბლიკის მზარდ წილს და გაფართოებული კვლავწარმოების კანონების შემდგომ განხორციელებას, დადებითად უნდა მივიჩნიოთ, **ეს ტენდენცია პირველად საქართველოს ისტორიაში 70-იან წლებში ჩამოყალიბდა და ასახავს სახალხო მეურნეობაში მომხდარ მნიშვნელოვან ძვრებს.**

ეროვნული შემოსავლის წარმოების გადიდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საერთო-ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. 1981-1985 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზრდება 25 პროცენტით, მეთორმეტე ხუთწლედში — 28 პროცენტით და მთლიანად 1981-1990 წლებში — 1,6-ჯერ.

მომავალი ათწლეული უნდა გახდეს ეკონომიკური განვითარების ძირითადი განმაზოგადებელი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით საქართველოს სს რესპუბლიკის გარკვეული ჩამორჩენის დაძლევის კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის დამამთავრებელი ეტაპი.

ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ფაქტობრივი მოცულობა 1985 წელს მიაღწევს 21 მილიარდ მანეთზე მეტს, ხოლო 1990 წელს — 28 მილიარდ მანეთს. რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებული ეროვნული შემოსავალი 1985 წელს — თითქმის 10 მილიარდ მანეთს, ხოლო 1990 წელს — 13 მილიარდ მანეთს.

80-იან წლებში გათვალისწინებულია დაგროვების ფონდის უპირატესი ზრდა მოხმარების ფონდთან შედარებით, რასაც განაპირობებს სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მნიშვნელოვანი ჩამორჩენის დაძლევის აუცილებლობა.

საჭიროდ მიმაჩნია ყრილობას მოვახსენო, რომ მეთერთმეტე და მეთორმეტე ხუთწლედებს, ისევე როგორც მეცხრესა და მეათეს, ჩვენს რესპუბლიკაში მისი ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, თავიანთი სპეციფიკა, თავიანთი თავისებურებანი ახასიათებს.

შემცირების ტენდენციის დამკვიდრების მიუხედავად სხვაობა რესპუბლიკისა და საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს შორის, რომლებიც ასახავს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული განვითარების დონეს, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია და საქართველოს სსრ ჩამორჩენა ამ მაჩვენებლებით საშუალოდ შეადგენს 15 პროცენტს.

მინიმუმამდე შევამციროთ აღნიშნული სხვაობა, ცალკეული მაჩვენებლებით კი გადავაჭარბოთ საშუალო საკავშირო დონეს — ეს კი ტრადიციული გახდა ჩვენი რესპუბლიკისათვის, — ასეთია მომავალ ათწლეულში საწარმოო ძალების განვითარების საკვანძო საკითხი.

უნდა მოვთხოვოთ პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სამინისტროებს, უწყებებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ ეკონომიკას, ეძებონ და გამონახონ ეროვნული საზოგადოებრივი პროდუქტისა და ეროვნული შემოსავლის წარმოების ზრდის რეზერვები თითოეული ქალაქისა და რაიონის მასშტაბით.

2. მეათე ხუთწლედში მრეწველობის განვითარების ძირითადი შედეგები, საბჭოთა საქართველოს ინდუსტრიული განვითარების მეთერთმეტე ხუთწლედისა და თვალსაწიერი მომავლის პროგრამა

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყრილობას მოახსენებს, რომ რესპუბლიკის სამრეწველო წარმოების მოცულობა, როგორც ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, ხუთწლედის მანძილზე 41 პროცენტით გაიზარდა, მიღწეულია სანუკვარი მიჯნა!

ამით პირნათლად შეასრულეთ სკკპ XXV ყრილობისათვის მიცემული პირობა.

ეს დიდი გამარჯვებაა, ამხანაგებო!

წარმოების ზრდის გეგმები წარმატებით შეასრულეს ქ. თბილისმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ, ქალაქებმა: ქუთაისმა, ჭიათურამ, ტყიბულმა, ზუგდიდმა, წყალტუბომ, ლაგოდეხის, მარნეულის, მახარაძის, სამტრედიის, სიღნაღის, თელავის, ხაშურისა და სხვა რაიონებმა და ქალაქებმა, მეტმა წილმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა.

ბევრმა შრომითმა კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მეათე ხუთწლედის დავალებანი, რითაც მყარი საფუძველი შეუქმნა მომდინარე წლის წარმატებულ სტარტს. ეს არის საწარმოო გაერთიანება „საქნავთობის“, ჭიათურის მანგანუმის სამთამადნო კომბინატის, საქართველოს სამთო-ქიმიური მრეწველობის საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, „მოონის“ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და მისი ქარხნის და ბევრი სხვა კოლექტივი.

მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექტივმა. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით ქარხანამ მიაღწია დარგის საშუალო დონეს, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპის, ფონდუკუგებისა და წარმოების მოცულობის მაჩვენებლებით გადააჭარბა კიდეც მას. თვითმფრინავმშენებლებმა გადაწყვიტეს მეთერთმეტე ხუთწლედში იმუშაონ დევიზით „ყოველი საწარმო ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს დარგში, რესპუბლიკაში“! ამ დევიზს უკვე მიმდევრები გაუჩნდა ქ. თბილისის საწარმოებში.

ნაკლები ტემპი ჩვენ ხელს არ გვაძლევს. მხოლოდ ასე შეგვიძლია გადავწყვიტოთ ჩვენი უმნიშვნელოვანესი ამოცანა — დავძლიოთ რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების გარკვეული ჩამორჩენა საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით.

თითოეული შრომითი კოლექტივი უნდა იხეწრაფოდეს იყოს ხუკეთესო ქალაქში, რესპუბლიკაში, დარგში და ქვეყანაშიც კი.

მიღწეულია ახალი მიჯნები სამრეწველო პროდუქციის ხარისხის განუხრელი გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. შემუშავდა და დაინერგა ხარისხის მართვის მწყობრი სისტემა. ხუთი წლის წინათ რესპუბლიკა უშვებდა ორასზე ცოტა მეტ ნაკეთობას სახელმწიფო ხარისხის ნიშნით, დღეს კი უშვებს 2.263 ნაკეთობას. ამ კატეგორიის პროდუქციის მოცულობამ წარმოების საერთო მოცულობაში 21 პროცენტი შეადგინა. ეს მნიშვნელოვანი გარდატეხაა ხარისხისათვის ბრძოლაში. ზოგიერთი ჩვენი საწარმო თავისი პროდუქციის ნახევარზე მეტს სპეციალურ ხუთკუთხედის მარკით უშვებს. ეს არის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, თბილისის ელექტროშესაღუღებელი მოწყობილობის ქარხანა, ფოთის ქარხანა „ელექტროაპარატი“ და სხვები, ხოლო თბილისის ქარხანა „მიკროძრაგა“, საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანა“ და ბევრი სხვა საწარმო მთელ თავიანთ პროდუქციას ხარისხის ნიშნით უშვებენ. ამ ბოლო დროს ხარისხის ნიშანი მიენიჭა სახალხო მეურნეობისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან ნაკეთობებს, როგორიც არის ავტომობილები, ელექტროკარები, ფოლადის მილები, ლითონსაჭრელი და სახეხი ჩარხები, ქიმიური ბოჭკოები, მანგანუმის კონცენტრატები.

70-იან წლებში ბრძოლა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ჭეშმარიტად საყოველთაო გახდა. ხუთწლედის სამსახურში ჩავაყენეთ რეზერვები, რომლებმაც უზრუნველყო სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება. ამის შედეგად განუხრელად იზრდება საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობა. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ფონდუკუგება გაიზარდა 5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გადიდდა 27,2 პროცენტით, ხოლო საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდამ მთლიანად შეადგინა 40 პროცენტი ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული 35 პროცენტის ნაცვლად. გაუმჯობესდა საწარმოო მოწყობილობის გამოყენება, მანქანათმშენებლობაში ცვლიანობის კოეფიციენტი 17 პროცენტით გაიზარდა. სამუშაო დროის დანაკარგები 30 პროცენტით და მეტად შემცირდა.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ელექტროენერგიის, საწვავის, ლითონის, ცემენტის, სამასალე მერქნისა და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვაში.

შეიქმნა 300-ზე მეტი ნიშუშის ახალი ტიპის მანქანები, მოწყობილობა, აპარატები, ხელსაწყოები და ავტომატიზაციის საშუალებანი, კომპლექსურად მექანიზებული და ავტომატიზებულია 620 უბანი, საამქრო და წარმოება, ამოქმედდა 1.180 მექანიზებული ნაკადური და ავტომატური ხაზი. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ეკონომიკურმა ეფექტმა 220 მილიონი მანეთი შეადგინა.

ეფექტიანობისა და ხარისხისათვის ბრძოლის პრაქტიკაში მეათე ხუთწლედის მანძილზე ჩვენში იშვა ბევრი ახალი, საინტერესო ფორმა და მეთოდი.

პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის მთელი მუშაობის კოორდინაციისა და მართვის მიზნით შეიქმნა ხარისხის რესპუბლიკური კომისია და ასეთივე კომისიები ყველა პარტიულ კომიტეტთან, სამინისტროსა და უწყებასთან, საწარმოებსა და სამშენებლო ორგანიზაციებში.

ერთი სიტყვით, ხარისხისათვის საბრძოლველად დაირაზმა ყველა პარტიული ორგანიზაცია, სამეურნეო ორგანი.

უნდა გითხრათ, ამხანაგებო, რომ ამ მუშაობის შედეგები უაღრესად სასიხარულოა. ახლა ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენ გადავინაცვლეთ ერთ-ერთი ბოლო ადგილიდან მეორე ადგილზე ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 17 ძირითადი მაჩვენებლის საკითხზე მუშაობდა 17 მუდმივი კომისია ცენტრალური კომიტეტის მდივნების, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრების, განყოფილებათა გამგეების, საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების, მინისტრებისა და სხვათა ხელმძღვანელობით, რომლებიც კოორდინაციას უწევდნენ უამრავ ადამიანთა და კოლექტივთა საქმიანობას, მართავდნენ პროცესებს საბოლოო შედეგის მისაღწევად. მუშაობის სისტემა წლითიწლობით უფრო სრულყოფილი, დახვეწილი ხდებოდა, უმჯობესდებოდა შედეგები.

მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის 17 ძირითადი მაჩვენებლის კომისიათა შექმნა უნდა მივიჩნიოთ წარმოების ორგანიზაციის დემოკრატიული პრინციპების შემდგომ განვითარებად, ახალ გამოცდილებად, რომელიც საქართველოს კომპარტიამ შეიძინა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და ადგილობრივი ინიციატივის სწორი შეხამების დარგში ერთიანი საერთო-საკავშირო ეკონომიკის განვითარების რეგიონალური პრობლემებისადმი ახლებურ მიდგომად.

70-იანი წლები გახდა ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების დარგში სერიოზული გარდატეხის წლები.

ეს მუშაობა კვლავაც გაგრძელდება, რადგან **ლოზუნგი — ეფექტიანობა და ხარისხი!—80-იან წლებში კიდევ უფრო აქტუალური იქნება, ვიდრე მეათე ხუთწლედში.** ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ ამ საქმეში ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს. ასეთი პრობლემა კი ბევრია!

1980 წელს — მეათე ხუთწლედის დამამთავრებელ წელს — საკავშირო დაქვემდებარების ბევრმა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ რუსთავის ქიმიური ქარხანა, კვაისის ტყვია-თუთიის მაღაროთასამმართველო, ზესტაფონის ქარხანა „საქკაბელი“, თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანება და ზოგიერთი სხვა.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, რესპუბლიკის ბევრი სამინისტრო და უწყება, საწარმო და ორგანიზაცია ჯერ კიდევ სუსტად მართავენ შრომის ნაყოფიერების ზრდის პროცესს. ჩვენ უნდა შევიმუშაოთ ზუსტი პროგრამა, როგორც დარგობრივი, ისე რეგიონალური თვალსაზრისით, რომელიც მეთერთმეტე ხუთწლედში უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალებათა უთუო შესრულებას მთლიანად რესპუბლიკის მრეწველობაში.

უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მუშაობა შრომის ნაყოფიერების ზრდის ისეთი პროგრესული ფორმების დანერგვისათვის, როგორიც შჩეკინის მეთოდი და შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ბრიგადული ფორმაა. **მუშაობის ეს ფორმა მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევამდე უნდა გავავრცელოთ წარმოების მუშების სულ ცოტა 60-70 პროცენტზე.**

შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანესი რეზერვია საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, რაც მეთერთმეტე ხუთწლედის გლობალური ამოცანაა. არადა, ეს რეზერვი ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის ამოქმედებული. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში ხელის შრომას ეწევა მუშათა საერთო რაოდენობის 55 პროცენტზე მეტი, აქედან მძიმე ხელის შრომას — დაახლოებით 15 პროცენტი.

ჩვენში უკვე შემუშავებულია და მოქმედებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის მექანიზაციის მეთერთმეტე ხუთწლედის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მექანიზებულ შრომაზე გადავიყვანოთ 32 ათასი კაცი და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში პირობითად გამოვათავისუფლოთ 100 ათასზე მეტი კაცი.

საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებებისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის შედეგად 1981-1985 წლებში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 10-12 პროცენტით გაიზრდება.

ეს პროგრამა აუცილებლად უნდა განხორციელდეს!

სამრეწველო წარმოების შემდგომი გადიდების, ეფექტიანობის ამაღლებისა და ხარისხის გაუმჯობესების ყველაზე ოპტიმალური და რენტაბელური გზაა პრინციპულად ახალ, თანამედროვე სახეობათა სამრეწველო პროდუქციის ათვისება, პროგრესული ტექნოლოგიის, საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, გამომთვლელი ტექნიკისა და მართვის ავტომატიზებული სისტემების დანერგვა.

არსებულ მოწყობილობასა და საწარმოო ფართობებზე ტექნოლოგიის სრულყოფა უნდა გახდეს მრეწველობის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება და ჩვენი ინჟინრების, კონსტრუქტორებისა და მეცნიერების მთავარი ამოცანა 80-იან წლებში.

უნდა შევიმუშაოთ წინადადებანი მანგანუმის, დარიშხნის, ტყვიის, სპილენძ-პოლიმეტალებისა და ბარიტის მადნეულის, ბენტონიტის თიხების, ბუნებრივი ცეოლიტების, დიატომიტის, ნავთობისა და სხვა მინერალური რესურსების რაციონალური გამოყენების ახალი ეფექტიანი ტექნოლოგიის შექმნის შესახებ.

უნდა ავამაღლოთ წარმოების ტექნიკური დონე მაქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში, კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში, განვახორციელოთ ღონისძიებანი ქვანახშირის, სამთომომპოვებელი, მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ტექნიკური განახლებისათვის.

80-იანი წლები დიდი გარდატეხის წლებია ხელის შრომის ლიკვიდაციისათვის ბრძოლაში. ეს არის წარმოებაში ყველაზე მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის წლები, წარმოების ინტენსიური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის წლები!

მეათე ხუთწლედში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა რესპუბლიკის ენერგეტიკული პოტენციალის გასაძლიერებლად. ენგურის ჰიდროელექტროსადგურის, ვარციხის კასკადის სამი ჰიდროელექტროსადგურის ამოქმედების, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოების შედეგად საქართველოს ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1975 წელთან შედარებით 1,6-ჯერ გაიზარდა და 4 მილიონ კილოვატს მიაღწია. ელექტროენერგიის წარმოება მეათე ხუთწლედში 1,2-ჯერ გაიზარდა და შარშან 14 მილიარდ კილოვატსაათზე მეტი შეადგინა. ამრიგად, ენერგეტიკული სიმძლავრის მატების ძირითადი წილი ენგურის ჰიდროელექტროსადგურზე მოდის.

მსოფლიოში უნიკალური ენგურის ჰიდროელექტროსადგურის ხუთიანი აგრეგატის მშენებლობის დამთავრება ჩვენი პარტორგანიზაციის ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა 70-იან წლებში.

ამასთან ერთად რესპუბლიკის ენერგეტიკის განვითარების ტემპი ჯერ კიდევ ჩამორჩება სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპს, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნილებებს. ერთ სულ მოსახლეზე ელექტროენერგიის წარმოებისა და მოხმარების მხრივ რესპუბლიკა შესაბამისად მეცხრე და მეათე ადგილზეა ჩვენს ქვეყანაში. ჩამოვრჩებით მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში შრომის ენერგოტევადობისა და ელექტროტევადობის მაჩვენებლებთან ბიზეკით.

ზამთარში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა ყოველთვის განიცდის საბაზისო სიმძლავრის დეფიციტს.

საქართველოს ენერგოსისტემაში საბაზისო ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციის პრობლემის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ გზით, რომ რესპუბლიკაში აშენდეს მძლავრი საბაზისო ელექტროსადგური, რომელიც მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსების შემდგომ ეფექტიან გამოყენებასთან ერთად საშუალებას მოგვცემს შეექმნათ ენერგოსიმძლავრეთა ოპტიმალური სტრუქტურა.

ერთდროულად მაქსიმალურად უნდა გავაქტიუროთ ჩვენი მეცნიერებისა და ინჟინრების მეცადინეობა ისეთ სახეობათა ენერგიის პრაქტიკული გამოყენებისათვის, როგორიც არის მზისა და ქარის, თერმული წყლებისა და სხვა ენერგია.

მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკაში დიდი ნაბიჯი გადაიდგა ნავთობის მრეწველობის განვითარების გზაზე. ფაქტობრივად ეს დარგი 70-იან წლებში შეიქმნა.

1980 წლის ნოემბერში ამუშავდა სამგორ-ბათუმის ნავთობსადენი, რომლითაც ხდება რესპუბლიკაში მოპოვებული მთელი ნავთობის ტრანსპორტირება და ორი მესამედით იტვირთება ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის სამძლავრე, რომლის პროდუქციას, ჩვენი თხოვნის შესაბამისად, საკავშირო ორგანოების გადაწყვეტილებით ძირითადად გამოვიყენებთ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

რესპუბლიკის ნავთობის მრეწველობის წინაშე დასახულია ამოცანა, რომ საკუთარი რესურსებით მაქსიმალურად უზრუნველყოს რესპუბლიკის მოთხოვნილება ნავთობპროდუქტებზე. ამ პოზიციებიდან უნდა განვსაზღვროთ 80-იან წლებში ნავთობის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.

მეთერთმეტე ხუთწლედში გადაწყდება რესპუბლიკის საამედო გაზმომარაგების საკითხი. თქვენ კარგად იცით, რომ გაზის შეზღუდული მიწოდება მძიმე მდგომარეობას ქმნის ამიერკავკასიის, კერძოდ საქართველოს სსრ გაზმომარაგებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განახორციელეს ღონისძიებანი ჩვენი რესპუბლიკის გაზმომარაგების გაუმჯობესებისათვის.

ამ ღონისძიებათა შედეგად მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის გაზის მოწოდება გაიზრდება წელიწადში 3-დან 8-9 მილიარდ კუბურ მეტრამდე, ხოლო მეთორმეტე ხუთწლედში — 13-15 მილიარდ კუბურ მეტრამდე.

სერიოზული პრობლემები დგას ქვანახშირის მრეწველობის წინაშე. ბოლო დროს შეიმჩნევა ქვანახშირის მოპოვების შემცირების არასასურველი ტენდენცია. აქ ობიექტურ ფაქტორებთან ერთად მოქმედებს სუბიექტური მიზეზებიც, რომლებიც დაკავშირებულია დარგის ხელმძღვანელთა უგულგრილობასთან. სხვაგვარად რითი აიხსნება ის ფაქტი, რომ ტყიბულ-შაორის საბადოში მნიშვნელოვანი მარაგის არსებობის პირობებში, თანამედროვე დაძაბული სათბობ-ენერგეტიკული ბალანსის მიუხედავად, სამრეწველო დამუშავებაში მოქცეულია მარაგის მხოლოდ 30 პროცენტი. მოპოვების გასაადიდებლად საჭიროა უმოკლეს ვადაში მივაღწიოთ იმას, რომ საკავშირო ორგანოებმა გადაწყვიტონ აღნიშნული საბადოს ბაზაზე 1,5 მილიონი ტონა სიმძლავრის ახალი დიდი შახტის მშენებლობის საკითხი.

ქართული ქვანახშირის რაციონალურად გამოყენების საქმეში დიდმნიშვნელოვან ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკის მეტალურგებისა და ქვანახშირის მრეწველობის მუშაკების მიერ შეშუშავებული ნაცარუხვი დაბალხარისხოვანი თერმულად დამუშავებული ქვანახშირის გამოყენებით ფეროშენადნობთა წარმოების ახალი ტექნოლოგია. დეფიციტური კოქსწარილის შეცვლა თერმულად დამუშავებული ქვანახშირით დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს.

ერთი სიტყვით, მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები პარტიული ორგანიზაციის განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს.

მეათე ხუთწლედის მანძილზე რესპუბლიკის მრეწველობაში უპირატესი ტემპით ვითარდებოდა მთელი რიგი დარგები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების გადასაწყვეტად. მაგალითისათვის ავიღოთ მანქანათმშენებლობა.

ამ დარგის ხვედრითმა წილმა რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებაში 1980 წელს მიაღწია 12 პროცენტს 1975 წლის 10 პროცენტთან შედარებით.

ქებას იმსახურებს ელექტრონული მრეწველობის საწარმოთა საქმიანობა.

მეათე ხუთწლედის დამლევს ელექტრონული მრეწველობის წარმოება მნიშვნელოვნად გაიზარდა. მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია წარმოების მოცულობის უფრო მეტად გადიდება 1980 წლის დონესთან შედარებით.

ამასთან ერთად არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად მანქანათმშენებლობის ცალკეულმა ქვედარგებმა ვერ მიაღწიეს ხუთწლიანი გეგმით დასახულ დონეს. ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ ჩარხმშენებლობის მრეწველობის, ელექტროტექნიკური მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მანქანების მშენებლობის, საგზაო მანქანების მშენებლობისა და ზოგიერთი სხვა საკავშირო სამინისტროს საწარმოები.

მეთერთმეტე ხუთწლედში, 80-იან წლებში, მანქანათმშენებელთა წინაშე დასახულია მეტად პასუხსაგები ამოცანები როგორც წარმოების დონის ამაღლების, მოქმედი საწარმოების სიმძლავრეთა გადიდების, ისე ახალი ქარხნების მშენებლობის მხრივ, უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება მარნეულის მძიმე ჩარხთსაშენებელ ქარხანას, რომელიც გამოუშვებს მძიმე და უნიკალურ ლითონსაჭრელ ჩარხებს. ეს ქარხანა კი არა, მთელი სამრეწველო კომპლექსი, მთელი სამრეწველო ქალაქი იქნება. **ჩარხთმშენებლობის ახალი გიგანტის აშენება რესპუბლიკის კომპარტიის, საქართველოს მშრომელების, 80-იანი წლების კომუნისტებისა და კომკავშირელების ღირსებისა და სახელის საქმეა.**

მიმდინარე ხუთწლედში დაიწყო აგრეთვე ახალქალაქში საბაგირო გზების მოწყობილობის, ხაშურში საკისრების და სხვა ქარხნების მშენებლობა. ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქუთაისის საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნების, თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა გაფართოება-რეკონსტრუქციას.

რესპუბლიკის ეკონომიკაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია შავ მეტალურგიას. საკმარისია ითქვას, რომ ამ დარგზე მოდის ძირითადი სამრეწველო-საწარმოო ფონდების ღირებულების 10 პროცენტზე მეტი. 70-იან წლებში ბევრი რამ გაკეთდა შავი მეტალურგიის განვითარებისათვის. უნდა უზრუნველვყოთ ამ დარგის შემდგომი განვითარება.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამონახეს დიდი დიამეტრის მილების ნამზადის წარმოების გადიდების შესაძლებლობა.

გაანგარიშებამ ცხადყო, რომ ამ ღონისძიების განხორციელება შექმნის შესაძლებლობას წელიწადში დამატებით მიიღონ დაახლოებით მილიონი ტონა მილების ნამზადი და მნიშვნელოვნად დაზოგონ ლითონი. საჭიროა დღესვე განვსაზღვროთ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შემდგომი განვითარების პერსპექტივა საბჭოთა და საზღვარგარეთის მეტალურგიაში ეფექტიანი ტექნ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ჩვენში შრომითი რესურსების უზარმაზარი რეზერვები თავმოყრილია სოფლის მეურნეობაში. რესპუბლიკის მოსახლეობაში სოფლის მცხოვრებთა ხვედრითი წილი შეადგენს 48 პროცენტს, ხოლო მთელ ქვეყანაში 37 პროცენტს.

ამ ბოლო დროს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საიმედო საფუძველი ექმნება სოფლის მეურნეობისათვის ტექნიკის შექმნასა და წარმოებას. სოფლის მშრომელთა ყოველდღიურ მუშაობაში სულ უფრო მცირდება ხელის შრომა. სოფლის მეურნეობის სფეროდან შრომითი რესურსების გამოთავისუფლებას ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარება რესპუბლიკაში.

მომდინარეობს სამუშაოები თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანათსაშენებელი ქარხნის რეკონსტრუქციისათვის. ჩვენი მეცნიერები და კონსტრუქტორები ამთავრებენ მობილური ჩაის საკრეფი მანქანის — „საქართველოს“ მოდიფიკაციას.

გამოცდა გაიარა და სერიულ წარმოებაში გადაეცა მონორელსიანი ტრანსპორტი, რომელიც ესოდენ საჭიროა ხელის შრომის მექანიზაციისათვის მთის პლანტაციებში ტვირთის ტრანსპორტირების დროს.

და, ბოლოს, გასული წლის დამლევს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში“ მოტობლოკების, მცირეგაბარიტიანი ტრაქტორებისა და მათი იარაღების დამზადების ორგანიზაციის შესახებ.

როგორც ხედავთ, ამხანაგებო, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა ჩვენში სწრაფი ტემპით განვითარდება.

მეთერთმეტე ხუთწლედში გათვალისწინებულია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მთელი სამრეწველო პროდუქციის წარმოების გადიდება 30-33 პროცენტით. ამავე პერიოდში სამრეწველო პროდუქციის წარმოება მთლიანად საბჭოთა კავშირში 26-28 პროცენტით უნდა გაიზარდოს.

მრეწველობის განვითარების ტემპის ასეთი თანაფარდობა შეესაბამება საშუალო საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ინდუსტრიული განვითარების შედარებითი ჩამორჩენის თანდათანობითი დაძლევის ამოცანებს.

მეთერთმეტე ხუთწლედში ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა უნდა გადავწყვიტოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმაღლესი მოთხოვნების შესაბამისი წარმოების საშუალებებისა და მოხმარების სხვადასხვა მაღალხარისხოვანი საგნის წარმოების სწრაფი და განუხრელი გადიდების საფუძველზე; საწარმოო ბაზის ტექნიკური განახლებისა და ინტენსიფიკაციის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების, მრეწველობის პროგრესული დარგების უპირატესი განვითარების უზრუნველყოფის გათვალისწინებით დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის გზით.

3. საქართველოს პარტიული ორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების პროგრამისა და სასურსათო პროგრამის უთუო შესრულება

ამხანაგებო!

მეთერთმეტე ხუთწლედში უნდა განხორციელდეს ორი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული კომპლექსური პროგრამა: სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების პროგრამა და სასურსათო პროგრამა, რომელთა შემუშავება წარმოებს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ინიციატივით და პირადი მითითებით.

ამ პროგრამების შესახებ ჩვენ დაწვრილებით ვმსჯელობდით ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და ბიუროს სხდომებზე. საჭიროდ მიგვაჩნია ყირიმობაზეც ხაზგასმით აღვნიშნოთ მათი შემუშავებისა და განხორციელების შესრულების განსაკუთრებული მნიშვნელობა.

მეათე ხუთწლედში ამ პროგრამების გადაწყვეტის მტკიცე საძირკველი ჩაიყარა. მნიშვნელოვნად განმტკიცდა მსუბუქი მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მწყობრში ჩადგა ისეთი დიდი საწარმოები, როგორიც არის გლდანის სამკერვალო-ტრიკოტაჟისა და ქუთაისის ტრიკოტაჟის ფაბრიკები, გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების ახალციხის ფილიალი. რეკონსტრუირებულია თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატი და მთელი რიგი სხვა საწარმოები. განხორციელდა დარგის ტექნიკური განახლების ღონისძიებანი. მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, მისი ასორტიმენტის გაფართოებასა და განახლებას. საკმარისია ითქვას, რომ 1980 წლის დამლევს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის ხვედრითმა წილმა 21 პროცენტს მიაღწია.

ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა, საკავშირო სამინისტრო, მინისტრი ამხ. ნ. ნ. ტარასოვი მუდამ ყურადღებით ეკიდებოდნენ საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა მუშაობას.

მაგრამ მოსახლეობის მოთხოვნილება ბევრი სახეობის საქონელზე სრულად ვერ კმაყოფილდება. ცხოვრება სულ უფრო უკეთესი ხდება და ის, რაც გუშინ გვაკმაყოფილებდა, დღეს აღარ ვარგა. ყველას როგორიმე ფეხსაცმელი, კაბა ან პალტო კი არა, თანამედროვე, მოდური, ლამაზი ნაწარმი უნდა.

სამწუხაროდ, ამის გაგება არ სურს ზოგიერთ ჩვენს ხელმძღვანელს და ამის გამო ბევრი საქონელი გაფსაღიბელი რჩება.

ვფიქრობთ, რომ ამ დარგის ხელმძღვანელებმა და, უწინარეს ყოვლისა, მინისტრმა ამხ. გამცემლიძემ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, სახალხო მოხმარების მოდური, თანამედროვე მაღალხარისხოვანი საქონლის შექმნასა და წარმოებას, რომელიც შეესაბამება ხალხის მზარდ მოთხოვნილებებს.

ახალი ხუთწლედის პირველი დღეებიდანვე დიდ ყურადღებას მოითხოვს ჩამორჩენილი დარგები, რომლებიც ბამბის ნაწარმს უშვებენ. სამინისტროს ხელმძღვანელობა ვალდებულია მთელი ძალ-ღონე და სახსრები მოახმაროს გორის ბამბეულის კომბინატში მდგომარეობის გამოსწორებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ვალდებულების შესრულებას და ვადამდე გადავცეთ საექსპლოატაციოდ ცხინვალის სამკერვალო-ტრიკოტაჟის ფაბრიკა, აგრეთვე გავშალოთ სამუშაოები თბილისის აბრეშუმის გაერთიანებისა და საჩხერის ბამბასართავი ფაბრიკის მშენებლობის დასაჩქარებლად.

დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა ხისდამმუშავებელ და ავეჯის მრეწველობაში. მაგრამ ისინი აგრეთვე ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საქონელზე.

არასახარბიელოდ აქვთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის წარმოების საქმე ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს, აგრეთვე საკავშირო დაქვემდებარების მანქანათმშენებლობის, მძიმე ინდუსტრიის საწარმოებს. მათ დიდი გამოუყენებელი პოტენციური შესაძლებლობანი აქვთ.

საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა ხელმძღვანელებმა ძირეულად უნდა შეცვალონ თავიანთი დამოკიდებულება ამ დიდმნიშვნელოვანი სოციალური საკითხისადმი და მიაღწიონ საქმის მკვეთრ გაუმჯობესებას ამ საქონლის წარმოებაში, რომლის ბევრ სახეობას უნდა უშვებდნენ ადგილობრივი ნედლეული რესურსებისა და მრეწველობის ნარჩენების საფუძველზე.

თუ უფრო ღრმად ჩავხედავთ საქმეს, დიდადი რეზერვები და შესაძლებლობებია აგრეთვე ხისდამმუშავებელ მრეწველობაში, სატყეო მეურნეობაში, ცეკავშირში, მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ ბევრი ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ვერ ხედავს ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლის წარმოების ორგანიზაციის შესაძლებლობებს, ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებლად ვერ ვიყენებთ შინ მომუშავეთა, პენსიონერთა და ინვალიდთა შრომას სუვენირებისა და ტრადიციული ეროვნული ნაკეთობების წარმოებაში, ხალხურ რეწვაში.

საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ გადაუდებელი ღონისძიებანი განხორციელდეს, რათა რესპუბლიკის სახელმწიფო საგგმო კომიტეტმა (ამხ. დ. ლ. ქართველიშვილი) გაუმჯობესოს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების დაგეგმვა, საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია მოსახლეობის მოთხოვნილებისა და ბაზრის კონიუნქტურის შესაბამისად.

ერთი სიტყვით, საჭიროა მოფიქრებული გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც შეძლებს შესაბამისი დარგების მეცადინეობის გაერთიანებას. მისი შემუშავება და განხორციელების ორგანიზაცია სახალხო მოხმარების საქონლის რესპუბლიკური კომისიის გადაუდებელი ამოცანაა. მისი თავმჯდომარე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ამხ. ნ. ა. ჭითანავა ისევე კარგად რომ ხელმძღვანელობდეს კომისიის მუშაობას, როგორც სხვა საქმეს აკეთებს, მაშინ ასე უხერხულად არ იგრძნობდა თავს გადიდებული მოთხოვნის საქონლის გამოფენაზე, რომელმაც, აქვე დავსძინო, ცხადყო, რომ ჩვენ შეგვიძლია რამდენჯერმე გავზარდოთ ამ საქონლის წარმოება.

ახალ ხუთწლედში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სასურსათო პროგრამის შემუშავება და რეალიზაცია.

ამ პროგრამის შესრულებაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა აქვს კვების, ხორცკომბინატებისა და თევზის მრეწველობის დარგების განვითარებას.

მეათე ხუთწლედში ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით ამ დარგების განვითარებას. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის (სხვათა შორის, ძალიან გვეხმარება ჩვენი ყრილობის სტენოგრამა, ამ კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ნ. ა. პასკარი), სსრ კავშირის სახმომარაგების, კვების მრეწველობის სამინისტროს დახმარებით ხორცისა და რძის, პურის საცხობი, საკონსერვო, ღვინის, ჩაის მრეწველობისა და კვების ინდუსტრიის სხვა დარგების ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედთა რეკონსტრუქციის შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა გადამმუშავებელი მრეწველობის სიმძლავრენი. ამან შესაძლებლობა მოგვცა შეგვექმნა ნედლეულის შეუფერხებელი გადამუშავებისა და სურსათით მოსახლეობის მომარაგების შედარებით ნორმალური პირობები და უზრუნველგვეყო წარმოების ზრდის სწრაფი ტემპი. 1980 წელს „სამტრესტის“ სამრეწველო პროდუქცია 1975 წელთან შედარებით გაიზარდა 70 პროცენტით, ბაიხაო ჩაის წარმოება — 48 პროცენტით, კონსერვების გამოშვება — 1,7-ჯერ.

ამასთან ერთად ხორცისა და რძის მრეწველობის დასახული ხუთწლიანი პროგრამა ჩვენ ვერ შევასრულეთ ნედლეული რესურსების ნაკლებობის გამო.

დაბალი მაჩვენებლებით დაამთავრა ხუთწლედი თევზის მრეწველობამ. ამაზე, უთუოდ გავლენა მოახდინა სერიოზულმა ჩავარდნამ, რომლებიც ამ დარგს წარსულში ჰქონდა. „საქთევზმრეწვისა“ და ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს ყოფილმა ხელმძღვანელებმა გაიჩანაგეს რესპუბლიკის თევზსაჭირი მეურნეობა, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ. ფოთის საოკეანო თევზჭერის სამმართველოს მმართველი კარტოზია, რომელიც დანაშაულებრივ მაქინაციებში გარეული აღმოჩნდა „აზოვშავზღვათევზმრეწვის“ ზოგიერთ ხელმძღვანელთან ერთად, პარტიიდან გაირიცხა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაეცა. „საქთევზმრეწვის“ ახალი ხელმძღვანელობა (უფროსი ამხ. ო. გ. აბესაძე) ნელა გარდაქმნის მუშაობას, თუმცა საკავშირო სამინისტროსა და პირადად მინისტრის ამხ. ვ. მ. კამენცევის მხრიგ ვგრძნობთ დიდ დახმარებასა და მხარდაჭერას ამ დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისა და თევზსაჭირი ფლოტის შევსების საქმეში.

დროა ბოლო მოვუღოთ შიგა წყალსატევებში მეთევზეობის განვითარებისადმი აგდებულ დამოკიდებულებას.

სასურსათო საქონლით მოსახლეობის სრული დაკმაყოფილებისათვის უნდა გვქონდეს მთელი აგროსურ-სამრეწველო კომპლექსის განვითარების კარგად მოფიქრებული და მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

კვების მრეწველობის დარგებში სამძლავრეთა ნაკლებობის გამო დიდძალი სოფლის მეურნეობის პროდუქტი ფუჭდება, მომხმარებელი ვერ იღებს დეფიციტურ პროდუქციას, ხოლო დარგები ზარალდება. რადაც უნდა დაგვიჯდეს უნდა დავძლიოთ ეს დისპროპორცია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს ჩაის ხარისხი. შემუშავებულია კომპლექსური პროგრამა. ჩვენმა მეცნიერებმა, კონსტრუქტორებმა და წარმოების მუშაკებმა უკვე გადაჭრეს ბევრი დიდნშვნელოვანი ტექნიკური და ტექნოლოგიური პრობლემა. მანქანებით მოკრეფილი ჩაის ნაკადურ-მექანიზებული გადამუშავებისათვის შეიქმნა მაღალეფექტიანი ტექნოლოგია და მოწყობილობა. გამოიხსნა ხელლეფილ ჩაიონალური გამოყენების საშუალებანი, შეიქმნა ჩაის, ჩაის საღებრების თხევადი და მშრალი კონცენტრატების პირველი საწარმოები. გაიშალა მუშაობა კვების მრეწველობის სხვადასხვა დარგში ჩაის კონცენტრატების ფართო გამოყენებისათვის.

ქართული ჩაის ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მეთერთმეტე ხუთწლედში. ეს რესპუბლიკის ავტორიტეტის, პრესტიჟის საკითხია.

ანალოგიური პროგრამები გვაქვს ღვინის, საკონსერვო, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების მრეწველობის განვითარებისათვის, რომლებიც სასურსათო პროგრამის შემადგენელი ნაწილია.

ყველასათვის ცნობილია, რომ ჩვენი ბუნებრივი პირობები და მრეწველობის განვითარების დონე საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ უნიკალური ჯიშების ყურძენი, ხილი, ბოსტნეული, აგრეთვე ჩაი და გავზარდოთ ჩვენი სამრკო ღვინოების, კონიაკებისა და ხილის კონსერვების ექსპორტი, რომლებიც გაცილებით უფრო გემრიელია, ვიდრე მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პროდუქცია და ძალზე პოპულარული საზღვარგარეთ. რესპუბლიკაში წარმოებული სასურსათო პროდუქტების ექსპორტი მეათე ხუთწლედში, წინა ხუთწლედთან შედარებით, მართალია 40 პროცენტით გაიზარდა, მაგრამ შესაბამის გაერთიანებათა ხელმძღვანელები (ამხანაგები გ. ი. ლოლაძე, ი. გ. კეკენაძე, ე. ს. მალაზონია) სერიოზულად უნდა ჩაუფიქრდნენ ამ პრობლემას და განსაორციელონ ღონისძიებანი აღნიშნულ სახეობათა პროდუქციის ექსპორტის გასაადიდებლად.

მეთერთმეტე ხუთწლედისა და 1990 წლამდე პერიოდის რესპუბლიკური სასურსათო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის მუშაობის სახელმძღვანელოდ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური კომიტეტებთან შეიქმნა სპეციალური კომისია ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის მეთაურობით. მინდა ყრილობას მოვახსენო, რომ კომისიამ, სამუშაო ჯგუფებმა, ამ საქმეში ჩართულმა ყველა სამინისტრომ, უწყებამ, დაწესებულებამ და ორგანიზაციამ სერიოზული მუშაობა გაიჩაღეს.

კომისიამ საჭიროდ მიიჩნია უპირველეს ყოვლისა დაემუშავებინა მთელი რიგი საკითხები, რომელთა გადადება არ შეიძლება პრაქტიკული განხორციელების ვადების გამო. უპირატესად ეს არის, ღონისძიებანი სოფლის მეურნეობის დარგში, რომლებიც მოითხოვენ წინასწარ მომზადებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა საგაზაფხულო სეზონის დაწყებამდე. ამ საკითხთა ნაწილი ფაქტობრივად უკვე გადაწყვეტილია.

სასურსათო პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სირთულისა და შრომატევადობის პრობლემათა ვრცელ კომპლექსს. მაგრამ საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ რაც შეიძლება სწრაფად და საიმედოდ გადაიჭრას იგი ყველა დაპროგრამებული საკითხისა და რესპუბლიკის ყველა რეგიონის მიხედვით. ამიტომ მეურნეობის ინტენსიფიკაციის კარგად ცნობილ საშუალებათა გარდა, ჩვენ ფართოდ უნდა ვიყენებდეთ ახალ მასტიმულირებელ ბერკეტებს, რომლებიც წარმოშობენ მეურნეობებისა და რაიონების მისწრაფებას დაჩქარონ დასახული გეგმებისა და პროგრამების შესრულება.

კარგი, რეალური სასურსათო პროგრამის შექმნა ნიშნავს, რომ სწორად აირჩინ მიზანი, რაც შეიძლება საფუძვლიანად, მართლაც რომ მეცნიერულად დაასაბუთო იგი. მისი შესრულებისათვის გაიანგარიშო დრო, საშუალებები და ძალები, დარწმუნებული იყო მუსი განხორციელების საბოლოო შედეგების მაღალ ეფექტიანობაში.

ვითვალისწინებთ რა სურსათით მოსახლეობის მეუფერხებელი მომარაგების სახელმწიფო და პოლიტიკურ მნიშვნელობას, მოვითხოვთ, რომ კომპლექსური სასურსათო პროგრამების შემუშავებისა და პრაქტიკული განხორციელების მიმდინარეობას თვალს ადევნებდნენ და მისთვის პასუხისმგებელნი იყვნენ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები.

ჩვენს რესპუბლიკაში კვების მრეწველობის დარგების განვითარების 80-იანი წლების მთავარი მიმართულებანი განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში სამხრეთული და სუბტროპიკული კულტურების წარმოების გადიდებისა და სოფლის მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების ღონისძიებათა“ „მესახეს“ და მათი განხორციელება ჩვენი ღვიძლი პარტიული საქმეა.

მინდა ყრილობის დელეგატებს მოვახსენო, რომ მეთერთმეტე ხუთწლედში „ა“ და „ბ“ ჯგუფებში წარმოების მოცულობის გადიდების დიდ მასშტაბს თან მოჰყვება პროგრესული ძვრები ეკონომიკის სტრუქტურაში, რასაც ასახავს ინდუსტრიული დარგების როლის შემდგომი გაძლიერება სახალხო მეურნეობაში. მაგალითად, 1990 წლამდე ძირითად მიმართულებათა პროექტი ითვალისწინებს მრეწველობის წმინდა პროდუქციის მოცულობის გადიდებას 1,8-ჯერ, მშენებლობისა — 1,7-ჯერ, სოფლის მეურნეობისა — 1,5-ჯერ.

4. გავაუმჯობესოთ მუშაობა პარტიის აგრარული პოლიტიკის განხორციელებისათვის, წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საფუძველზე გავზარდოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წვლილი სახალხო მეურნეობის განვითარებაში

ამხანაგებო!

70-იან წლებში საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი გარდაქმნები მოხდა. ასრულებდა რა სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მითითებებს, რესპუბლიკის პარტორგანიზაცია საანგარიშო პერიოდში გეგმაზომიერად ახორციელდება ღონისძიებებს მისი ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის, ეკონომიკის დიდად განვითარებულ სექტორად მისი გადაქცევისათვის. წარმატებით ხორციელდებოდა ყირიმობის სადირექტივო მითითებანი, რომ უნდა განმტკიცდეს სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მთავარი ყურადღება მიექცეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის ძირითად ფაქტორებს — მექანიზაციას, ქიმიზაციასა და მელიორაციას.

მეათე ხუთწლედში ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნებული იყო მილიარდ 600 მილიონი მანეთი კაპიტალდაბანდებანი, რაც 6 პროცენტით აღემატებოდა მეცხრე ხუთწლედის დონეს. ამავე პერიოდში სოფლის მეურნეობამ მიიღო 16 ათასამდე ტრაქტორი, ათასი კომბაინი, 12 ათასი სატვირთო ავტომობილი; მაღალინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს შეემატა 83 ათასი ჰექტარზე მეტი სარწყავი და დაშრობილი მიწები და ა. შ.

ხუთწლედის განმავლობაში მექანიზაციის დონე მემცენარეობაში გაიზარდა 12 პროცენტით, ხოლო მეცხოველეობაში — 16 პროცენტით.

70-იან წლებში შეიქმნა და მასობრივი მასშტაბით დაინერგა ხელის ჩაის საკრეფი აპარატები, ორგანიზებული იყო „კოლხეთის“ ჯიშის ჩაის ვეგეტაციურად გამოავლებული ნერგების სამრეწველო წარმოება და ამ შესანიშნავი ჯიშის ქართული ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენება.

ჩვენი აზრით, 70-იან წლებში მეცნიერთა დიდი მიღწევა იყო პირველი უხვმოსავლიანი ჰიბრიდული ჯიშების სიმინდის გამოყვანა და წარმოებაში დანერგვა, რაც ბოლო 2-3 წელიწადში განხორციელდა.

კაჟეთის რაიონებში მართვის ავტომატური სისტემის — „რთველის“ დანერგვა წარმოებაში შეიძლება მივიჩნიოთ სასოფლო-სამეურნეო პროცესების ავტომატიზებული მართვის ახალი ეტაპის დასაწყისად.

უახლოეს წლებში ამ სისტემას გამოიყენებენ როგორც მთლიანად მეევნახეობაში, ისე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგებშიც.

სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 28 მაისის ცნობილ დადგენილებაში პირდაპირ იყო ხაზგასმული, რომ სოფლის მეურნეობის მრავალდარგიანობა და წარმოების სუსტი კონცენტრაცია ხელს უშლის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინდუსტრიალიზაციას, აფერხებს დანახარჯების ეფექტიანობას და არსებითად აფერხებს ამ დარგის ეკონომიკურ, და მაშასადამე, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესსაც. ამ დადგენილების განხორციელება საშუალებას მოგვცემს გავზარდოთ საკოლმეურნეო წარმოების განსაზოგადოება, სრულყოთ საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ერთმანეთს დავუახლოოთ საკუთრების ორი ფორმა.

ჩვენ ძალიან დიდხანს და საგულდაგულოდ ვამზადებდით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის IX პლენუმს, რომელმაც განიხილა სოფლის მეურნეობის პრობლემები სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანნიშნული დადგენილების შესაბამისად. ეს შემთხვევითი არ მოხდარა, რადგან ამ პლენუმს, ისევე როგორც 1975 წლის XVIII პლენუმს მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში. მიგვაჩნია, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს ორივე პლენუმი განსაკუთრებულ როლს ასრულებდა და კვლავაც შეასრულებს ჩვენი პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში.

მინდა უფრო დაწვრილებით ვთქვა 1978 წლის IX პლენუმის განსაკუთრებული როლის შესახებ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა სკკპ XXV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზემოხსენებული დადგენილების სადირექტივო მითითებებით, IX პლენუმზე განსაზღვრა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი სპეციალიზაციის გზები და ფორმები. ჩვენი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით პლენუმმა მეცნიერულად დასაბუთა ექსპერიმენტები, რომლებიც ჩვენს რეგიონებში ხორციელდება რესპუბლიკის აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი დარგების მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფისათვის.

დელეგატებს მოვახსენებთ, რომ ექსპერიმენტის წესით რესპუბლიკაში **შეიქმნა აბაშის სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველო, რესპუბლიკური აგრარულ-სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემა.** და სწორედ IX პლენუმზე ჩვენ შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ საჭიროა მათი განვითარება.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ სოფლის მეურნეობის მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფის ხაზი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს, სწორია. აბაშის რაიონის გამოცდილება, რომელშიც, თავის მხრივ, აისახა უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, სტავროპოლის მხარისა და სხვათა პრაქტიკა და მიღწევები, წარმატებით დაინერგა 14 რაიონში, ხოლო მეთერთმეტე ხუთწლედში დაინერგება მთელ რესპუბლიკაში. სოფლის მეურნეობის მართვაში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა საშუალება მისცა პარტიის აბაშის რაიკომს მნიშვნელოვანწილად გაეუმჯობესებინა რაიონის პარტიულ ორგანიზაციათა სტრუქტურაც. აბაშის გამოცდილებით მთელი ქვეყანა დაინტერესდა. ეს საკითხი ორჯერ იქნა განხილული სკკპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებაში, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სხდომაზე, ამ საკითხით დაინტერესდა აგრეთვე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ი. პატიაშვილი ისეთსავე სიმტკიცეს რომ იჩენდეს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით აბაშის გამოცდილების დანერგვის საქმეში, როგორსაც იჩენს აგრარული პოლიტიკის სხვა საკითხთა გადაწყვეტისას, ეს მნიშვნელოვანი გამოცდილება უკვე დიდი ხანია ყველა რეგიონის კუთვნილება იქნებოდა.

ვფიქრობ, ყოველივე ეს თვალსაჩინოდ დასტურებს, რომ აგრარული პოლიტიკის დარგში ჩვენც სწორ გეზს ვადგავართ.

სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევუზუსტოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სხვადასხვა დარგის ინტერესები, ხელს უწყობს ახალი ინიციატივების წარმოშობას, რომლებსაც, მე ვიტყოდი, საერთოსახელმწიფო, საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს. ასე წარმოიშვა მახარაძისა და ზუგდიდის რაიონებში ჩაის ფოთლის გადამმუშავებელი მიკროფაბრიკების მშენებლობის, მახარაძის რაიონში — ჩაის მრეწველობის ნარჩენების გამოყენების, ჩაის ხარისხის კომპლექსური მართვის სისტემის შექმნის ინიციატივა. ასე წარმოიშვა გურჯაანის რაიონის მევენახეთა და ღვინის მრეწველობის მუშაკთა ინიციატივა ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებისა და მაღალხარისხოვანი ქართული სამარკო და საერო ღვინოების წარმოების გადიდების შესახებ და ა. შ.

მას შემდეგ, რაც ძალაში შევა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი დადგენილება სოფლად დაგეგმვისა და ეკონომიკური სტიმულირების გაუმჯობესების საკითხებზე, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დადგენილებანი ხილისა და ბოსტნეულის პროდუქციის წარმოების გადიდებისა და მისი დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე, რომელთა საფუძველზე ბევრი სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა გადავა **ხილისა და ბოსტნეულის მეურნეობის ახალი სამინისტროს** გამგებლობაში, რომელიც ჩვენში იქმნება, კიდევ უფრო გაიზრდება სოფლის მეურნეობის მართვის რაიონულ საწარმოო გაერთიანებათა როლი და პასუხისმგებლობა.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ გავათავისუფლოთ ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისათვის პასუხისმგებლობისაგან.

რესპუბლიკის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავებისა და კონცენტრაციის გაფართოებისათვის.

სოფლის მეურნეობის წარმატებათა მიღწევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის საკითხთა ოპერატიულად გადაწყვეტის კომისიამ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე დროულად, დემოკრატიულ საფუძველზე წყვეტს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმოების პერიოდში წამოჭრილ ბევრ საკითხს.

გარკვეული გამოცდილებაა დაგროვილი აგრეთვე სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგების ხელმძღვანელობაში იმ გზით, რომ მათზე მიმაგრებული არიან ცენტრალური კომიტეტის წევრები, სხვა ხელმძღვანელი მუშაკები.

გასულ ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ აწარმოვა 9,9 მილიარდი მანეთის მთლიანი პროდუქცია, რაც 2,5 მილიარდი მანეთით მეტია, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მიეყიდა მილიონ-ნახევარ მანეთზე მეტი ღირებულების სოფლის მეურნეობის ძვირფასი პროდუქტები. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოების საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 34 პროცენტით გაიზარდა.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაში უფრო მაღალ მიჯნებს მიაღწევს საზოგადოებრივ სექტორში, სადაც ზრდის ტემპმა თითქმის 45 პროცენტი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განმსაზღვრელი ტენდენცია იყო სწორედ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების დაჩქარებული განვითარება საზოგადოებრივ მეურნეობებში და, უთუოდ, მას შევინარჩუნებთ მეთერთმეტე ხუთწლედსა და მომდევნო პერიოდში.

გასულ ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება სოფლის მეურნეობაში 40 პროცენტით გაიზარდა. მეცხრე ხუთწლედთან შედარებით ყურძნის საშუალო წლიური მოსავლიანობა გაიზარდა 43 პროცენტით, მწვანე ჩაის ფოთლისა— 44 პროცენტით, ციტრუსებისა —ერთიორად, ბოსტნეულისა — 32 პროცენტით, კარტოფილისა — 35, ხილისა — 16 პროცენტით. გაიზარდა საშუალო წლიური წარმოება: ხორცისა — 16 პროცენტით, რძისა— 16 პროცენტით და მეტად, კვერცხისა —

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

მეთერთმეტე ხუთწლედში მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა მთელ ჩვენს ქვეყანაში დაგეგმილია 12-14 პროცენტის, ხოლო საქართველოს სს რესპუბლიკაში — 22-24 პროცენტის მოცულობით, რაც, ალბათ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელია საბჭოთა კავშირში.

ეს რთული ამოცანაა, მით უმეტეს, რომ, როგორც ცნობილია, **მეათე ხუთწლედში მთლიანი პროდუქციის ზრდის ტემპის მიხედვით ჩვენმა რესპუბლიკამ მეორე ადგილი დაიკავა.**

მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმის პროექტით სოფლის მეურნეობის დარგში გათვალისწინებულია ყველა კატეგორიის მეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება 1973 წლის შესადარ ფასებში 2 მილიარდ 460 მილიონი მაწეთის ოდენობით, ანუ 450 მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე მეათე ხუთწლედში. სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის წარმოება ერთ მუშაზე (საზოგადოებრივ სექტორში) მიაღწევს თითქმის 3 ათას მანეთს, ანუ მეათე ხუთწლედთან შედარებით 822 მანეთით გაიზრდება.

მეთერთმეტე ხუთწლედში განსაკუთრებით დიდი ამოცანებია დასახული იმ დარგების წინაშე, რომლებიც განსაზღვრავენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციას. მაგალითად, გათვალისწინებულია, რომ 1985 წლის დამლევისათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება და დამზადება გაიზარდოს 550 ათას ტონამდე, ყურძნისა — 1.200 ათას ტონამდე, ხილის და ციტრუსებისა — 1.150 ათას ტონამდე, კარტოფილისა — 500 ათას ტონამდე, ბოსტნეულისა — 750 ათას ტონამდე, ხორცისა — 270 ათას ტონამდე, რძისა — 750 ათას ტონამდე, კვერცხისა — მილიარდ ცალამდე და ა. შ.

უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტის დამზადება. მაგალითად, 1980 წლის გეგმასთან შედარებით 1985 წელს ყურძნის დამზადება გაიზრდება 54 პროცენტით, ბოსტნეულისა — 41, ხილისა — 30, ციტრუსებისა — 84, ხორცისა — 27 პროცენტით და ა. შ. და ეს ყველაფერი როდია. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შეწონასწორებისათვის ეს მოჯნებიც კი არ არის საკმარისი.

სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა XXII პლენუმზე, რომელიც გასული წლის ნოემბერში გაიმართა, უყურადღება მიაქცია სამ ძირითად პრობლემას, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის დარგების განვითარების საკითხის განხილვისას: **პირველი — გამოვნახოთ რეზერვები, რათა უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოებისა და დამზადების უთუო ზრდა რეკორდულ 1980 წელთან შედარებით. მეორე — უზრუნველვყოთ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის იმ დარგების უპირატესი მაქსიმალური განვითარება, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საერთო-საკავშირო სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის. მესამე — უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობის იმ დარგების დაჩქარებული განვითარება, რომლებსაც საარსებო მნიშვნელობა აქვთ რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის შესრულებისათვის, ისე რომ არ დაზარალდეს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის დარგები.**

ყველაზე რთული ამოცანები გვაქვს გადასაწყვეტი იმ დარგების განვითარებაში, რომლებზეც დამოკიდებულია რესპუბლიკის სასურსათო პროგრამის რეალიზაციის ბედი. მათ შორის ნაკლებად რთულია ბოსტნეულის, კარტოფილისა და პარკოსანი კულტურების წარმოების გადიდება. მაგალითად, პროექტით გათვალისწინებულია 1985 წლის დამლევისათვის ბოსტნეულის წარმოების გადიდება 750 ათას ტონამდე, **რითაც პრაქტიკულად გადაიჭრება ფიზიოლოგიური ნორმების მიხედვით ამ პროდუქტით მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა,** რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება საადრეო კარტოფილზე ფაქტობრივად დაკმაყოფილებული და ახლა უნდა გავზარდოთ საგვიანო კარტოფილის წარმოება და დამზადება იმ ანგარიშით, რომ **ხუთწლედის დამლევისათვის მთლიანად დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მოთხოვნილება საკუთარი წარმოების კარტოფილზე.**

მეთერთმეტე ხუთწლედსა და უფრო ხანგრძლივ პერიოდში რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის კვლავაც რთული პრობლემად რჩება მოსახლეობის შეუფერებელი მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით, უწინარეს ყოვლისა ხორცითა და რძით.

საჭიროდ მიმაჩნია ყრილობის დელეგატებს მოვახსენო, რომ ამ ბოლო წლების მანძილზე რესპუბლიკაში მეცხოველეობის პროდუქტთა წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებისა და მეთერთმეტე ხუთწლედის დიდი გეგმების მიუხედავად, თუ გავითვალისწინებთ რესპუბლიკის მოსახლეობის ზრდას, და განსაკუთრებით დამსვენებელთა ჩამოსვლას, ხუთწლედის დამლევისათვის მოხერხდება მხოლოდ ერთ სულ მოსახლეზე ხორცის მოხმარების ახლანდელი დონის შენარჩუნება, ხოლო რძის მოხმარების დონე შესაძლოა შემცირდეს კიდევაც. ამიტომ ცენტრალური კომიტეტი უკვე შეუდგა მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერაციის ბაზაზე ხორცისა და რძის წარმოების გადიდების დამატებითი პროგრამის შემუშავებას, რომლის განხორციელება საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავზარდოთ მეცხოველეობის პროდუქტთა რესურსები. **ანალოგიური პროგრამები უნდა შეადგინოს თითოეულმა რაიონმა, თითოეულმა კოლმეურნეობამ, საბჭოთა მეურნეობამ, სამეურნეობათშორისო ორგანიზაციამ.**

ასეთია სოფლის მშრომელთა ზოგიერთი ძირითადი ამოცანა მეთერთმეტე ხუთწლედში. როგორც ხედავთ, ამოცანები უჩვეულოდ ძნელია და, მაშასადამე, მათს გადაწყვეტას შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ.

80-იან წლებში გაგრძელდება პარტიის გენერალური ხაზი — აგროსამრეწველო კომპლექსის და, უწინარეს ყოვლისა, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ყოველი ღონისძიებით განმტკიცების ხაზი.

წინასწარი მონაცემებით მეთერთმეტე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი იქნება მილიარდ 950 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი.

საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა მიწათმოქმედების კულტურის ასამაღლებლად, მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლოვანებები და ხარვეზები ჯერ კიდევ სწორედ მიწის რესურსების გამოყენების პრაქტიკაში გვხვდება.

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. გ. ბ. გადელია) და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ (მინისტრი ამხ. შ. მ. ეცადაშვილი), მათმა ადგილობრივმა ორგანოებმა სათანადო დასკვნები არ გამოიტანეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მათი მკაცრად გაკრიტიკების შემდეგ და არ განახორციელეს რადიკალური ღონისძიებანი რესპუბლიკის მელიორირებული მიწებისა და სამელიორაციო სისტემების გამოყენების მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

მინისტრთა საბჭოს დაევალა სპეციალურად შეისწავლოს ასეთი მდგომარეობის მიზეზები და უახლოეს დროში განიხილოს ისინი. გარდა ამისა, **ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს საგულდაგულოდ გააანალიზოს მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის მდგომარეობა და 1982 წელს განიხილოს იგი ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.**

ბევრი ნაკლი და ხარვეზია მეცხოველეობაში, რაც გულახდილად მოვახსენეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XX პლენუმს გასული წლის მაისში. პირუტყვის პროდუქტიულობისა და სადგომი ჯოგის სულადობის მიხედვით ვერ გავიდოთ ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის მიერ განსაზღვრულ მიჯნებზე. მთელ რიგ რაიონებში (ახალქალაქის, ადიგენის, გორის, თეთრი წყაროს, ამბროლაურის, ქ. წყალტუბოს ზონა და სხვ.) შესაბამისი დასკვნები არ გამოიტანეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებისა და ბიუროს გადაწყვეტილებათა პრინციპული მოთხოვნებიდან და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისა და პროდუქტების წარმოების გადიდების ნაცვლად ურიგდებიან მათს სისტემატურ შემცირებას, ყველგან სწორად ვერ ესმით, თუ რა გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის განვითარებისათვის მყარ საკვებ ბაზას და საკვების გადამშუშავებელ და დამამზადებელ საწარმოებს.

80-იან წლებში შეუძლებელი იქნება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პრობლემათა გადაჭრა, თუ არ დავნერგავთ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების ინდუსტრიული მეთოდები, ყოველი ღონისძიებით არ ავამაღლეთ მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონე. სამწუხაროდ, გვიხდება იმის კონსტატაცია, რომ მეტწილ მეურნეობებში ტექნიკას ეფექტიანად ვერ იყენებენ, ნელა ვრცელდება მისი გამოყენების გამოცდილება, ხოლო საქსახსოფლტექნიკის ხელმძღვანელობა (ამხ. დ. ე. სარიშვილი), ისევე როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ჯერ კიდევ გაუგებარი, პასიური პოზიციას ადგანან.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ახლად შექმნილ რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლქიმიასა“ და მის ადგილობრივ ორგანოებზე, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, სოფლის მეურნეობის ქიმიზაციაში კანონმდებლები უნდა გახდნენ.

დიდი ნაკლოვანებები და ხარვეზები იყო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა გამოყენებაში. მეათე ხუთწლედში დარგში „სოფლის მეურნეობა“ მიზნობრივი დანიშნულებით არ აითვისეს 200 მილიონი მანეთი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებანი. ამის შედეგად სოფლის მეურნეობისათვის ძალზე საჭირო ბევრი ობიექტი საექსპლოატაციოდ არ გადაეცა. სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ (ამხ. ი. ა. ხარატიშვილი) სერიოზულად უნდა გარდაჭრნას თავისი მუშაობა.

პირობა არ შეასრულეს მელიორატორებმაც, რომლებსაც საექსპლოატაციოდ არ გადაუციათ 11 ათასი ჰექტარი სარწყავი და დაშრობილი მიწები. ამ საქმეში თვით სოფლის მეურნეობის მუშაკებიც არ არიან უცოდველნი, რადგან მათი მიზეზით ჯერაც არ არის ათვისებული სარძევე კომპლექსების სიმძლავრეთა დაახლოებით 50 პროცენტი, სასუქებელი მოედნების 30 პროცენტამდე, ჩასაყენებელი მოზარდეულის გამოსაზრდელი კომპლექსების 40 პროცენტამდე და ა. შ.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ სერიოზულად გააკრიტიკა ეკონომიკური მუშაობა სოფლად, რომლის ხელმძღვანელობის გამო ბევრი მეურნეობა ზარალიანი და ნაკლებად რენტაბელური აღმოჩნდა. საანგარიშო პერიოდში ბევრი რამ გაკეთდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფინანსური მდგომარეობის გასაჯანსაღებლად.

მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ბევრია გასაკეთებელი, რათა სათანადო წესრიგი დავამყაროთ ყველა მეურნეობის, განსაკუთრებით სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობაში. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რაიონულმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა სათანადო დონეზე ვერ აიყვანეს სამეურნეობათაშორისო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობა, რის შედეგად მთლიანად 1979 წელი მათ ზარალით დაამთავრეს.

წინანდებურად დიდი ზარალით დაამთავრეს 1980 წელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქ წყალტუბოს ზონის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ადიგენისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებმა.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ბევრი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სასწავლებლები და მათი კათედრები, რომლებიც აგრარული ეკონომიკის დარგში მუშაობენ, ჯერ კიდევ დამუშავებული არ არის ისეთი საჭირბოროტო საკითხები, როგორიცაა სოფლის მეურნეობის მართვის სისტემა, კაპიტალურ დაბანდებათა ეფექტიანობის გზები, სოფლის მეურნეობის დარგების მეცნიერულად დასაბუთებული დაგეგმვა, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დანერგვა, დამხმარე დარგების განვითარება, საზოგადოებრივი და პირადი დამხმარე მეურნეობის ოპტიმალური განვითარება, აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებათა მუშაობის ეფექტიანობა და სხვ.

განვითარებული სოციალიზმის პირობებში რაიონის, და მით უმეტეს მეურნეობის ხელმძღვანელი არ შეიძლება ენდობოდეს მხოლოდ თავის ინტუიციასა და გარემოებებთან ემპირიულ შეგუებას. **ეკონომიკური კანონების შეცნობა და გამოყენება როგორც მეცნიერთა, ისე პარტიულ და სამეურნეო მუშაკთა საერთო ამოცანაა.**

მინდა ყრილობაზე გავაფრთხილო იმ სამრეწველო საწარმოთა, სამშენებლო, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებიც უშვებენ პროდუქციას სოფლის მეურნეობისათვის ან მისთვის აშენებენ ობიექტებს, რომ მათ ერთხელ და სამუდამოდ დაიმახსოვრონ პარტიის ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნა სოფლის შეკვეთების უპირველესად და უთუოდ შესრულების შესახებ, რადგან აგროსამრეწველო კომპლექსის მწყობრ მუშაობაზე მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მთლიანად სახალხო მეურნეობის მდგომარეობა და შემდგომი განვითარება, ხალხის კეთილდღეობა.

საქართველოს კომპარტიის, რესპუბლიკის ყველა მშრომელის ღვიძლი საქმეა, რომ უთუოდ განახორციელონ პარტიის აგრარული პოლიტიკა, ამოცანები, რომლებიც განსაზღვრულია სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითად მიმართულებათა პროექტში. და ეჭვიც არ არის, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის ამოცანები ჩვენს რესპუბლიკაში წარმატებით გადაწყდება!

5. მეთერთმეტე ხუთწლედი ახალშენებლობათა ხუთწლედია. ავამაღლოთ კაპიტალური მშენებლობის ეფექტიანობა და ხარისხი, განვამტკიცოთ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ამხანაგებო!

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა 70-იან წლებში შეძლეს დიდი გარდატეხა შეეტანათ მშენებლობის სისტემაში, უფრო უკეთ, კვალიფიციურად და კონკრეტულად მოკიდეს ხელი სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი სფეროს პრობლემებს.

როგორც უკვე აღინიშნა, ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ზრუნავს რესპუბლიკაში კაპიტალური მშენებლობის მდგომარეობისათვის, პირადად დაინტერესდა საქმის ვითარებით, დიდად დაგვეხმარა წარმოშობილ სიძნელეთა დაძლევაში.

კაპიტალური მშენებლობის საკითხები ცენტრალური კომიტეტისა და ყველა პარტიული კომიტეტის პლენუმების განხილვის საგანი გახდა.

ვასრულებდით რა XXV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ჩვენ გავაძლიერეთ კაპიტალური დაბანდებისა და მატერიალური რესურსების კონცენტრაციის პროცესი, მივაღწიეთ კაპიტალური მშენებლობის მოცულობათა ზრდის ტემპის დაჩქარებას, უკეთ ვმართავთ და კოორდინაციას ვუწევთ სამშენებლო წარმოების პროცესის მონაწილეთა მუშაობას, გავაძლიერეთ შემკვეთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა.

ბევრმა სამშენებლო ორგანიზაციამ ისწავლა კოლექტივების მეცადინეობის სწორი გამიზნვა და წარმართვა მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად. დამსახურებული ავტორიტეტი მოიხვეჭეს არა მარტო რესპუბლიკური, არამედ საკავშირო მასშტაბითაც რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა, რა თქმა უნდა, ჩვენი ყრილობის სტუმრის — სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრის ს. დ. ხიტროვის დიდი მხარდაჭერითა და დახმარებით, მშენებლობის სამინისტროს კოლექტივმა — გ. ა. კარავაევის დახმარებით, ტრესტ „საქმიდროენერგომშენის“ კოლექტივმა — პ. ს. ნეპოროჟნის დახმარებით, „თბილისგვრაბმშენის“ სამმართველომ — ი. დ. სოსნოვის დახმარებით, „კავკასიის „ელექტროქსელმშენმა“, მრავალმა სამონტაჟო ორგანიზაციამ — ბ. ვ. ბაკინის დახმარებით.

რესპუბლიკაში გაწეული მუშაობის შედეგად გასული ხუთწლედის მანძილზე ათვისებულია 7 მილიარდ 231 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი ანუ 40 პროცენტით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში, ხოლო 1980 წელს ათვისებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1975 წელთან შედარებით 433 მილიონი მანეთით, ანუ 38 პროცენტით გაიზარდა.

ჩვენ მიერ მიღწეული ზრდის ტემპი საშუალო საკავშიროს აღემატება. ასეთი რამ პირველად მოხდა რესპუბლიკის სოციალისტური მშენებლობის ისტორიაში. ეს ძალზე გვახარებს.

აღნიშნულ პერიოდში ამოქმედდა 6 მილიარდ 891 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, ანუ 36 პროცენტით მეტი, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში.

ზრდის ტემპის ყოველწლიურმა დაჩქარებამ საშუალება მოგვცა 1980 წლის დამლევისათვის კაპიტალური დაბანდების ხუთწლიანი დავალება გადაგვეტანინა 988 მილიონი მანეთით და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 124 მილიონი მანეთით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა 1980 წლის 7 დეკემბრისათვის შესრულდა.

ხორციელდება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილება დაუმთავრებელი მშენებლობის მოცულობის შემცირების შესახებ, რომელმაც 1980 წელს 94 პროცენტი შეადგინა 1975 წლის 119 პროცენტთან შედარებით. გარკვეული მუშაობაა გაწეული სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს მშენებლობებზე შრომითი, ფულადი და მატერიალური რესურსების კონცენტრაციისათვის, შემცირდა ერთდროულად მშენებარე ობიექტების რაოდენობა.

სახიხარულოა ამის აღნიშვნა, რომ მთელი ხუთი წლის მანძილზე სრულდება საცხოვრებელი ბინების, სკოლების, საავადმყოფოების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისა და პროფტექნიკური სახსწავლებლების ხაქმესლოატაციოდ გადაცემის დავალებანი.

სახელმწიფო კაპიტალური დაბანდებისა და საბინაო კოოპერატივების სახსრების ხარჯზე აშენდა 5 მილიონ 416 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ამან საშუალება მოგვცა ქალაქის ერთ მცხოვრებზე საცხოვრებელი ბინების მატების ტემპის მხრივ 1980 წელს ჩვენს ქვეყანაში მესამე ადგილზე გადაგვნაცვლებინა, მაშინ როცა 1974 წელს მეთოთხმეტე ადგილზე ვიყავით. საბინაო პირობები გაიუმჯობესა 680 ათასზე მეტმა კაცმა. შესრულებულია კომუნალური ობიექტების აგებისა და ამოქმედების საჯარო სამუშაოთა პროგრამა.

ამოქმედდა სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების 270 მსხვილი საწარმო და კომპლექსი, მათ შორის, როგორც უკვე ითქვა, ენგურჰესის ხუთი აგრეგატი, ვარკიხის, ჰიდროელექტროსადგურის კასკადის სამი საფეხური, რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნების, ზესტაფონის ფეროშენადნობთა, ქუთაისის საავტომობილო და სხვა ქარხნების ახალი სიმძლავრეები.

მეათე ხუთწლედში მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ტექნიკური განახლების შედეგად ამოქმედებულია 30 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე წინა ხუთწლედში.

არის ძვრები კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგის ახალი ობიექტების მშენებლობაშიც. აშენდა 15 ჩაის ფაბრიკა, 18 ღვინის ქარხანა, მსუბუქი და ხორც-რძის მრეწველობის 5 მსხვილი კომპლექსი და ბევრი სხვა ობიექტი.

ამასთანავე კაპიტალურ მშენებლობაში ჯერ კიდევ გვაქვს არსებითი ნაკლოვანებები და ხარვეზები. ჩვენ ვერ შევძელით განგვეხორციელებინა XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი კაპიტალური მშენებლობის ზოგიერთი ძირითადი მაჩვენებლის შესრულების მხრივ.

ვერ შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის მეათე ხუთწლედის დავალებანი, თუმცა 1978 წლიდან ჩვენ ვუსწრებთ საკავშირო-საკავშირო მაჩვენებლებს. ჯერ კიდევ დიდია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ფაქტობრივი თვითღირებულება. ძირეულ გარდატეხას ვერ მივაღწიეთ მშენებლობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

კვლავინდებურად შეუწყნარებლად დიდია ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი (12 ათასზე მეტი რესპუბლიკაში!), კვლავინდებურად იქსაქსება სახსრები და მატერიალური რესურსები, ვერ იცავენ მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენილ ნორმებს, რაც არსებითს ზარალს აყენებს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას, რადგან ჭიანურდება ბევრი დიდმნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის გაძიმშვება.

წლიური გეგმების შეჯამებით თუ ვიმსჯელებთ, განვლილ ხუთწლედში აუთვისებელი დარჩა 190 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, ხოლო აუმოქმედებელმა ძირითადმა ფონდებმა 990 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

მდგომარეობა უარესდება იმის გამოც, რომ ცალკეულ სამშენებლო სამინისტროებსა და ორგანიზაციებში დამკვიდრდა სამუშაოთა სგგეგმო სტრუქტურის დარღვევის მანკიერი პრაქტიკა. გრძელდება უგეგმო და ზეგეგმითი სამუშაოები, რაც იწვევს სგეგმო მშენებლობებისათვის გამოყოფილი მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების სხვა მიზნებისათვის გამოყენებას. მაგალითად, მარტო 1976-1979 წლებში საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ საკუთარი მშენებლობის და კაპიტალური რემონტის გეგმას 16 მილიონი მანეთით გადააჭარბა. მაგრამ ამასთანავე სამინისტრო ყოველწლიურად თავისი შემკვეთების საერთო რიცხვის 55 პროცენტს გეგმებს უფუშავს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა შეიქმნა კაპიტალური მშენებლობის გეგმების შესრულებაში ცალკეული დარგების მიხედვითაც. მაგალითად, განვლილი ხუთწლედის მანძილზე წლიური მოდეგების მიხედვით ვერც ერთხელ ვერ შესრულდა კაპიტალურ დაბანდებათა გეგმა ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის საბინაო მშენებლობა, სოფლის მეურნეობა, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.

უკანასკნელ წლებში საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის დაგვიანების მიზეზების ანალიზი გვიჩვენებს, რომ დაგეგმილ სიმძლავრეთა დაახლოებით 60-70 პროცენტის დროულად მოქმედებას ხელს უშლის ის, რომ აყოვნებენ მოწყობილობის მიწოდებას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩაბარებას, განაშენიანებისათვის მოედნების გამოყოფას, ვერ უზრუნველყოფენ დაფინანსებას.

ობიექტების ჩაბარების გაჭიანურებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს აგრეთვე კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვაში არსებითი ნაკლოვანებანი. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე პირველ კვარტალში სიმძლავრეთა ამოქმედება ძირითადი ფონდების წლიური მოცულობის ღირებულების მხოლოდ 7-8 პროცენტით იგეგმება.

ეტყობა, საჭირო არ არის იმაზე ლაპარაკი, რომ მშენებლობაში ძირეული გარდატეხისა და საქმის გაუმჯობესებისათვის საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ დაგეგმვის ქმედითობის გასაძლიერებლად. ამას დამაჯერებლად ადასტურებს უკრაინის, ბელორუსიის, ლიტვისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების საიჯარო ორგანიზაციათა გამოცდილება.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე სამშენებლო ორგანიზაციათა გადაყვანის პროცესი ჩვენში ჯერჯერობით შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობს. სამშენებლო სამინისტროებმა და ორგანიზაციებმა დროულად ვერ განახორციელეს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფდა სამშენებლო ქვეგანაყოფების მუშაობას ახალ ეკონომიკურ პირობებში.

წელს, მეთერთმეტე ხუთწლედის პირველ წელს, მთლიანად უნდა გადავიყვანოთ ყველა სამშენებლო ორგანიზაცია მეურნეობრიობის ახალ სისტემაზე. ამიტომ სამშენებლო სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელებმა დაუყოვნებლივ უნდა აინაზღაურონ დანაკლისი და უზრუნველყონ ამ დიდმნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ღონისძიების უთუო შესრულება.

ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა დარგის, კაპიტალური მშენებლობის განვითარებაც უშუალოდ არის დამოკიდებული მისი საწარმოო-ტექნიკური ბაზის მდგომარეობაზე.

სამწუხაროდ, რესპუბლიკაში საშენ მასალაოა წარმოება ვერ უზრუნველყოფს სამშენებლო ორგანიზაციათა მოთხოვნილებას, არის დისპროპორცია საშენ მასალებზე მოთხოვნილებასა და ამ მასალებით მშენებლობათა უზრუნველყოფას შორის. მაგალითად, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 1975 წელთან შედარებით დაახლოებით 40 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ასაწყობი რკინა-ბეტონისა და ბეტონის კონსტრუქცია-დეტალების წარმოება — 26 პროცენტით, საკედლე მასალებისა კი სულ 14 პროცენტით გადიდდა. შემცირდა ცემენტის, სამშენებლო აგურისა და აზბესტ-ცემენტის შიფერის წარმოება. უნდა გამოინახოს ამ დარგის წარმოების მოცულობის გაზრდის ყოველგვარი საშუალებანი.

ჩვენ არ უნდა გადავუხვიოთ ინდუსტრიულ რელსებზე არამდნეული მასალების წარმოების გადაყვანის გენერალურ ხაზს და მისი მოცულობის შემდგომი გაფართოების მიზნით, ეტყობა, ხელიდან არ უნდა გავუშვათ ნედლეულის მეორე მარაგის მქონე არსებული საბადოების გამოყენების შესაძლებლობანი, ძირითადად ზოგიერთი სამინისტროს, განსაკუთრებით კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოოპერაციული ორგანიზაციების საკუთარი საჭიროებებისათვის. რეზერვების ასეთივე ძიება საჭიროა სხვა საშენ მასალათა წარმოების დარგშიც.

მშენებლობის ხარისხი უკანასკნელი წლების მანძილზე უდავოდ გაუმჯობესდა. რამდენადმე გაუჯანსაღა მშენებლობა საშენ მასალათა მრეწველობამაც, მაგრამ მთლიანად ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ დამაკმაყოფილებელ შედეგებს. განსაკუთრებით გვაწუხებს სამონტაჟო მშენებლობის ხარისხი. მაგალითად, 1979 წელს „ფრიადი“ შეფასებით საექსპლოატაციოდ არ მიუღიათ არც ერთი საცხოვრებელი სახლი, შემცირდა „კარგი“ შეფასებით მიღებული სახლების რიცხვი. განსაკუთრებით ცუდად სრულდება ასაწყობი რკინა-ბეტონის კონსტრუქციების დამონტაჟების სამუშაოები, უაღრესად დაბალია სანტექნიკურ სამუშაოთა ღონე, ლაპარაკიც კი არ ღირს მოსაპირკეთებელ სამუშაოთა ხარისხზე. ჩვენ მოვთხოვთ, რომ სამშენებლო სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, სახმშენმა (თავმჯდომარე — ამხ. გ. ზ. მირიანაშვილი) უაღრესად ქმედითი და რადიკალური ღონისძიებანი განახორციელონ, უნდა გაძლიერდეს აგრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებლობა მშენებლობის ხარისხისათვის.

თქვენ იცით, რომ ბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. ვ. კოლბინი უდიდესი მოცულობის სამუშაოს ასრულებს, თანაც — დიდი ხალისითა და თავდადებით. მაგრამ აი, მან ჯერ კიდევ ვერ შეძლო მისთვის დამახასიათებელი ენერგიულობით და საზრიანობით მიუდგეს სამინაო მშენებლობის, განსაკუთრებით, ბინების ხარისხის პრობლემებს.

საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი მუშაობა განხორციელდა სამოქალაქო-სამინაო მშენებლობის დარგში შემკვეთის სამსახურის გასაუმჯობესებლად. უნდა ითქვას, რომ კაპიტალური მშენებლობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელობამ შესაბამისი დასკვნები გამოიტანა კრიტიკიდან, რომელიც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე გამოთქვა.

კვლავაც უნდა გაგრძელდეს მუშაობა მთავარკაპმშენის სისტემაში სამოქალაქო-სამინაო მშენებლობის მოცულობათა მაქსიმალური კონცენტრაციისათვის. **განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ქალაქ თბილისში დაჩქარებული სამინაო მშენებლობის პროგრამას.** ამაზე დაწერილებით იყო ლაპარაკი დედაქალაქის ამასწინანდელ პარტიულ კონფერენციაზე.

იქვე ითქვა, რომ საჭიროა კომპლექსურად გადაწყდეს ქალაქთმშენებლობის ამოცანები, შემუშავდეს ქალაქის გარემოს ორგანიზაციის თანამედროვე პრინციპები და ფორმები. ყოველნაირად უნდა გამოვავთაროთ სამშენებლო საქმის ინტეგრაცია არქიტექტურასთან, რომელსაც დიდი მომავალი აქვს და რომელიც დაამშვენებს ჩვენს ქალაქებს.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობამ და უწინარეს ყოვლისა მისმა პირველმა მდივანმა, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა, რომელიც საერთოდ დაძაბულად და საინტერესოდ მუშაობს, მეტი შეურიგებლობა უნდა გამოიჩინოს საქალაქო მეურნეობასა და მოსახლეობის მომსახურების სფეროში არსებულ ნაკლოვანებებისადმი, და რესპუბლიკურ თუ საკავშირო ორგანოებში ამ და სხვა პრობლემების აღძვრისა და გადაწყვეტისას უფრო პრინციპული, თანამიმდევრული და შეტევიანი იყოს.

მეთერთმეტე ხუთწლედში მშენებელთა ბრიგადებად ანალ მიჯნაზე უნდა გავიდნენ. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა 35 პროცენტით გაიზრდება და დაახლოებით მილიარდ 200 მილიონ მანეთს მიაღწევს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ხუთწლედში საერთო ჯამით მესამედით მეტი უნდა ვაშენოთ, ვიდრე მეათე ხუთწლედში, უნდა უზრუნველვ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

...შრომელი ადამიანისათვის ჭეშმარიტად პარტიული ზრუნვა, იდეო-...ალმზრდელობითი ამოცანებისადმი პარტიული კომიტეტის, საწარ-...ელმძღვანელობის საგნობრივი დამოკიდებულება უდევს საფუძ-...ად თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის კოლექ-...ის შრომითს წარმატებებს (დირექტორი — ვ. თორდია, პარტკო-...მდივანი — ვ. ღლობაძე). იდეოლოგიური მუშაობის კომპლექსურ ...ებს აქ მჭიდროდ უკავშირებენ საწარმოს სოციალური განვითა-...ის ძირითად ამოცანებს.

...მეორე მხრივ, იმის გამო, რომ უნარი არ შესწევდათ კომპეტენ-...ად გასძღოლოდნენ იდეოლოგიურ მუშაობას, გადაუხვიეს ცხოვ-...ასთან, ყოველდღიურ პრაქტიკულ ამოცანებთან მისი უოლეველი კავში-...ლენინურ მეთოდოლოგიას, არსებითად ჩაიშალა მუშაობა პარტი-...ზესტაფონის რაიკომში (პარტიის რაიკომის ყოფილი მდივანი — ...მერკვილაძე). რაიონის პარტიულმა კომიტეტმა და ზოგიერთმა ...ველადმა პარტორგანიზაციამ თვითდინებაზე მიუშვეს პოლი-...ურ-აღმზრდელობითი მუშაობა, შეურიგდნენ უყაირათო-...ა მოდუნებას, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღ-...ვევებს. პარტიის რაიკომი გვერდს უვლიდა მწვავე პრობლემებს, ...ალავდა ნაკლოვანებებსა და სიძნელეებს, ჯეროვნად არ ზრუნავ-...შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ...ონის ახალმა ხელმძღვანელობამ გააძლიერა მომთხოვნელობა, უმუ-...ოდ და საგნობრივად მოაკონა ხელი ადამიანებთან მუშაობას და ...ოვნად ზრუნავს მათთვის.

...პოლიტიკური ცოდნა, ჯანსაღი ფსიქოლოგიური კლიმატი, იდეო-...გიური მუშაობის სხვა კომპონენტები პარტიამ იმისათვის გამოიმუ-...ავა, რომ ადამიანებს სოციალისტური ცხოვრების წესის ნიშან-თვი-...ებები და ჩვევები ჩაუნერგოს. რესპუბლიკის იდეოლოგიურმა სამსა-...ურებმა პვერი უნდა იმუშაონ ჩვენი ცხოვრების წესის მოდელის ...ასაზღვრისათვის, მისი სტრუქტურული ელემენტების გამოვლენი-...ათვის.

...ცხოვრების წესი დაკავშირებულია ადამიანის აზროვნების ყაიდას-...ან, მისი ქცევის მოტივებთან, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლი-...ტიკურ საქმიანობისადმი, მატერიალური დოვლათისა და სულიერი ...ოებულებებისადმი მის დამოკიდებულებასთან. ჩვენ ბევრი უნდა ...უშაოთ იმაზე, რომ მოდელსა და მოქალაქეთა ცხოვრების რეალურ ...ესს შორის არსებითი განსხვავება არ იყოს. ეს მაჩვენებელი, ეს ნი-...ანი ძალზე მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მორალურ-ფსიქოლო-...იური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღების პროცესში.

ჩვენ უნდა ვიღვწოდეთ განწყობილებათა სკალის მაჩვენებლის არა ...ოდენობით, ერთჯერადი ამაღლებისათვის, და თუნდაც არა პერიოდუ-...ი გარდატეხებისათვის, არამედ სიმყარისათვის, სტაბილურობისათ-...ის. ამას კი, თავის მხრივ, მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, **თუ ჯერ-ოვანს ...ეგვაგთ, შესაფერისად შევაფასებთ და განვაზოგადებთ პოზიტიურს ...ამავე დროს კვლავინდებურად ვამჟღავნებთ ყოველივე ნეგატიურს, ...ანაშიშვლებთ მისი მიზეზების ფესვებს, ფარ-ხმალს აჯ დავყრით, არ ...ეფასებთ უკომპრომისო ბრძოლას მის წინააღმდეგ.**

...აქ თვითდამშვიდება ყოვლად შეუწყნარებელია!

...პარტია, ცხოვრება მოითხოვს ჩვენგან ყველა პრაქტიკულ იდეო-...ლოგიურ აქციისას ყოველთვის ბრძოლებსა და ზოგიერთნი ადამიანთა ...ზოგად განათლებისა და პროფესიული მომზადების დონის თვისებ-...რივი ამაღლება, მათი პოლიტიკური და ეთიკურ-ესთეტიკური კულ-...ტურის ზრდა, რაც განსაზღვრავს ადამიანის შეგნებული და აქტიური ...როლის ზრდას ყოველგვარი ნეგატიური ტენდენციისა და მოვლენის ...წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომ ამ საკითხისადმი მიდგომა დღეს ...ერო სხვაგვარი უნდა იყოს, ვიდრე გუშინ იყო.

...ამ დებულების სისწორეში ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ...ულ ცოტა ხნის წინათ, როცა შევისწავლეთ, თუ როგორ მიმდინა-...რეობს პარტიის იდეების პროპაგანდა ისეთი დიდმნიშვნელოვანი არ-...ხით, როგორიც არის საზოგადოება „ცოდნა“. თუმცა, იგი უწინარეს ...ყოვლისა რაოდენობრივი, ფორმალური მაჩვენებლებით ყოფილა გა-...ტაცებული. დასაბუთებული, დაინტერესებული პროპაგანდის ნაცვლად ...ჩვენ გადავწყდით პარადულ „აურზაურს, ცხოვრებისაგან მოწყვეტას. ...ეტყობა, დიდი ცხოვრება თავისი კალაპოტით მიედინებოდა, ხოლო „ცოდნის“ ცხოვრება — თავისი კალაპოტით.

...იდეოლოგიურ მუშაობაში ჩვენი შეცდომები და ნაკლოვანებანი ...ძირითადად იქიდან მომდინარეობს, რომ ბევრ პროპაგანდისტს, ლექ-...ტორს, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერს, იმათ, ვინც იდეოლოგიური ...ორიენტაციის სათავესთან დგას, ვერ გაუგიათ შემდეგი რეალია: თავის ...მოტყუება და პოლიტიკური სიბეცეა, თუ გგონია, რომ ჩვენი თანა-...მედროვის გონებასა და გულს ლტონენ ლოზუნგებით, მარტოოდენ ...ეთილი სურვილებით, მარტოოდენ მგზნებარე მოწოდებებით მოი-...ნდრეკ, თუ გგონია, რომ რაიმე ნაყოფს გამოიღებს მასთან დიალ-...ოგატობანა, თუ გეშინია, რომ ვერ გაგიგებენ, თუ მასთან შეხვედრისას საკუთარი უპირატესობის იმედით ხარ, სულ ერთია ...რომლისა: სამსახურებრივის, ინტელექტუალურის თუ სხვაგვარი ...უპირატესობის.

...ახლა ხალხს უნდა ხვდებოდე გულღიად, გულწრფელად და უშუ-...ალოდ, უნდა ესაუბრებოდე და ეკამათებოდე თანასწორობის ნიადაგ-...ზე.

...როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული შინაარსის შემოქ-...მედებითი ათვისება, ისევე გადასაწყვეტი საკითხებისადმი მეცნიერულ ...მიდგომა კონკრეტული სიტუაციის კონკრეტული ანალიზის სა-...უძველზე, დამახასიათებელია პარტიის თბილისის საქალაქო კომი-...ტეტის, დედაქალაქის ბევრი რაიონული პარტიული ორგანიზაციის ...საქმიანობისათვის. დამკვიდრდა პრაქტიკა, როცა შრომელების წინა-...პარ აცნობენ გასამართავი პლენუმებისა და პარტიულ-სამეურნეო ...აქტივის კრებების დღის წესრიგს, ნიადაგ სწავლობენ მორალურ-...ფსიქოლოგიურ ვითარებას შრომითს კოლექტივებსა და მეკრორაიო-...ნებში, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის საზოგადოებრივ აზრს.

...აღზრდის საქმისადმი მეცნიერული მიდგომის მაგალითია აგრეთ-...ვე ქეთაისის საავტომობილო ქარხნის პარტიული ორგანიზაციის საქ-...მიანობა.

...ყველამ იცით აბაშის ექსპერიმენტის ამბავი. ახლა ეს უკვე ექს-...პერიმენტი კი. არა, გამოცდილებაა. გადაიდგა თამამი, ჭკვიანური, ...მეცნიერულად დასაბუთებული ნაბიჯი. ეს გამოცდილება მტკიცე არ-...გუმენტია დოგმატიკური აზროვნების წინააღმდეგ, ყოველივე ახლი-...ანი, იმ მწვავე პრობლემებისადმი სტერეოტიპული მიდგომის წი-...ნააღმდეგ, რომლებსაც ცხოვრება აყენებს და რომლებსაც უკვე ვე-...ერ გადაწყვეტ ჩვეული ხერხებით. რაღას არ ამბობდნენ აბაშის ...ექსპერიმენტზე, რა ცოდვებს ალარ აბრალებდნენ ადამიანებს, რომ-...ლებიც ცდილობდნენ უკუეგდოთ მეურნეობრიობის ყაელგასული, ...უარგისი სქემები.

...და ამ შემთხვევაში გვებადება კითხვა: განა, როცა კ. მარქსი, ...ენგელსი, ვ. ი. ლენინი ამბობდნენ, რომ მატერიალური ინტერესი, ...შრომელთა დაინტერესება იმით, რომ საზოგადოებასაც მეტი მისცენ ...და თავადაც მეტი გამოიმუშაონ იქიდან, რაც პატიოსანი გარჯით შე-...ქმნილა, წარმოებისა და განაწილების სოციალისტური მექანიზმის ...ფარგლებში, ეწინააღმდეგება სოციალიზმს? ჩვენი მოძღვრების ფუ-...ძემდებლები სწორედ საწინააღმდეგოს ამბობდნენ, და ვისაც ეს ვერ ...შეუგნია, იმას მარქსიზმის ანაბანა არ სცოდნია.

...სხვა საქმეა, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ნეგატიური შე-...დეგები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მატერიალური კეთილდღე-...ობის გაუმჯობესების პროცესში, ნიადაგ ვაწარმოოთ იდეურ-აღმზრ-...დელობითი მუშაობა, რათა არ დავუშვათ მუშტრული დამოკიდე-...ულების მომძლავრება, ნივთებისათვის პრესტიჟული მნიშვნელობის ...მიკუთვნება.

...საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე ჩვენ ვუსაყვედურეთ ...საზოგადოებათმცოდნეებს, რომ მეტწილად სპეციალისტთა შრომები ...ბოტყუებდა კომუნისტური შენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს, ...რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტუ-...რული განვითარების ამოცანებს, ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე ...პროცესებს. და თუმცა საანგარიშო პერიოდში ამ დარგშიც უდავოდ ...მოხდა სასიკეთო ძვრები, ბევრი საზოგადოებათმცოდნე მეცნიერი თა-...ვის მეცადინეობას მიანც ახმარს არაკეტუალური თემების დამუშა-...ებას, მათს ნაშრომებში არ იგრძნობა საქართველოს კომპარტიის ...თანამედროვე საქმიანობის ყველა მხარის, იმ სიღრმისეული და რთუ-...ლი პროცესების ანალიზის, განზოგადებისა და კომპლექსური შეს-...წავლის ცდები, რომლებიც რესპუბლიკის ეკონომიკურ და საზოგა-...დებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მიმდინარეობს.

...საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ქმედითი ღონისძიებანი, ...რომლებიც ხელს უწყობს მარქსისტულ-ლენინური სწავლების მთელი ...სიტემის სრულყოფას, პროპაგანდისტთა კადრების თეორიული და ...მეთოდიკური დონის ამაღლებას, ამ სწავლებაში მაქსიმალური რაო-...დენობის კომუნისტების, კომკავშირელების, ფართო უპარტიო აქ-...ტივის ჩაბმას.

...პარტორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ნიადაგ და განუხრე-...ლად იზრუნონ ამ სწავლების სრულყოფისა და განვითარებისათვის, ...აღმოფხვრან მის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანე-...ბანი.

...მინდა მოგახსენოთ კადრების ეკონომიკური სწავლების შესახებაც, ...რომელიც რეალურ პრაქტიკულ უკუგებას უნდა გვაძლევდეს, მეტადრე, ...იმ ღონისძიებათა შესაბამისად, რომლებიც სამეურნეო მექანიზ-...მს სრულყოფისათვის ხორციელდება. ეკონომიკური სწავლების კუ-...რსის დამთავრების შემდეგ თითოეულმა მსმენელმა რაღაც ახალი, ...კონკრეტული უნდა შემატოს საწარმოს იმ უბნის, იმ რგოლის მუშა-...ობას, სადაც იგი შრომობს.

...ამხანაგებო!

...ეროვნული პოლიტიკის განხორციელების, ინტერნაციონალის-...ტური შეგნების შემდგომი გაღრმავებისა და განმტკიცების დარგში ...ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა 2თელი ამ წლების ...განძილზე ჩვენი იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთ უმნიშვნე-...ლოვანეს მიზნობრივ პრინციპს შეადგენდა.

...ამ მიმართულებით მუშაობის შემდგომი გააქტიურების დიდი ...სტიმული გახდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, ...რომელიც 1976 წელს გაიმართა თბილისში. როგორც ცხოვრებამ ...გვიჩვენა, ამ პრობლემისადმი ყურადღების გაძლიერებამ დიდი სარ-...გებლობა მოგვიტანა, მოგვამზადა საიმისოდ, რომ მიგვეგნო მთელი რიგი რთული საკითხების სწორი გადაწყვეტისათვის, ახლებურად მივდგომოდით მათ, დემოკრატიულმა მეთოდებმა და საშუალებებმა კი დაგვისახა შესაძლებლობა წარმატებით გაგვერთმია თავი ბევრი მოულოდნელი სიტუაციისათვის.

განვითარებული სოციალიზმის საზოგადოებაში, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, ეროვნული ურთიერთობა — ეს არის რეალობა, რომელიც ნიადაგ აყენებს ახალ-ახალ პრობლემებს და, მაშასადამე, მოითხოვს მათი გადაწყვეტის შესაბამის ხერხებსაც. ამის დასტური გახლავთ ჩვენი გამოცდილება. როგორც იცით, ბევრ ასეთ პრობლემას წავაწყდით უკანასკნელ წლებში. ყრილობის დელეგატებმა იცით, რაზეა ლაპარაკი — ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტის შესახებ ჩვენ საფუძვლიანი სჯა-ბაასი გვქონდა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზეც, პარტაქტივებზეც და, ბოლოს, გულახდილი და პრინციპული საუბარი გაგრის პარტაქტივზე.

ცხადია, ჩვენ უფლება არა გვაქვს დავუშვათ თუნდაც უმცირესი გადახვევა ინტერნაციონალურ აღზრდაში კლასობრიობის პრინციპიდან, გადაჭრით უარვყოფდეთ არაკლასობრივ ობიექტივისტურ მიდგომას ისტორიული წარსულის შეფასებისას, არავის არ დავანებებთ ხელყოს ჩვენი ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — ხალხთა ძმობა და მეგობრობა.

მასების ინტერნაციონალური პატრიოტული აღზრდისათვის მუშაობის გააქტიურებას, შინაარსის გაღრმავებასა და ეფექტიანობის ამაღლებას მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ის დიდი მზრუნველობა და ყურადღება, რომლითაც პარტია ეკიდება მოკავშირე რესპუბლიკების, ავტონომიური ერთეულების ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საკითხებს, ყველა ეროვნების ადამიანთა პრობლემებსა და საჭიროებებს. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებები, დადგენილებები, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო უკანასკნელ წლებში, შეიცავს ძმობისა და თანასწორობის საფუძველზე ეროვნული ურთიერთობის შემდგომი განვითარების, ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცების, ყოველგვარი ნაციონალისტური და შოვინისტური გამოვლინების აღმოფხვრის კომპლექსურ პროგრამას.

ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება მასების ინტერნაციონალური აღზრდის საძირკველი და ქვაკუთხედია.

ინტერნაციონალიზმი ვითარდება და მკვიდრდება მხოლოდ ხალხთა სრული ორმხრივი ნდობის პირობებში.

ამოცანა ის არის, რომ პარტიული ორგანიზაციები გვევლინებოდნენ ნამდვილ ორგანიზატორებად, პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის კოლექტიურ მებრძოლებად, და ამ საფუძველზე ყოველი ღონისძიებით განამტკიცებდნენ ხალხთა ლენინურ მეგობრობასა და ძმობას.

ყველა ჩვენი ღონისძიება ამ დიად მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ჩვენ საინტერესო და სასარგებლო მუშაობას მოველით ცენტრალურ კომიტეტთან ახლახან შექმნილი ერთაშორისი ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის მუშაობის კოორდინაციის საბჭოსაგან. ამასთან დაკავშირებით დიდ შესაძლებლობებს გვისახავს საბჭოთა საქართველოს, მისი კომპარტიის, ჩვენი ავტონომიური ერთეულების მე-60 წლისთავისათვის მზადება, ამ ისტორიული თარიღების დღესასწაულობა, რომლებმაც დასაბამი მისცა ჩვენი მხარის აღორძინებასა და აყვავებას.

ასევე უნდა განვიხილოთ გეორგიევსკის ტრაქტატის — იმ აქტის ხელმოწერის მომავალი მე-250 წლისთავის მნიშვნელობა, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ერთიანობის „კავშირი რომ შეადუღაბა.

საქართველოს კომუნისტებს თავიანთ წარმატებათა მაცოცხლებელ წყაროდ მიაჩნიათ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიადი მეგობრობა, განუყრელი ძმობა.

დღეს გაიხსნა სომხეთის კომპარტიის ყრილობა, ერთი კვირის შემდეგ გაიხსნება აზერბაიჯანისა.

ჩვენ მივესალმებით სომხეთისა და აზერბაიჯანის მოძმე მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებიც ერთგულობენ ამიერკავკასიის ხალხთა კეთილმეზობლობისა და მეგობრობის მდიდარ და ოდინდელ ტრადიციებს.

ჩვენ უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ერთიანი სოციალისტური ოჯახის — საბჭოთა კავშირის ყველა თანასწორუფლებიან ძმმე ხალხს.

ნება მიბოძეთ, ჩვენი ყრილობის სახელით მხურვალედ მივესალმო რუსეთის კომუნისტებს, ყველა მშრომელს, დიდ რუს ხალხს, რომელიც ამ კავშირის ხერხემალია, ამ კავშირის თავიდათავია.

და, როცა ჩვენი რესპუბლიკისადმი, რესპუბლიკური პარტორგანიზაციისადმი ყოველდღიური დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს და პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, ჩვენ ეპითეტის გულისთვის როდი ვუწოდებთ ისტორიულს ყველა იმ დადგენილებას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რომ მიიღო ჩვენი რესპუბლიკის შესახებ. ყველა ეს დოკუმენტი გვაოცებს და აღგვაფრთოვანებს საქართველოს უაღრესად სპეციფიკური პრობლემებისა და პირობების ღრმა ცოდნით და უზუსტესი მეცნიერული ანალიზით, ადგილობრივი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. რა არის ეს, თუ არა გამოხატულება პარტიის ყველაზე „ონკრეტული, როგორც მატერიალური, ისე მორალური, ყველაზე გაზრებული და ნაყოფიერი ზრუნვისა ჩვენი ეროვნული დოვლათის განვითარებისათვის, ჩვენი აწმყოსა და მერმისისათვის!

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების, ტელევიზიისა და რადიოს, აგრეთვე გამომცემლობათა მორიგი ამოცანების განსაზღვრისას, ჩამოვაყალიბეთ მოთხოვნა — მიგვეღწია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესასრულებლად, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად ბრძოლის მაღალი უკუგებისათვის.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დაზასიათებისას ცენტრალურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა მათს როლს რესპუბლიკაში მორალური ატმოსფეროს განწმენდის საქმეში. ამ ყრილობაზე უნდა ვთქვათ, რომ პრესა, ტელევიზია და რადიო ბევრს იღვწიან ჯანსაღი ზნეობრივ-ფსიქოლოგიური კლიმატის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს შემოქმედებითი ძიება, რომელსაც ამ მიმართულებით ეწევიან გაზეთების „კომუნისტისა“ და „ზარია ვოსტოკას“, სახტელერადიოს ჟურნალისტები, რომლებიც ტონის მიმცემნი არიან მთელი რესპუბლიკის პრესისათვის. დადებითი შეფასების ღირსია ბოლოდ ოდნელება, რომელიც შეიძინეს საქინფორმმა, გაზეთებმა „სოფლის ცხოვრებამ“, „სოვეტაკან ვრასტანმა“, „სოვეტ გურჯუსტანიმ“, ახალგაზრდულმა გაზეთებმა.

ამასთანავე რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საქმიანობაში ზოგჯერ ჯერ კიდევ შეიმჩნევა, რომ ნაჩქარევად, ზერელედ, სტიქიურად და არათანამიმდევრულად მუშაობენ, რაც დაღს ასვამს საარსებო მნიშვნელობის პრობლემებისა და საზოგადოებრივი პროცესების გაგაზრების დონეს.

იდეოლოგიური ზემოქმედების ეფექტიანობა, უწინარეს ყოვლისა, იმითზეა დამოკიდებული, ვინც ამ პროცესს უწევს ორგანიზაციას. დღეს მასობრივი ინფორმაციის ორგანოების ხელმძღვანელ რგოლს მაღალი კომპეტენტურობა მართებს. მაგალითად, წამყვანი თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, რომელიც ჩვენი იდეოლოგიური ბურჯი უნდა იყოს, არსებითად განზე გაუდგა პარტიული ორგანიზაციის წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. როგორც დელეგატებმა იცით, საანგარიშო პერიოდში განმტკიცდა გაზეთ „კომუნისტისა“ და საქართველოს საინფორმაციო სააგენტოს, ჟურნალ „საქართველოს კომუნისტისა“ და სხვა ბეჭდვითი ორგანოების ხელმძღვანელობა.

პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს, ყველა ჩვენს ჟურნალისტს, თითოეულს ცალ-ცალკე უნდა ახსოვდეთ, რომ მათს პირად წვლილზე, პირად მონაწილეობაზე, დაინტერესებაზეა დამოკიდებული პარტიის მოთხოვნის წარმატებით განხორციელება — თითოეული გაზეთის, წიგნის, ტელეგადაცემის გადაქცევა მასების პოლიტიკური ორგანიზაციის, საზოგადოებრივი შეგნების ჩამოყალიბების ქმედითს საშუალებად.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა მოვახსენო ყრილობის სახელით „პრავდის“ „იზვესტიის“, სხვა ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების „კომუნისტის“, „პარტიინაია ჟიზნის“ რედაქციებს, საკავშირო სახტელერადიოს რესპუბლიკისადმი დიდი ყურადღებისათვის.

ამხანაგებო!

საგრძნობლად გაიზარდა ლიტერატურისა და ხელოვნების იდეოლოგიური ეფექტი, იდეოლოგიური ფუნქცია. ჩვენი თანამედროვის მსოფლმხედველობის, ესთეტიკური გემოვნების, მთელი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბების საქმეში მიმდინარეობს, ერთი მხრივ, წმინდა პარტიული, იდეოლოგიური ფენომენისა და, მეორე მხრივ, ლიტერატურისა და ხელოვნების ინტეგრაციის, აღმზრდელობითი ღირებულებების ურთიერთშეღწევის პროცესი.

ლიტერატურისა და ხელოვნებისადმი, კულტურული მშენებლობის პრობლემებისადმი პარტიული დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითებს გვაძლევს ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

ის ფაქტი, რომ ჩვენს დღეებში ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ლიტერატურის ჟანრს მიმართა და დაწერა შესანიშნავი ტრილოგია, რომელიც ლენინური პრემიით აღინიშნა, მოწმობს, რაოდენ დიდად აფასებს პარტია ლიტერატურისა და ხელოვნების როლს.

ჩვენ XXV ყრილობაზე ვთქვით, არცთუ ისე შორეულ წარსულში ეკონომიკაზე მეტად ადამიანის ფსიქიკა დაზარალდაო. სწორედ ეს განსაზღვრავდა ლიტერატურისა და ხელოვნების როლს ადამიანის აღზრდისათვის ბრძოლაში.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე გადაწყვეტილების შემდეგ, კულტურისადმი ხელმძღვანელობამ განვითარების გარკვეული ეტაპები გაიარა. პარტიის XXV ყრილობამდე პერიოდში კულტურის სფეროს იწყო გარდაქმნა ახალ ყაიდაზე, რესპუბლიკაში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით, ხოლო **საანგარიშო პერიოდში წარმატებით მიმდინარეობდა კულტურის მოღვაწეთა პოლიტიკური და მხატვრული ღირებულებრივი ორიენტაციის საგრძნობი ინტეგრაცია, მათი პოლიტიკური და მხატვრული მიზნობრივი დებულებების შერწყმა.**

70-იან წლებში წარმატებით ვითარდებოდა ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური საბჭოთა საქართველოს კულტურა, ქართველი ხალხის, ავტონომიური ერთეულების ლიტერატურა და ხელოვნება, აფხაზი და ოსი ხალხების, ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეყველა ხალხთა კულტურა.

საბჭოთა საქართველოში მწერალთა, მხატვართა, კომპოზიტორთა, არქიტექტორთა, კინემატოგრაფისტთა, ჟურნალისტთა კავშირების, თეატრალური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული და სხვა საზოგადოებების 10 ათასზე მეტი წევრია. ეს ტალანტების მთელი არმიაა, ჩვენი უდიდესი მონაპოვარია. და თითოეული მათგანი მთელი სამყაროა.

კარგ ტრადიციად დამკვიდრდა რესპუბლიკის კომპარტიის ხელმძღვანელთა სისტემატური საქმიანი შეხვედრები შემოქმედ ინტელიგენციასთან. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან სულიერ ღირებულებათა შექმნა ისევე აქტუალურად დგას ჩვენს წინაშე, როგორც მატერიალური ღირებულებებისა. ჩვენ ისევე გულწრფელად, მთელი არსებით შევხარით ახალი რომანების, პოემების, სიმფონიების, კინოფილმების, ტილოების, ქანდაკებების შექმნას, როგორც ენგურჰესის აგებას, ახალი თანამედროვე თვითმფრინავის აშენებას, რესპუბლიკის რუკაზე ახალი ქალაქის გაჩენას.

ამოუწურავია ადამიანზე სულიერ ღირებულებათა იდეოლოგიური ზემოქმედების ძალა. აბა, რა ლექციები, მოხსენებები, დისპუტები, სიმპოზიუმები შეცვლის, ვთქვათ, გიორგი თორელის, ახალი ტიპის პარტიის რაიკომის მდივნის კინოსახის იდეოლოგიურ ეფექტს?! ანდა ჭეშმარიტად ხალხურად ქცეული კომენსტენტებისადმი მიძღვნილი ლექსისას?! ანდა რუს ხალხთან მეგობრობისადმი მიძღვნილი ლექსად დაწერილი რომანისას?! ანდა კომუნისტ ბაჩანა რამაშვილის მიერ აღმოჩენილი ზნეობრივი ყოფიერების მარადიული კანონისას?! აქ საქმე სულაც არ ეხება პარტიული პროპაგანდის სისტემასა და ხელოვნების სფეროში ადამიანთა გულსა და გონებაზე ზემოქმედების საშუალებათა დაპირისპირებას. პროპაგანდას მეტი შესაძლებლობა აქვს იმისა, რომ უშუალოდ შეიტანოს იდეები მასებში, ხოლო ხელოვნებას იმისა, რომ იგივე იდეები მასების კუთვნილებად აქციოს მხატვრული სახეების მეშვეობით, დადებითი ემოციური ძალით და დიდი ხნით.

ყრილობიდან ყრილობამდე რესპუბლიკის კულტურული ცხოვრების საგულისხმო ნიშანია არა მარტო მხატვრულ ნაწარმოებთა ახალი გმირების, არამედ აგრეთვე გმირი მწერლების გაჩენაც. ქართულ რომანს პირველად მიეხეპა ლენინური პრემია ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში. წელს პირველად აღინიშნა ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატთა ნაწარმოებები საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიით — „ხუთწლედის მატიანე“. **ამ პრემიის დაწესება და მიკუთვნება მოწმობს, რომ კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა ლიტერატურისა და ხელოვნების კავშირი ხალხის ცხოვრებასთან.** ვფიქრობ, სწორია, რომ პოეტი ოსეან ნონეშვილი რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიაზეა წარდგენილი. იგი აღარ არის, მაგრამ მაინც ჩვენ შორის გვეგულება — მეათე ხუთწლედის სახელოვან საქმეთა ეს ერთ-ერთი მონაწილე, თითქოს ამ მაღალი ტრიბუნიდან მოგვეესმისო მისი ხმა — პატრიოტის, ინტერნაციონალისტის ხმა.

საუკეთესო ნაწარმოებთა გმირები ჩვენთან ერთად დაადგებიან დედამიწაზე. ხოლო 70-იანი წლების გმირები ამ მიწამ რომ შვა, კომუნისტები და კომკავშირელები, თამამი ექსპერიმენტების პიონერები, მწყემსები და ინჟინრები ლიტერატურულ გმირებად შედიან დიდ ხელოვნებაში.

საზოგადოების ცხოვრებაში ლიტერატურისა და ხელოვნების როლისა და მნიშვნელობის განუზომელი ზრდის კვალობაზე სულ სხვაგვარი ძალა ეხიბება ადამიანის მეშვეობით სულიერ ღირებულებათა მატერიალიზაციას, რომელიც ახლა სხვა საწყაოთი აიწყვის.

ჩვენ ვამბობთ, რომ ამმწყობებული სოციალიზმის ეპოქაში იზრდება სულიერ ღირებულებათა უშუალო აღმშენებლობითი ძალა. ერთობ მიმზიდველად გვესახება **მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალისა და ლიტერატურის და ხელოვნების უშუალო აღმშენებლობითი ძალის ინტეგრაცია მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა დიალექტიკის ფონზე.** მაგალითად, არქიტექტურის ხელოვნების აღმშენებლობითი ძალის შერწყმა მეცნიერების უშუალო საწარმოო ძალასთან სამშენებლო ინდუსტრიაში სასწაულებს ახდენს. იგივე შეიძლება ითქვას წარმოებისა და მრავალი სხვა პროცესის ესთეტიკურ ღირებულებათა ინტეგრაციაზეც. სულიერ და მატერიალურ ღირებულებათა ასეთი ოპტიმალური ინტეგრაცია ჩვენი უმნიშვნელოვანესი პრაქტიკული ამოცანაა.

პარტიული მუშაკები, ჩვეულებრივ, არც ლექსებს წერენ, არც სიმფონიებს და არც რომანებს — იმიტომ კი არა, რომ არ გვინდა, უბრალოდ არ შეგვიძლია — ყველას როდი აქვს მომადლებული მხატვრულ ღირებულებათა შექმნის ნიჭი, მაგრამ მათზე ბევრი რამ არის დამოკიდებული — ისინი შემოქმედების ატმოსფეროს ქმნიან. **მაღალიდეური და მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნის ყოველმხრივ მხატიმულირებელი ატმოსფეროს ჩამოყალიბება საქართველოს კომპარტიის უკანასკნელი წლების ერთ-ერთი თვალსაჩინო მონაპოვარია.**

პარტიულ მუშაკებს უნდა ესმოდეთ, რომ ხელოვნის გული, შემოქმედის ფსიქიკა, მისი სული საოცრად მდიდარი, უნიკალური, მაგრამ ამასთან ერთობ მგრძნობიარე, ფაქიზი, ხშირად კი ნაზი მოვლენაც არის: ალბათ პარტიულ მუშაკს ისე არსად მოეთხოვება ფსიქოლოგიის, მეტადრე შემოქმედებისა და შემოქმედის ნატურის ფსიქოლოგიის ცოდნა, როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან, საერთოდ ინტელიგენციასთან ცოცხალ ურთიერთობაში. ძალზე საჭიროა დროზე შეამჩნო ხელოვნის წარმატება, მხარში ამოუდგე მას წარუმატებლობის ჟამს, მოთმინებით, კეთილმოსურნედ განუმარტო პარტიის პოზიცია. აგდებულ, ქედმაღლურ ტონს, კომუნისტურ ყოყოჩობას არსად არ მოაქვს ჩვენთვის იმდენი ვნება, რამდენიც კულტურის მოღვაწეებთან ურთიერთობაში.

საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პარტიულმა, იდეოლოგიურმა მუშაკებმა დაძლიეს პრიმიტივიზმი, ზერელობა კულტურისადმი ხელმძღვანელობაში და გარკვეული მოწყვეტა, განცალკევება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისაგან, უფრო თამამად იჭრებიან შემოქმედების რთულსა და სიღრმისეულ პროცესებში.

სწორედ ასეთი ატმოსფერო უწყობს ხელს ლიტერატურისა და ხელოვნების ჭეშმარიტად ნიჭიერი, ნოვატორული ნაწარმოებების შექმნას.

ჩვენ მივესალმებით 70-იანი წლების ქართულ ხელოვნებას — ჩვენი თეატრის ნოვატორობას, რომელსაც შეუძლია თანამედროვის თვალით იკითხოს კლასიკოსები, მივესალმებით კინემატოგრაფისტებს, რომელთა ფილმები სულ უფრო ხშირად იღებენ საკავშირო და საერთაშორისო პრემიებსა და პრიზებს, მივესალმებით მხატვრებსა და კომპოზიტორებს, ფერთა და ჰანგით რომ ასახავენ დროის ჰეროიკას და ადამიანებს, მივესალმებით ყველას, ვინც შეხარის თანამედროვეობას და ვინც თავისი შემოქმედებით მერმისისაკენ მიისწრაფვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის განხორციელებაში კლასობრივი, პოლიტიკური სიფხიზლის საკითხი ცენტრალური კომიტეტის ყურადღების ცენტრში იყო და არის.

თვისებრივად განახლდა პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების ხელმძღვანელი შემადგენლობა. პასუხსაგებ სამუშაო უბნებზე გავგზავნეთ პოლიტიკურად მომწიფებული კადრები.

ამაღლდა მილიციის, პროკურატურის, სასამართლოსა და იუსტიციის დაწესებულებათა კომუნისტების, მუშაკების მორალურ-პოლიტიკურ მდგომარეობასა და სამსახურებრივ საქმიანობაზე პარტიული გავლენის ეფექტიანობა.

მართლწესრიგის დასაცავად მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საქმეში პრინციპული და მთავარი საფუძველი გახდა პარტიული კომიტეტებისათვის საპროგრამო დოკუმენტი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ამ საკითხზე. პარტიული და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის გააქტიურებაში არსებითი როლი შეასრულა იმან, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან შეიქმნა ამ დადგენილების შესრულების საკითხთა სამუშაო ჯგუფი. ეს ჯგუფი ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის გ. ვ. კოლბინის მეთაურობით ახორციელებს დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც ახლა მოქმედებენ რესპუბლიკის ყველა პარტიულ კომიტეტთან, სამინისტროსთან და უწყებასთან. ამის მეოხებით შეიქმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების რეალიზაციის მწყობრი სისტემა.

ყოველივე ამას არ შეიძლებოდა სასიკეთო გავლენა არ მოეხდინა ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკული საქმიანობის შედეგებზე, რომლებმაც უზრუნველყვეს დამნაშავეობის, მისი ცალკეული სახეობა გამოვლინებების შემცირების გარკვეული ტენდენცია.

ძნელ, მაგრამ საპატიო და პასუხსაგებ მუშაობას ეწევიან სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, რომლებსაც სათავეში უდგას ბიუროს წევრებს შორის ყველაზე გამოცდილი, მთელ რესპუბლიკაში პატივცემული კაცი ამხანაგი ა. ნ. ინაური. ისინი ღირსეულად განაგრძობენ ძერჟინსკელი ჩეკისტების სახელოვან ტრადიციებს დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დაცვის, საბჭოთა სახელმწიფოს საიმედო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ მთლიანად ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ეფექტიანობა, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ტემპი და ინტენსიურობა ჯერ კიდევ არ შეესაბამება დღევანდელობის მოთხოვნებს.

მთლიანად არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი პასუხისმგებელი თუ სხვა მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულად და არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობებს. არ არის საკმარისი მათი კვალიფიკაციის დონე. რესპუბლიკაში დამნაშავეობასთან ბრძოლის ეფექტიანობაზე უარყოფითს გავლენას ახდენს სასამართლო-სამაგალო ორგანოების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი.

სამართალდამცავი ორგანოები კვლავაც უნდა იყვნენ პარტიის პოლიტიკის მტკიცე გამტარებლები, იჩენდნენ ღრმა პოლიტიკურ პრინციპულობასა და კლასობრივ სიფხიზლეს.

2. გავაუმჯობესოთ საბჭოების, პროფკავშირების, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციისადმი პარტიული ხელმძღვანელობა

ამხანაგებო!

საანგარიშო პერიოდში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დღენიადაგ უთმობდა ყურადღებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სტილის სრულყოფის, მათი როლის, ავტორიტეტის, დაკისრებული ფუნქციების განხორციელებაში დამოუკიდებლობის გაძლიერების საკითხებს.

ყველა რგოლის საბჭოების მუშაობის თვისებრივად ახალ ეტაპს მისცა დასაბამი სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისა და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის მიღებამ, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის არჩევამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ. საბჭოებმა საგრძნობლად გააქტიურეს საქმიანობა, გაუმჯობესეს ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის, მეტ ყურადღებას უთმობენ მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესების, ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის საკითხებს.

კიდევ უფრო განვითარდა დემოკრატიული საწყისები გაუმჯობესდა სესიების საქმიანობა, განმტკიცდა დეპუტატთა კავშირურთიერთობა ამომრჩევლებთან, უფრო ზუსტად მიმდინარეობს მუშაობა მათი განაწესების რეალიზაციისათვის. რეგულარული გახდა აღმასრულებელი კომიტეტების ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობისადმი. გამოცოცხლდა მუდმივი კომისიების საქმიანობა.

ამასთანავე ბევრი საბჭოს მუშაობის დონე ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. ისინი სუსტად ახორციელებენ მათთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და საკონტროლო ფუნქციებს, მთლიანად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. ჯერ კიდევ არ არის საკმარისი საბჭოების როლი კომპლექსური ტერიტორიული ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფაში, გამოუყენებელი რეზერვების ძიებაში, საბჭოების ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმო-ორგანიზაციის მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებაში.

საბჭოთა ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ მრავლად არის ფაქტები, როცა უსულგულოდ ეკიდებიან ადამიანთა საჭიროებებს, ფორმალურ-ბიუროკრატიულად უდგებიან საქმეს. დეპუტატებთან და მოსახლეობას შორის მუშაობაში ურიგდებიან ფორმალიზმსა და გამარტივებას, ზოგჯერ კი დემოკრატიზმისა და საჯაროობის პრინციპების უგულებელყოფას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ნიადაგ უნდა იზრუნოს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხთა გადაწყვეტაში ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოების როლის ამაღლებისათვის, უფრო ღრმად უნდა სწავლობდეს და ავრცელებდეს მათი ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობის დაღებითს გამოცდილებას.

პრეზიდიუმის საქმიანობის შესახებ პარტიული სკკ-ბაასი გაიმართა XXV ყრილობაზე, ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე. სასიხარულოა, რომ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები გათვალისწინებულია მის შემდგომ მუშაობაში.

ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ პ. გ. გილაშვილს პარტიული და საბჭოთა მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს, იგი ცნობილია, როგორც კომუნისტისა და მოქალაქის კარგი თვისებების მქონე კაცი, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ავტორიტეტის ასამაღლებლად.

საჭიროა იგი უფრო ღრმად სწავლობდეს ადგილობრივი, განსაკუთრებით რაიონული და საქალაქო საბჭოების საქმიანობას, უფრო აქტიურად ამზადებდეს და შემოქმედეს წინადადებები ყველა რანგის საბჭოების მუშაკთა აღსაზრდელად სიტყვისა და საქმის ერთიანობის, პრინციპულობისა და გულახდილობის სულისკვეთებით, ხელს უწყობდეს იმას, რომ საბჭოების მუშაობაში თავიდან ბოლომდე დამკვიდრდეს პარტიულობის, კონკრეტულობისა და საქმიანი მიდგომის პრინციპები. ზოგიერთმა დელეგატმა იცის, რომ ყვარლისა და ხაშურის რაიონებში, ზოგან სხვაგანაც იყო რაიონმასკომების თავმჯდომარეების მხრივ პარტიული ხელმძღვანელობის შეუფასებლობის ფაქტები. მან და სხვა ხელმძღვანელმა ამხანაგებმა უფრო მტკიცედ უნდა იბრძოლონ ასეთი ანომალიების წინააღმდეგ.

როცა დემოკრატიზმზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება არ გავიხსენოთ დიდ ქალაქებში შექმნილი მიკრორაიონების საბჭოები. ისინი თავდაპირველად ექსპერიმენტის წესით შეიქმნა და მცირერიცხოვანი იყო, მაგრამ უკანასკნელ წლებში გადაიქცა მნიშვნელოვან ძალად, რომელიც წარმატებით წყვეტს ადგილებზე დიდმნიშვნელოვან სოციალურ-საყოფაცხოვრებო ამოცანებს.

პოზიტიური ცვლილებებით ხასიათდება რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუშაობის სტილი. სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანო სულ უფრო წარმატებით ართმევს თავს სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრაქტიკული ხელმძღვანელობის ვრცელ ფუნქციებს, რომლებიც მას აკისრია. უმჯობესდებოდა მინისტრთა საბჭოს სტრუქტურა. შეიქმნა ახალი განყოფილებანი, მოხდა მრავალი სხვა ცვლილება.

რესპუბლიკის მიერ მიღწეულ ყველა წარმატებაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ მინისტრთა საბჭოსაც და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსაც. მათ სათანადო დასკვნები გამოიტანეს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებიდან. მაგრამ მაინც, უნდა ითქვას, რომ მინისტრთა საბჭოს, ასევე, სამინისტროებისა და უწყებების, თავიდან ბოლომდე მთელი სამეურნეო აპარატის მუშაობაში ჯერ კიდევ ვერ პოვა შემდგომი განვითარება გადაწყვეტილებათა მომზადებისა და მიღების დემოკრატიულმა ფორმებმა, რაც ამცირებს მათი კომპეტენტურობისა და დასაბუთების დონეს.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია. აქ დიდი მოცულობის სამუშაო რთული გადასაწყვეტი ამოცანების მრავალფეროვნებას ეხამება. მინისტრთა საბჭოს, სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების მუშაობის სტილი დიდად არის დამოკიდებული მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მუშაობის სტილზე. ამხანაგ ზ. ა. პატარაიძეს საკმარისად აქვს ცოდნა ეკონომიკის, მართვის დარგში, აქვს ანალიზური გონება და დიდი ენერგია.

მან უნდა გააძლიეროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, გააფართოოს მათი დამოუკიდებლობა, დაძლიოს ფაციფუცის ელემენტები, მიაღწიოს იმას, რომ ყოველმხრივ და თანამიდევრულად სრულდებოდეს მიღებული გადაწყვეტილებანი, ქმნიდეს ისეთ სამუშაო ვითარებას, როცა თითოეულმა მუშაკმა იცის თუ რა აკეთოს და როგორ აკეთოს, ამის მიღწევა იოლი საქმე არ არის, მაგრამ აუცილებელია.

ეჭვი არ არის, რომ აღნიშნულ მითითებებს გაითვალისწინებენ და მინისტრთა საბჭოს მუშაობის სტილი მთლიანად შეესატყვისება მეთერთმეტე ხუთწლედში გადასაწყვეტი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების სირთულეს და მასშტაბს.

საანგარიშო პერიოდისათვის დამახასიათებელია პროფკავშირთა საქმიანობის დონის ამაღლება და მათდამი პარტიული ყურადღებისა და მზრუნველობის გაძლიერება.

პროფკავშირებმა სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს თავიანთ მრავალმხრივ მუშაობაში. დიდია პროფკავშირთა წევრი მშრომელების პროკვენტი. პროფსაბჭოსთან მოქმედებს შრომის დისციპლინის განმტკიცების შტაბი. ბევრი რამ გაკეთდა შრომის დაცვის დარგში. გაძლიერდა პროფკავშირების როლი სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობაში, მშრომელთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვაში, მიმდინარეობს დემოკრატიის შემდგომი განვითარება პროფკავშირული ცხოვრების ყველა სფეროში. დიდ დახმარებას გვიწევენ საკავშირო პროფსაბჭო და მისი ხელმძღვანელობა.

და ყოველივე ამაში უდავოა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატის ამხ. თ. ი. მოსაშვილის წვლილი, მაგრამ, ჩვენი აზრით, მას უფრო მტკიცედ მართვის ბრძოლა პროფკავშირული ორგანიზაციების, მუდმივმოქმედი საწარმოო თათბირების საქმიანობაში, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების, მათი შესრულებისადმი კონტროლის პრაქტიკაში ფორმალიზმის აღმოფხვრისათვის. აი მაშინ პროფკავშირების მუშაობა უფრო მჩქეფარე გახდება.

პროფკავშირებს თავიანთ ძირითად ამოცანად უნდა მიაჩნდეთ შეიმუშაონ სისტემა, რომელიც მთელ მათს მოვალეობებს გააერთიანებს ერთიან მაგისტრალურ მიმართულებად: ეს გახლავთ ადამიანებთან მუშაობის სტილის სრულყოფა, ადამიანის საჭიროებებისა და მოთხოვნებისადმი ყურადღების გაძლიერება, შრომითს კოლექტივებში მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების არსსა და სიღრმეში ჩაწვდომა, მშრომელთა აქტიური ჩაბმა წარმოების მართვაში.

თანამედროვე ეტაპზე პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სახალხო კონტროლის ორგანოებს, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მუშაობაში ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად, საშემსრულებლო დისციპლინის განსამტკიცებლად ბრძოლაში მასების ჩაბმის ეფექტიან საშუალებად მიიჩნია.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაითვალისწინა ყოველივე ეს და განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უწყობს რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების როლის შემდგომ გაძლიერებას, მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების სრულყოფას, რასაც უცილობლად მოჰყვა სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის გააქტიურება. უნდა გავაძლიეროთ სახალხო კონტროლიორთა პასუხისმგებლობა. კონტროლის უფლება გულისხმობს პარტიისა და ხალხის წინაშე სახალხო კონტროლის თითოეული მუშაკისა და აქტივისტის პასუხისმგებლობის ამაღლებას. ჩვენს საზოგადოებაში არ არსებობს უფლებები უმოვალეობოდ, არ არსებობს პრეროგატივები პასუხისმგებლობასთან შეუხამებლად.

3. სრულვყოთ ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, განვავითაროთ პარტიული დემოკრატია, განვამტკიცოთ პარტიული დისციპლინა, ავამაღლოთ კომუნისტთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობა

ამხანაგებო!

ყრილობებს შორის პერიოდი საქართველოს კომპარტიისათვის იყო მისი რიგების შემდგომი განმტკიცების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების, საოლქო კომიტეტების, — მეათე ხუთწლედის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში მთავარი მაორგანიზებელი და ხელმძღვანელი ძალის ბრძოლისუნარიანობისა და ავტორიტეტის ზრდის წლები.

დღეს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის რიგებში აერთიანებს 350 ათას სკკპ წევრსა და წევრობის კანდიდატს — 32 ათასით მეტს, ვიდრე ხუთი წლის წინათ იყო. დღეს კომუნისტია საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 18 წელზე უხნესი ყოველი მეექვსე მომუშავე და ყოველი მეათე მოქალაქე.

პოზიტიური ძვრები მოხდა კომუნისტების განაწილებაში. გაძლიერდა პარტიული გავლენა დარგებში, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს.

საქართველოს კომპარტია უპირატესად მოწინავე მუშათა და კოლმეურნეთა ხარჯზე იზრდება; ისინი პარტიაში მიღებულ პირთა 71 პროცენტს შეადგენენ. სულ უფრო მეტნი შემოდიან სკკპ რიგებში ახალგაზრდები, ქალები.

აღნიშნული ტენდენციები მოწმობს პარტიულ ორგანიზაციათა გააზრებულ და გეგმაზომიერ მუშაობას ჩვენი რიგების ზრდისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის დიდი ყურადღებითა და ღრმა გაგებით ეკიდება ადგილობრივი პარტიული ორგანოების წინადადებებსა და თხოვნებს. სწორედ ცენტრალური კომიტეტის ამ მხრუნველობის მეოხებით არსებითი ცვლილებები მოხდა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის სტრუქტურაში.

შეიქმნა პარტიის ახალი რაიონული კომიტეტები — გლდანისა ქალაქ თბილისში, ლენინის და ავტოსაქარხნო — ქალაქ ქუთაისში.

სტრუქტურულ სიახლეებს შორის უნდა აღინიშნოს, რომ რკინიგზის ტრანსპორტზე შეიქმნა შვიდი საკვანძო პარტიული კომიტეტი, ჩამოყალიბდა საწარმოო გაერთიანებებში შემავალი საწარმოების პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა მთელი რიგი საბჭოები.

ხუთი წლის მანძილზე პირველადს პარტორგანიზაციებში პარტიული კომიტეტების რიცხვი გაიზარდა 200-ით, ანუ 37 პროცენტით. ეს ასახავს პირველადი ორგანიზაციების გამსჭვალობის პროცესს. ამავე დროს შეიმჩნეოდა ახალ წარმოებათა, საწარმოთა, დაწესებულებათა შექმნის ხარჯზე პირველადი პარტორგანიზაციების საერთო რაოდენობის ზრდა (მათმა რიცხვმა 655-ით მოიმატა).

განსაკუთრებით დიდი ძვრები მოხდა საამქრო პარტორგანიზაციებისა და პარტიული ჯგუფების რაოდენობაში, რამაც შესაძლებლობა მოგვცა მნიშვნელოვნად გაგვფართოებინა პარტიული გავლენა შრომითს კოლექტივებში.

მაგრამ, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მთლიანად ჩვენი პარტიული ორგანიზაციისა და ცალ-ცალკე ყველა მისი რგოლის შინაგან მექანიზმში ჩვენ უკვე მივაღწიეთ სტრუქტურულ და თვისებრივ სრულყოფას.

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური, ეკონომიკური და სამეფურნეო მექანიზმის სრულყოფის პროცესები პარტიული გავლენის შესაბამის გაღრმავებას მოითხოვს, რასაც მხოლოდ ჩვენი რიგების შედგომი განმტკიცების გზით შეგვიძლია მივაღწიოთ.

ჩვენი ყრილობა, ხატოვნად რომ ვთქვათ, — ეს არის შემაჯამებელი კრება იმ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიისა, რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში რომ მიმდინარეობდა გასული წლის სექტემბრიდან. ეს არის საბოლოო ეტაპი საქართველოს კომუნისტთა მზადებისა სკკპ XXVI ყრილობისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს კომუნისტთა მთავარი ფორუმისათვის.

საყრილობო საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი ის არის, რომ მასში სრული გამოხატულება პოვა ბრძნულმა ლენინურმა დებულებამ: „პარტიის ყოველი წევრი, პასუხისმგებელია პარტიისათვის და პარტია პასუხისმგებელია ყოველი წევრისათვის“, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დიდ მუშაობას ეწევა იმისათვის, რომ ჩაუნერგოს კომუნისტებს პარტიის ყოველგვარ საქმიანობაში მონაწილეობის წყურვილი, კიდევ უფრო გააკეთიროს ისინი, რაც კანონზომიერად აისახა კრებებზე დასწრებისა და საკითხთა განხილვაში მონაწილეობის მაღალი მაჩვენებლებით — შესაბამისად 98 და 39 პროცენტი.

საქმის თვისებრივ მხარეზე თუ ვილაპარაკებთ, მთლიანად საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ ცხადყო კომუნისტების, პარტიული აქტივის მაღალი სიმწიფე, პრინციპულობა და კომპეტენტურობა სხვადასხვა სამუშაო უბანზე საქმის მდგომარეობის ანალიზსა და შეფასებაში, არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ღონისძიებათა შემუშავებაში, წადილი — იმუშაონ ხვალ დღევანდელზე უკეთ. ჩვენ დღეს ვნახეთ ბევრი ახალი, საინტერესო ადამიანი, ნიჭიერი ხელმძღვანელი და კარგი ორგანიზატორი, დავინახეთ საგნობრივი, კონსტრუქციული მიდგომა მომავალი ამოცანების გადაწყვეტისადმი.

გულდასმით გავაანალიზეთ ყველა პარტიული კონფერენციის მასალები, კომუნისტთა წერილები და პასუხი რესპუბლიკის კომპარტიის XXVI ყრილობისათვის მზადებასთან დაკავშირებით ცენტრალური კომიტეტის მიმართვაზე. ყველაზე საინტერესო აზრები, კრიტიკული შენიშვნები, წინადადებები, რომლებიც დაჯგუფებულია ჩვენი მუშაობის უმნიშვნელოვანესი მიმართულებების მიხედვით, სპეციალურ ბროშურად გამოიცა და უკვე დაურიგდათ ყრილობის დელეგატებს.

თითოეულ ჩვენგანს შესაძლებლობა მიეცა ზიარებოდა წინანდელი კონფერენციების სულისკვეთებას, პრობლემებს, რომლებიც განსაკუთრებით აწუხებთ კომუნისტებს, ვგონეს, საზოგადოებრივი აზრის. შესახებ დელეგატთა ასეთი უშუალო ინფორმირება სასარგებლოა.

ეს ჩვენ მიგვაჩნია მუშაობის იმ დემოკრატიული სტილის კიდევ ერთ გამოხატულებად, რომელიც თანამიმდევრულად მკვიდრდება რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში და რომელსაც ჩვენ, როგორც ამას კომუნისტები მოითხოვენ, კვლავაც კიდევ უფრო მტკიცედ გავატარებთ.

როგორც გახსოვთ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების განუხრელი დაცვა, შინაპარტიული დემოკრატიის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის თანამიმდევრული განვითარება. 1976 წლის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ ეს ამოცანა წამოყენებულია სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებათა მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად.

საანგარიშო პერიოდში რესპუბლიკის კომპარტიის მთელი მუშაობა ეძღვნებოდა ამ მოთხოვნების პრაქტიკულ რეალიზაციას, ვინაიდან მათ გვიჩვენეს იმ სერიოზულ ნაკლოვანებათა დაძლევის მთავარი მიმართულებები, ეფექტიანი გზები და საშუალებები, რომლებიც რესპუბლიკის ცხოვრებას ახასიათებდა ახლო წარსულში.

საქართველოს კომპარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავიანთ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში მთავარი ყურადღება დაუთმეს სამერთიანი ამოცანის სისტემური და კომპლექსური გადაწყვეტას: **პარტიული ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების შემდგომ დემოკრატიზაციას, მასების შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის განმტკიცებას.**

ყრილობებს შორის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო შინაპარტიული დემოკრატიის მექანიზმის სრულყოფას. პრაქტიკა დამაჯერებლად მოწმობს, რომ **შინაპარტიული ცხოვრების ხარისხი, ლენინური ნორმებისადმი მისი მისადაგება პრინციპულ გავლენას ახდენს მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების ხარისხზე.** ამიტომ შინაპარტიული დემოკრატიის შემდგომ განვითარებას გარდუვალად მოსდევს დემოკრატიზმის გაღრმავება ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს კი, თავის მხრივ, ტემფულ აძლევს მასების შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის შემდგომ ზრდას, რისთვისაც ჩვენ ვიღვწოთ.

ამ დიალექტიკურ ურთიერთკავშირს უნდა ხედავდეს და გრძნობდეს ყოველი ჩვენგანი. იგი განსაკუთრებით ცხადად უნდა შეიგნონ იმათ, ვინც ყოველხალად, დაშვებული თუ დაუშვებელი ხერხებით, ეწინააღმდეგება ჩვენი ცხოვრების დემოკრატიულ პროცესებს. აკი თქვა ერთმა ფრიად პასუხისმგებელმა ამხანაგმა: „ეს დემოკრატიზაცია საბოლოოდ იმით დამთავრდება, რომ სამუშაოდან მომხსნიანო“. რას იზამ, შესაძლოა ასეთი ვარიანტებიც და ჩვენი პრაქტიკიდან მათი გამორიცხვა შეიძლება მხოლოდ დაკისრებული საქმისადმი კომპეტენტური, პასუხისმგებლური და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გზით.

სრულვყოფდით რა პარტიულ მუშაობას, ჩვენ ვისწრაფოდით აგვემაღლებინა კოლექტიური ხელმძღვანელობის ინსტიტუტების — პარტიული კრებების, ბიუროების, პლენუმების, კონფერენციების ეფექტიანობა, ჩაგვება რაც შეიძლება მეტი კომუნისტი გადაწყვეტილებათა მომზადებაში, გამოგვეყენებინა მათი გამოცდილება, წინადადებები.

ახლა ყოველ რეგიონში პარტიულ კომიტეტებთან და პირველადს პარტორგანიზაციებთან მოქმედებს გარკვეულ მიმართულებათა სხვადასხვა კომისია, საბჭო, შტაბი, მათს მუშაობაში მონაწილეობს ათეათასობით კაცი, რომლებიც, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, მათთვის დაკისრებულ პრობლემებს მართავენ.

საქმის საერთო მდგომარეობით კომუნისტთა დაინტერესებას, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ამაღლებას შეიუწყო ხელი **შინაპარტიული ინფორმაციის** გაუჯობესებამ, ყურადღებიანმა დამოკიდებულებამ პარტიის თითოეული წევრის შენიშვნებისა და წინადადებებისადმი.

მოგვარდა პირველადი პარტიული ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენის გამოშვება, რომელიც აშუქებს რესპუბლიკური ორგანოების საქმიანობას და ადგილობრივი ცხოვრების ყველაზე საინტერესო ასპექტებს. ყოველკვირეულად გამოდის მიმდინარე ინფორმაციის ბიულეტენი, რომელიც შეიცავს როგორც დადებითს, ისე კრიტიკულ შენიშვნებს ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების მუშაობის შესახებ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სპეციალურ ანგარიშებს ანაერებენ პირველადს პარტორგანიზაციებს უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის მიმდინარე მუშაობის შესახებ. რესპუბლიკური ორგანოების საქმიანობის სრულყოფის ყველა პრინციპულ საკითხს, როგორც წესი, წინასწარ განიხილავენ შრომითს კოლექტივებში და მათს აზრს ითვალისწინებენ გადაწყვეტილებათა შემუშავებისას.

ახალი კონსულტაციების დიდმნიშვნელოვანი ფორმა გახდა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრთა, რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენლებთან.

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზმის პირველადი უჯრედი — შრომითი კოლექტივი — სულ უფრო მეტად ხდება სახალხო ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. ამ მომენტს განსაკუთრებული ადგილი ეკავა ჩვენს მუშაობაში პირველადი პარტორგანიზაციების როლისა და ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, რომლებიც მუშაობის დემოკრატიული ფორმების უშუალო ორგანიზატორებად და გამტარებლებად გვევლინებიან.

დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციაში გულახდილი და პრინციპული აზრთა გაზიარების ვითარებაა შექმნილი. ეს ხელმძღვანელობას შესაძლებლობას აძლევს მუდამ იყოს საქმის რეალური მდგომარეობის კურსში და შეიმუშაოს სწორი გადაწყვეტილებანი. კომუნისტებს, მშრომელებს, თავის მხრივ, სწამთ, რომ მათი აზრი აღწევს ხელმძღვანელობამდე და მას ითვალისწინებენ საკითხთა გადაწყვეტისას.

იმპერიალისტური პროპაგანდა ამტკიცებს, თითქოს სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა ვერ უზრუნველყოფდეს საზოგადოების წევრთა სხვადასხვა მოსაზრებისა და ინტერესების გათვალისწინებას, თითქოს საზოგადოებრივ აზრს შეუძლია ეფექტიანად მოქმედებდეს მხოლოდ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

სინამდვილეში კი საქმე სწორედ რომ პირიქით არის.

ბურჟუაზიულ სისტემას, რომელსაც კლასობრივი წინააღმდეგობანი ღრღნის, ვერ ეძლება იმის პრეტენზია, რომ საზოგადოების ყველა ფენის ნებას გამოხატავს. ეს კარგად შენიშნა ჯერ კიდევ კ. მარქსმა. „ჯერ არც ერთ მთავრობას... — წერდა იგი, — არ გაუბედავს შეეკვეთა მუშათა კლასის სერიოზული ანკეტა“. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი აზრისადმი მიმართება — ეს არის პოლიტიკური და ფსიქოლოგიური დაზეიერვის, მებრძოლ კლასებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ლავირების ერთგვარი ინსტრუმენტი.

რაც შეეხება სოციალისტურ საზოგადოებას, **ყველა კლასისა და მოსახლეობის ყველა ფენის ძირეული ინტერესების დამთხვევის პირობებში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა სოციალური პროცესების დაჩქარების ფაქტორად გვევლინება.** ერთი მხრივ, იგი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიყენოთ მასების კოლექტიური გამოცდილება და გონება მეცნიერულად დასაბუთებული, რეალისტური გადაწყვეტილებების შესამუშავებლად. მეორე მხრივ — შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს, ხატოვნად რომ ვთქვათ, დაუბრუნოს ადამიანებს მათი აზრები და წინადადებები ახალი მატერიალური და სულიერი დოვლათის სახით. სწორედ ეს განაპირობებს ჩვენში საზოგადოებრივი აზრის შესწავლის ღირებულებას.

რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია დემოკრატიული პრინციპების გაღრმავება-გაფართოებასთან განუყოფელი კავშირით წარმართავდა მეცადინეობას დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ცხოვრებამ გვასწავლა, რომ მხოლოდ მაღალი დისციპლინისა და ორგანიზებულობის ვითარებაში შეიძლება მივიყვანოთ ლოგიკურ დასკვნამდე ყოველივე ის საუკეთესო, რასაც წარმოშობს დემოკრატიის გაღრმავების პროცესი ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მასების შემოქმედება და ინიციატივა.

რესპუბლიკაში შემოღებულია მუდმივი სტატისტიკური ანგარიშგება შრომის, საწარმოო, სახელშეკრულებო დისციპლინის მდგომარეობის შესახებ. მას რეგულარულად აანალიზებენ და იმავდროულად იღებენ საჭირო ზომებს. ქალაქისა და სოფლის მშრომელები, ცალკეული შრომითი კოლექტივები, პარტიული ორგანიზაციები პერიოდულად იჩენენ ინიციატივებს დისციპლინის სხვადასხვა ფორმის განსაკუთრებულად, რაც დიდ რეზონანსს იღებს.

დღეს ობიექტურად უფრო ადვილია ვიბრძოლოთ მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინისათვის, ვინაიდან ისინი სულ უფრო მეტად იქცევა შინაგან მოთხოვნილებად.

საანგარიშო პარტიული კრებებისა და კონფერენციების მასალების, აგრეთვე ყრილობის მზადების პროცესში მიღებული წერილების ანალიზი მოწმობს, რომ კომუნისტები ცენტრალურ კომიტეტს, ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებს უყენებენ სეროზულ მოთხოვნებს გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას

(გაგრძელება)

...მთელ ჩვენს მმართველობითს საქმიანობაში უნდა ვესწრაფოდეთ ...ოს შესაბამისად თვალსაწიერ მერმისთან; ჩვენ სრულად ...ნდა დავეუფლოთ პარტიული განვითარების ხელოვნებას.

...ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, იდეოლ...ოგიური და იურიდიული გადაწყვეტილებების თითოეულ პროტ...ოკოლთან უნდა ასლდეს საპრაწყნორო ცნობა, რომელიც ასევე ასახავს ...ოკომუნისტების, პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების აზრებს მოვლენათა მოსალოდნელი მიმდინარეობისა და ყოველ ...ეზე გადაწყვეტილებათა რეალიზაციის შესაძლო შედეგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ძალზე საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ხელ...ძღვანელი კადრების პროგნოზული აზროვნების გაძლიერება.

ასეთი აზროვნება პარტიული, სახელმწიფო მართვის ატრიბუტი ...ოა. ამას უნდა ვეუფლებოდეთ მტკიცედ, ვსწავლობდეთ სპეციალურად, ვინაიდან ეს მეცნიერებაა. ჩვენ გარკვეული იმედს ვამ...ყებთ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტზე, რომელიც მოვალეა თავის საქმიანობაში მთავარი ყურადღება დაუთმოს იმას, რომ ...ოველ ხელმძღვანელებს განვითარებინონ მოვლენები, იწინასწარმეტყველონ ამები, პერსპექტიულად მართონ პროცესები.

...ბიზოგადოებრივი წარმოების განვითარებაში ჩვენი წინსვლის ...�ობაზე სულ უფრო მეტ როლს შეასრულებენ სუბიექტური ფა...ქტორები — ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებითი სჯა-ბაასი გვქონდა ...ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმზე. დღეს ჩვენ კიდევ ერთ...ელ შეგახსენებთ ამას, ვინაიდან სწორედ სუბიექტური ფაქტორები ...ასახება მომავალი ამოცანების წარმატებით შესრულების ძირითად ...ერეფერებად.

...ამ დებულებას კარგად ადასტურებს აგრეთვე რესპუბლიკაში ...ოდინარე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სოციალურ-მმართველ...ობითი ექსპერიმენტები.

...ასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ორგანიზაციული ფო...ების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისას გათვალ...ისწინებული იყო მართვაში რაიონული რგოლის როლის ამაღლება. ...განმტკიცებისა და გაძლიერების ამოცანა წყდებოდა მართვის ...ეველაზე დეცენტრალიზაციის ხარჯზე, აგრეთვე თვით რაიონუ...ლ რგოლის სტრუქტურის შეცვლის, მისი ამოცანების, უფლებ...ებისა და ფუნქციების გაფართოების გზით.

...ეს არსებითად, მართვის დემოკრატიული ფორმაა, ვინაიდან, ...ერთი, გაერთიანებაში შემავალი პარტნიორი ორგანიზაციები ...დემოკრატიული პრინციპებით მონაწილეობენ მართვაში, მეორე კი, ...ეველაზეყოფენ მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების ფა...ართოდ ჩაბმას მართვა-გამგეობაში.

...ეძლება ითქვას, რომ დემოკრატია საზოგადოებრივი წარმოე...ბის ინტენსიფიკაციის მასტიმულირებელი ფაქტორია, ხოლო ეკონო...მია, რომელიც მტკიცედ ვითარდება, დემოკრატიულ განვითარებას ...ტიმულირებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სოციალისტური დემოკ...რატია სხვა არა არის რა, თუ არა ეკონომიკის მდგომარეობისათვის ...სოციალური პასუხისმგებლობის სისტემა.

...საიუმლო როდია, რომ ჯერჯერობით ყველა კომუნისტი, მშრომელი არ არის ჩაბმული მართვის პროცესში. საჭიროა პარტიულმა, სახელმწიფო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა მტკიცედ და გეგმაზომიერად იღვაწონ თითოეული ადამიანის აქტიურობის შემდგომი ამაღლებისათვის, გადაჭრით ებრძოლონ ყველაფერს, რაც აბრკოლებს მშრომელთა ჩაბმას მართვაში.

...ამ თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბოროტება იყო ...არის ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი. მათი გამოვლინებანი ნაირგვარია, მაგრამ ყველა ამ გამოვლინების მიღმა იმალება თანამდებობის პირთა პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი პასუხისმგებლობის მოდუნება, მათი დაბალი პირადი კულტურა, საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფა.

...უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუროკრატიზმი — ეს არის ჩვენი სოციალური მიზნებისა და ღირებულებებისადმი წინააღმდეგობის მეტი-ნაკლებ ალმოფხვრა ორგანულად უკავშირდება საზოგადოების დემოკრატიული ორგანიზაციის განვითარება-გაღრმავებას, მაგრამ ეს ...ულაც არ ნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმი თავისთავად ქრება; ამისათვის სისტემატური მიზანდასახული მუშაობაა საჭირო.

...ცენტრალური კომიტეტის ბიუროომ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღო ...დადგენილება ადმინისტრაციულ ორგანოებში ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. მაგრამ ამ დადგენილების მოთხოვნები არსებითად ყველაზე ვრცელდება. **თითოეული ორგანოს — პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანოს, — ამ ორგანოების თითოეული თანამდებობის პირისა და მუშაკის ამოცანაა კრიტიკულად გაიაზრონ თავიანთი მუშაობა, გამოთქვან თავიანთი დამოკიდებულება ამ პრობლემებისადმი, გამოიტანონ საჭირო პრაქტიკული დასკვნები.**

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინებისადმი დაუმედო დაბრკოლებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ...ამტკიცების, კადრების პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების ეფექტიან საშუალებას წარმოადგენს პარტიულ დოკუმენტებზე ...მაობის გაუმჯობესება.

...მოვალენი ვართ გვახსოვდეს ისიც, რომ ბიუროკრატიზმის უცილ...ებელ თანამგზავრს, მის ნაყოფს წარმოადგენს სოციალიზმისათვის ...ყოველად უცხო მოჩვენებითობა, პარადული აურზაური და თვითრეკლამა. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ კიდევ ხშირად ვაწყდებით ისეთ შემთხვევებს, როცა ამგვარი ბიუროკრატიული აქტიურობის მიღმა იმალება კარიერიზმი, მისწრაფება მეტი წაგლიჯონ საზოგადოებას და სანაცვლოდ არაფერი მისცენ.

ჩვენ თითოეული პარტიული ორგანიზაციისაგან, ყოველი კომუნისტის, კომკავშირელის, თითოეული მშრომელისაგან მოვითხოვთ გადაჭრით ამხილონ ბიუროკრატიული წყლულები, გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივი აზრის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მთელი ძალა.

ამასთან დაკავშირებით მინდა შევეხო და განსაკუთრებით გავმახვილო **კრიტიკა და თვითკრიტიკა, როგორც პარტიული, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. კრიტიკა დიდი ზნეობრივი ღირებულება და ორგანიზაციის პოლიტიკური ჯანმრთელობის ნიშანია.**

...კრიტიკის მდგომარეობასა და სოციალურ პროგრესს შორის პირდაპირი დამოკიდებულება რომ არსებობს, ამაში გვარწმუნებს ...რესპუბლიკური პარტორგანიზაციის გამოცდილება, რომლის საქმიანობა ყრილობებს შორის პერიოდში გამსჭვალული იყო კრიტიკულ სულისკვეთებით, ახასიათებდა თვითკრიტიკული მიდგომა სინამდვილის ყველა მოვლენისადმი, რაც საშუალებას გვაძლევდა გვქონდეს ნაკლოვანებანი, გაგვეშიშვლებინა მათი ფესვები, შეგვეძლებინა შეცდომებისა და ხარვეზების დაძლევის პოზიტიური პროგრამა.

...საქმისადმი ასეთმა მიდგომამ ჩვენ მეათე ხუთწლედში გარკვეული წარმატებანი მოგვიტანა.

...მაგრამ ეს წარმატებანი აბსოლუტური არ არის, ვინაიდან ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს. დიახ, ჩვენ მტკიცე ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ნეგატიურ მოვლენებს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ბრძოლა უკვე დამთავრებულია. ჩვენ ახლა უკეთ ვაკმაყოფილებთ ხალხის მოთხოვნებს, მაგრამ არც ეს ნიშნავს, რომ ყველა კოლექტივშია შექმნილი ოპტიმალური პირობები თითოეული ადამიანის შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენისათვის. ჩვენ შეგვძელით დაგვლაშქრა მეათე ხუთწლეულის უძნელესი მოჯნები, მაგრამ არც ეს ნიშნავს, რომ მთელი ჩვენი შესაძლებლობები და რეზერვები გამოვიყენეთ.

...კომუნისტებს სავსებით სამართლიანად მიაჩნიათ, რომ რაც შეიძლება მალე უნდა შეიქმნას ყველა კრიტიკული შენიშვნის აღრიცხვა და ანალიზის სისტემა, მათზე ეფექტიანი რეაგირების სისტემა. თითოეული შენიშვნა, სადაც უნდა გამოითქვას იგი, უნდა მისდიოდეს აღრესატს, ისევე როგორც ამ შენიშვნის გამო განხორციელებული ღონისძიებათა ინფორმაცია — ავტორს.

ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რომ მუშაობაში შეიძლება იყოს ჩაციმდნები, ხარვეზები, შეცდომები. მაგრამ მთავარია არ გავიმეოროთ ისინი, გამოვიტანოთ სწორი დასკვნები კრიტიკიდან. **პირველი და მთავარი დასკვნა ის არის, რომ არასოდეს არ მოვიხიბლოთ მიღწეულით, არ დავჯერდეთ მას; ეს კი საქმისადმი თვითკრიტიკული დამოკიდებულების მაგალითი გახლავთ.** რაღა დასამალია, და ზოგიერთ ხელმძღვანელს მეათე ხუთწლედის წარმატებებმა მოუდუნა კრიტიკული დამოკიდებულება მიღწეულისადმი, წარმოშვა ერთგვარი ობიექტობის სინდრომი.

ჩვენ გვიხდება გადაჭრით აღვაკვეთოთ ხოლმე კრიტიკის ჩახშობის ფაქტები, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება. ამ საკითხში ცენტრალური კომიტეტის პოზიცია ყველასთვის ნათელია: **კრიტიკის ჩახშობა ჩვენ მიგვაჩნია პოლიტიკური და სოციალური საბოტაჟის რანგის ბოროტებად, რომელიც წარმოშობს მოქალაქეთა ინდიფერენტულობას, აფერხებს ჩვენს წინსვლა-განვითარებას,** კრიტიკის ჩახშობის პირობებში ხომ ჩვენი იდეოლოგიური კონცეფციები გაჭირვებით იკვალავს გზას მასებში, ხოლო ხელმძღვანელ ორგანოებს ესმობათ მათთვის ესოდენ საჭირო „უკუკავშირი“.

...კრიტიკული მსჯელობა გამოხატავს შეურიგებლობას ჩვენს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისადმი. სწორედ ამიტომ, საზოგადოებრივ კრიტიკას ზნეობრივი დასაბუთება და გამართლება აქვს. სწორედ ამიტომ, უნდა შეგვეძლოს აღმოვფხვრათ ყველა ის მიზეზი, რომლებიც აბრკოლებს კრიტიკის როგორც სოციალური პროგრესის სტიმულატორის მოქმედებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს არა მარტო გადაწყვეტილებათა შემუშავების დემოკრატიულ მეთოდებს, არამედ აგრეთვე შემუშავებული გეზის განხორციელებასაც, ისევე როგორც ამ განხორციელებისათვის პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება პერსონალურ პასუხისმგებლობას, აქ ყველაფერი ნათელია — თითოეული პასუხს უნდა აგებდეს თავისი უბნისათვის, დაკისრებული საქმისათვის. მაგრამ, ეტყობა, საჭიროა ვიფიქროთ კოლექტიური პასუხისმგებლობის როლის ამაღლებაზეც იმ პრინციპიდან გამომდინარე, რომ თუ „საერთო საქმეს ვაკეთებთ — პასუხისმგებლობაც საერთო უნდა იყოს!“. **კოლექტიური პასუხისმგებლობა — ეს არის პასუხისმგებლობის უმაღლესი ფორმა.**

სამწუხაროდ, ზჩირად ასე ხდება ხოლმე: ადამიანები გვერდიგვერდ, ერთ კოლეგიურ ორგანოში მუშაობენ, საერთო ამოცანებს წყვეტენ, მაგრამ თუ საქმის ჩავარდნისათვის პასუხის გაცემა უხდებათ, ერთნი სრულად აგებენ პასუხს, მეორენი კი განზე რჩებიან. ჩანს, ასეთ შემთხვევებში უფრო იამადად უნდა მივცეთ მკაცრი შეფასება ამ ორგანოების თითოეულ წევრს და ამით აღამაღლოთ კოლექტიური პასუხისმგებლობა.

რა თქმა უნდა, საჭიროა მოვკიდოთ **პირველ პირებს, მაშ,** რისი ხელმძღვანელები არიან, მაგრამ ამასთანავე **უნდა მოვკითხოთ** იმათაც, ვისაც ბრალი მიუძღვის გამოვლენილ **დარღვევა-ნაკლოვანებებში.**

მინდა მოგახსენოთ ყრილობებს **შორის** პერიოდში გაწეული ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის კიდევ ერთი ნიშნის შესახებ. თუ მოკლედ ვიტყვით, სამე ეხება რესპუბლიკის პარტიული კომიტეტების მიერ დასახული საბოლოო შედეგების მისაღწევად მუშაობის ყველაზე ეფექტიანი ფორმებისა **და** მეთოდების აქტიურ ძიებას.

როცა აქტუალური სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების მიზანდასახულ საქმით განხილვას აწყობდა და შემდეგ მას ადამიანებთან ინდივიდუალური მუშაობით განამტკიცებდა, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, სხვა პარტიული კომიტეტები უნარიანად იღვწოდნენ ამ ამოცანების შემდგომი განხორციელებისათვის თითოეული კომუნისტის პასუხისმგებლობის ასამაღლებლად. ამ საქმიანობის ერთერთ მთავარ შედეგად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პრაქტიკულად ყველა შრომითი კოლექტივი ჩაება აქტიურ ბრძოლაში რესპუბლიკის დედაქალაქის გადაქცევისათვის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად.

საქმისადმი მოფიქრებულ გეგმაზომიერ მიდგომასთან შეხამებით ინიციატივიანობის მაღალი დონე ახასიათებს პარტიის ქუთაისისა და ფოთის საქალაქო კომიტეტების მუშაობას. საკითხთა გადაწყვეტისას ისინი ნიადაგ ეყრდნობიან მასების შემოქმედებით შობილ გამოცდილებას, ფართო წრის სპეციალისტთა რეკომენდაციებს.

პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან კავშირურთიერთობის ფორმებში, პარტიულ აქტივთან საინფორმაციო და მეთოდიკური მუშაობის დაყენებაში ბევრ სიახლეს ვხედავთ პარტიის აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების, რუსთავის საქალაქო, აბაშის, სიღნაღის რაიონული კომიტეტების საქმიანობაში.

პარტიის თელავის რაიკომმა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა პრაქტიკაში თამამი დანერგვის მაგალითი გვიჩვენა. მოქმედი მართვის ავტომატიზებული სისტემა „რთველი“ — ეს ხომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგის — მევენახეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეცნიერული ორგანიზაციისა და წარმოების მეცნიერული ორგანიზაციის შეხამების ნიმუშია.

ეს და ბევრი სხვა ზემოთ დასახელებული მაგალითი მოწმობს, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები სერიოზულად, შემოქმედებითად ეკიდებიან თავიანთი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების გამდიდრებას. პარტიული მუშაობის სტილში კარგად ეხამება ერთმანეთს ობიექტურობა და საქმიანი მიდგომა, მაღალი მომთხოვნელობა და პრინციპულობა.

სწორედ ეს ნიშნები განსაზღვრავს პარტიის რგოლებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სტილს. ამასთან იმ ეტაპების შესაბამისად, რომლებსაც თავის განვითარებაში გადის რესპუბლიკის პარტორგანიზაცია, წლითიწლობით იცვლება პარტიული კომიტეტებისადმი მომთხოვნელობის ხასიათი და შინაარსი.

ჩვენ ვისწრაფვით არ გამოგვრჩეს ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებისაგან არავითარი გადახრა, მათ შორის უმნიშვნელოა კი, უყურადღებოდ არ დაგვრჩეს მუშაობის ფორმებისა და მეთოდების არასწორი შერჩევა, და ამის შესახებ აშკარად, საჯაროდ ვლაპარაკობთ. ალბათ, ამხანაგებს ახსოვთ, რომ ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე სხვადასხვა დროს გავაკრიტიკეთ პარტიის კასპის, ქარელის, ქალაქ თბილისის 26 კომისრის რაიკომები.

პოლიტიკური მუშაობის წმინდა სამეურნეო საქმიანობით შეცვლის გამო გავაკრიტიკეთ წითელწყაროს, თეთრი წყაროს რაიკომები; ფორმალიზმის გამოჩენისა და მშრომელთა საჭიროებების უგულებელყოფისათვის — თიანეთის, წულუკიძის, წალკის რაიკომები; დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში არათანამიმდევრულობისათვის — ცხინვალის საქალაქო კომიტეტი, ბოგდანოვკის, ცაგერის რაიკომები.

განსაკუთრებით უნდა ითქვას პარტიის ამბროლაურისა და ვანის რაიკომების შესახებ. ამ პარტიული კომიტეტების წინანდელი ხელმძღვანელობა ხშირად უშვებდა შეცდომებს, გადახრებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებში დამკვიდრებული მუშაობის სტილისაგან. ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთგზის მიუთითა მათ, მისცა კონკრეტული რჩევა-დარიგებანი, ეხმარებოდა ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში. მაგრამ ამხანაგებმა მაინც ვერ შეძლეს გარდაექმნათ მუშაობა, გამოეტანათ სწორი დასკვნები კრიტიკიდან. ჩვენც იძულებული გავხდით მიგვემართა მკაცრი ორგანიზაციული ღონისძიებებისათვის.

უკვე დადგა დრო, როცა პარტიული ორგანოს საქმიანობის შეფასების კრიტერიუმი ხდება არა მარტო საბოლოო შედეგები, არამედ ისიც, თუ რა ხერხებით, რა საშუალებებით აღწევენ ამ შედეგებს. ჩვენ გვინდა, რომ ყოველ პარტიულ კომიტეტს ვხედავდეთ რეგიონის მთელი სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების მართვის კარგად მოგვარებულ პოლიტიკურ ცენტრად, ზუსტად აწყობილ და მოქმედ სისტემად.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პარტიული კომიტეტის ხელმძღვანელობის, უწინარეს ყოვლისა — მისი პირველი მდივნის როლს. ძნელია ჩამოთვალო ყველა ის თვისება, რომლებიც ამ კატეგორიის მუშაკებს მოეთხოვებათ. და მაინც, მოკვამულ ეტაპზე ყველაზე მთავარია უხამებდე მაღალ კომპეტენტურობას სხვათა კომპეტენტური მუშაობის ორგანიზაციის უნარს, უხამებდე მაღალ პასუხისმგებლობას კრისტალურ პატიოსნებას, მორალურ სისპეტაკეს, სულიერ სიწმინდეს, თავმდაბლობასა და მისაწვდომობას,

ყრილობებს შორის პერიოდში ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და სამდივნოს სხდომებზე სისტემატურად განვიხილავდით პარტიის რაიკომების, საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების, საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეების, მინისტრების, მათი მოადგილეებისა და სხვა ხელმძღვანელების მუშაობის სტილის სრულყოფის საკითხებს; ვაანალიზებდით კოლეგიური ორგანოების — პარტიული კომიტეტების ბიუროების, სამინისტროებისა და უწყებების კოლეგიების, პირველად პარტორგანიზაციათა კრებების მუშაობის სტილს და ა. შ. გარდა ამისა, ვაანალიზებდით ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, სამდივნოს, ბიუროს წევრების მუშაობის სტილს, ვაწყობდით უდღისწესრიგო სხდომებს.

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ცენტრალური კომიტეტს 23 პლენუმი და რესპუბლიკის პარტიული და პარტიულ-სამეურნეო აქტივის 21 კრება. პლენუმები გახდა ჭეშმარიტად საეტაპო ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა კარდინალური პრობლემების გადაჭრას და განსაზღვრავდა ჩვენს მთავარ ხაზს. ამას ხელს უწყობს როგორც განსახილველი საკითხების შესწავლისა და მომზადების დამკვიდრებული პრაქტიკა, ისე თვით მათი განხილვის ატმოსფერო.

მაგრამ ეს უკვე აღარ კმარა. საჭიროა, ცენტრალური კომიტეტის წევრები, ეს კი თანაბრად ეხება ადგილობრივი პარტიული კომიტეტების წევრებსაც, ახორციელებდნენ თავიანთ ფუნქციებს არა პლენუმიდან პლენუმამდე, არა ღონისძიებიდან ღონისძიებამდე, არამედ მუდმივად, ყოველდღიურად სწავლობდნენ საქმის ვითარებას, ადამიანთა განწყობილებას, საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს, ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს, აზოგადებდნენ ყოველივე ამას და შემოჰქონდეთ ცენტრალურ კომიტეტში, საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებში თავიანთი წინადადებები.

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს პარტიის ახალციხის, სამტრედიის, ზუგდიდის, მარნეულის, ხობის, ცხაკაიას, საგარეჯოს, ხაშურის, თელავის, ლენტეხისა და სხვა რაიკომების საქმიანობა.

პარტიული ორგანოების მუშაობის სტილის ზემოხსენებულმა ნიშნებმა ჩვენ შესაძლებლობა მოგვცა რეალურად ჩაგვება მართვაში ადამიანთა დიდი მასები, გაგვემდიდრებინა ისინი კოლექტიური გამოცდილებით, ცოდნით, საინტერესო აზრებით. **პარტიულ ორგანიზაციებს მუდამ უნდა ახსოვდეთ, რომ უშუალო მონაწილეობა მასების აქტიურობის, მათი მაღალი შეგნებისა და პასუხისმგებლობის პირველი უცილობელი პირობაა.**

ჩვენ ვწყვეტდით და კვლავაც ვადავწყვეტთ ადამიანებისათვის წილნაყარობის გრძნობის გამომუშავების პრობლემას, თანაც მისი ყველა ასპექტით: წილნაყარობისა პოლიტიკის განსაზღვრისადმი, წილნაყარობისა მისი განხორციელებისათვის პასუხისმგებლობისადმი და წილნაყარობისა, უფრო სწორად, მონაწილეობისა მის პრაქტიკულ ხორცშესხმაში.

ასე მივუდექით ჩვენი ყრილობის მომზადების საკითხს. მხედველობაში მაქვს სამუშაო ჯგუფების მონაწილე ყველა დელეგატის მონაწილეობა ჩვენი საქმიანობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებებზე ყრილობის რეკომენდაციათა შემუშავებაში. პრაქტიკულად თითოეულ დელეგატს მიეცემა შესაძლებლობა გამოთქვას თავისი აზრი, გამოთქვას თავისი სატკივარ-საფიქრალი.

ამხანაგებო!

ორგანიზაციულ-პარტიულ მუშაობაში ჩვენი ძირითადი ამოცანა იყო და კვლავაც არის კადრებთან მოელი მუშაობის გაუმჯობესება. ყრილობებს შორის პერიოდში ჩვენ შევძელით შეგვექმნა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლების გარკვეული სისტემა. საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის მითითებათა შესაბამისად ჩვენ აქტიურად ვნერგავთ მუშაობის პრაქტიკაში ხელმძღვანელი კადრების იკარგანიზების შეფასებას პარტიული ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების აზრის გათვალისწინებით.

საკადრო პოლიტიკის განხორციელებისას პარტიული ორგანიზაცია დიდი ყურადღებით ითვალისწინებს მოსახლეობის მრავალეროვნულობის ფაქტორს, ცდილობს გაზარდოს და ხელმძღვანელ საშუშაოზე დააწინაუროს რესპუბლიკის მოსახლე ყველა ერისა და ხალხის წარმომადგენელი კადრები. აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული და სხვა ეროვნების ბევრი წარმომადგენელი დავაწინაურეთ უკანასკნელ ხანს პასუხსაგებ სამუშაოზე რესპუბლიკურ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში. რესპუბლიკის მრავალეროვნულობის ფაქტორს ზუსტად ვითვალისწინებთ აგრეთვე კადრების მომზადება-გადამზადების სფეროშიც. ანალოგიური დადებითი პროცესები მიმდინარეობს აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიულ ორგანიზაციებში, ჩვენს საქალაქო და რაიონულ რგოლებში.

ამხანაგებმა ბ. ვ. აღლეფმა, ვ. რ. პაპუნიძის, ფ. ს. სანაკოევის არჩევას ცენტრალური კომიტეტის ბიუროს შემადგენლობაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რამაც აამაღლა საოლქო პარტორგანიზაციათა ავტორიტეტი. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა აღნიშნული ამხანაგებისათვის კარგი სკოლაა, მაგრამ, მეორე მხრივ, ჩვენ უფლება გვაქვს მოვთხოვოთ მათ, რომ ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების ცოდნის საფუძველზე უფრო ეფექტიანად ეხმარებოდნენ ცენტრალურ კომიტეტს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

კადრებთან მუშაობის სრულყოფის ძალზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმი, რომელზეც სერიოზული, საქმიანი და დაინტერესებული სჯა-ბაასი გაიმართა ჩვენი საკადრო პრობლემების შესახებ.

ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურაში გადიდდა უმაღლესი განათლების მუშაკთა, ინჟინერთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა, იურისტთა, ეკონომისტთა რაოდენობა. მატულობს პარტიულ-პოლიტიკური განათლების მქონე პირთა რიცხვი. დღეს ცენტრალური კომიტეტის ნომენკლატურის კადრებს შორის 6 პროცენტს შეადგენენ მეცნიერებათა დოქტორები, 12 პროცენტზე მეტს — კანდიდატები. პარტიის რაიონული, საქალაქო, საოლქო კომიტეტების მდივნებს შორის უფრო მეტნი გახდნენ ინჟინრები, ეკონომისტები, ქალები.

უკეთ წყდება გამოცდილი და ახალგაზრდა კადრების შეხამების პრობლემა. ცენტრალური კომიტეტის ყოველი მესამე ნომენკლატურული მუშაკი 40 წელზე ახალგაზრდაა, თანამდებობათა ორი მესამედი უკავიათ 50 წლამდე ასაკის მუშაკებს. ახლანდელ პერიოდს ახასიათებს კადრების სტაბილურობა.

ჩვენი განსაკუთრებული საზრუნავია კადრების რეზერვი. უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებად დაწინაურებულია 100-ზე მეტი კაცი. მათგან ნახევარზე მეტს რეზერვის კანდიდატები შეადგენენ.

შევძელით თუ არა ჩვენ ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმის მოთხოვნების შესაბამისად შეგვექმნა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის ეფექტიანი სისტემა, შევძელით თუ არა ჩვენ, პარტიულმა ორგანოებმა, ნიადაგ გვედევნებინა თვალ-ყური კადრების პროფესიული ზრდისათვის და აქტიური გავლენა მოგვეხდინა მათს ზრდაზე, ვამჩნევთ თუ არა ჩვენ მათს ნაკლოვანებებს, დროულად და ეფექტიანად ვუწყობთ თუ არა ხელს მათს აღმოფხვრას, და ბოლოს, როგორ ვართმევთ თავს კადრების პერსპექტივის განსაზღვრას, როგორ ვუქვემდებარებთ ამის გათვალისწინებით ლოგიკას თითოეულ საკადრო გადაადგილებას?

გარკვეულწილად — შევძელით. ჩვენ ღირსეულად უნდა შევაფასოთ ის დიდი წვლილი, მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში რომ შეიტანეს ჩვენმა ხელმძღვანელმა კადრებმა. ეს ჩვენთვის ძნელი, დაძაბული წლები იყო, ვაწყდებოდით შეცდომებსაც და გარკვეულ გადახრებსაც. ეტყობა, ისინი გარდაუვალია, როცა მიმდინარეობს მწვავე და პრინციპული ბრძოლა, რომლის დროსაც ერთბაშად ვერ მიაგნებ ხოლმე საჭირო გადაწყვეტას. და ჩვენი მხრივ, შეიძლება მკაცრიც იყო ზოგიერთი ხელმძღვანელის შეფასება, რადგან ამას უკარნახებდა საერთო საქმის, ადამიანთა აღზრდის ინტერესები.

დღეს ჩვენ ყველაზე გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ სამინისტროებისა და უწყებების, ტრესტებისა და სამმართველოების ხელმძღვანელებს, გაერთიანებებისა და საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ხელმძღვანელებს, სამეცნიერო, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, კულტურისა და განათლების დაწესებულებების, მომსახურების სფეროს საწარმოთა დირექტორებს, იდეოლოგიური ქვეგანყოფებისა და შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელებს. ყველას რა ჩამოთვლის! თქვენ პირნათლად ჩაბარეთ სიმწიფის რთული გამოცდა და ღირსეულად გაარღვიეთ თავი სერიოზულ განსაცდელს.

და მაინც, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის სრულყოფის გზაზე ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯებია გადადგმული. პრობლემები, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმმა დააყენა, მეტ სისტემურობასა და სიმტკიცეს მოითხოვს თავიანთ პრაქტიკულ გადაწყვეტაში.

ჩვენ ვხედავთ, რომ ვერ არის სრულყოფილი კადრებთან მუშაობის სტრუქტურულ-ორგანიზაციული ფორმები. მხედველობაში გვაქვს, რომ ეს მუშაობა საკმარისად არ არის კოორდინირებული ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს შორის, უწყებებს შორის.

რაკი ამაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა ვუსურვო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრს, ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგეს ამხ. ს. ე. ხაბიეშვილს, რომ იგი მეტს მუშაობდეს კადრების მომზადება-გადამზადების ნაწილში მაკოორდინირებელი ფუნქციების განსახორციელებლად, ხელს უწყობდეს მეთოდოლოგიური რეკომენდაციების შემუშავებას ჩვენი თავისებურებების გათვალისწინებით. უფრო მჭიდრო კონტაქტები უნდა დაამყაროს პირველადს პარტორგანიზაციებთან, უფრო ღრმად უნდა ახდენდეს გავლენას ადგილობრივი პარტიული ორგანოების მუშაობის სტილის სრულყოფაზე, უკეთ იყენებდეს ადამიანთა შესწავლის საშუალებების მთელ არსენალს, მით უმეტეს, რომ განყოფილება, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, საერთოდ ინიციატივიანად მუშაობს და საამისო რეზერვიც აქვს.

გადასაწყვეტ ამოცანებს შორის ჩვენ განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობდით და დავუთმობთ კადრების იდეურ-თეორიული დონის სრულყოფას და საჭმიანი კვალიფიკაციის ამაღლებას.

ამასთან დაკავშირებით კვლავ მინდა დავუბრუნდე ცენტრალური კომიტეტის XVII პლენუმს, სადაც მწვავედ გავაკრიტიკეთ რესპუბლიკაში არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, აღვნიშნეთ მისი უეფექტობა, ფორმალიზმი, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სისუსტე. პლენუმზე ჩვენ კომუნისტებს მოვახსენეთ, რომ რესპუბლიკაში შეიქმნა სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი, რომელიც მოწოდებულია ამაღლებდეს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციას მართვისა და დაგეგმვის დარგში.

ინსტიტუტი უკვე მოქმედებს. გაიმართა მისი პირველი გამოშვება. XVII პლენუმზე წამოყენებულ იქნა მთლიანად რესპუბლიკაში კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ერთიანი სისტემის შექმნის საქმა.

პლენუმის მითითებათა შესაბამისად ცენტრალურმა კომიტეტმა შექმნა კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საკოორდინაციო საბჭო — მთლიანად კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის მაორგანიზებელი და მაკოორდინირებელი რგოლი.

კადრების აღზრდაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კონტროლისა და შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია. ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაპყრო ყველა იმ კომ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა

(დასასრული)

ამხანაგო დელეგატებო!

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ჩვენ შეეცადეთ მოგვეცა ჩვენი მიღწევების დაწვრილებითი ანალიზი, გაგვეშუქებინა და გაგვეანალიზებინა სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი ტენდენციები, განგვეზოგადებინა პარტიული ხელმძღვანელობის გამოცდილება, გვემხილებინა ჩვენში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებანი, წარმოგვედგინა სოციალისტური ცხოვრების წესისათვის ყოველივე უცხოს ლიკვიდაციის, წინათ დაშვებული შეცდომებისა და ხარვეზების გამოსწორების პროგრამა.

დელეგატების გამოსვლები უდავოდ დაუმტკიცებენ რესპუბლიკის ყველა კომუნისტს, თუ რაოდენ საჭიროა, რომ ყრილობაზე ნამდვილად ბატონობდეს, იმარჯვებდეს დემოკრატიზმის იდეები, იგრძნობოდეს თითოეული დელეგატის მაღალი აქტიურობა, ორგანიზებულობა და დისციპლინა.

სწორედ თქვენზეა, ამხანაგო დელეგატებო, დამოკიდებული ყრილობაზე უშმარტად ლენინური საქმიანი მიდგომის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნა. ჩვენ დელეგატებისაგან მოველოთ არა მაღალფარდოვან ფრაზებს, პარადულობასა და ზარზეიმს, არამედ კონსტრუქციულ აზრებსა და მოსაზრებებს, კონკრეტულ წინადადებებს.

და თუ შევძელით მიგვეღწია ყრილობის მუშაობაში ასეთი ატმოსფეროს, ასეთი ვითარების შექმნა, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა ყრილობამ დაამკვიდრა ყოველივე პოზიტიური, ყოველივე პროგრესული, რაც კი რამ შეგვიძენია უკანასკნელი წლების მანძილზე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყრილობამ დააკანონა მთავარი, ძირითადი ტენდენციები, რომლებიც აი უკვე რამდენიმე წელია ყალიბდება ჩვენს პარტიულ ორგანიზაციაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს ხელმძღვანელობით.

ამხანაგო დელეგატებო!

თქვენ, ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ მოხსენებაში ჯერ არ შევხებივართ ახალგაზრდობის, კომკავშირის პრობლემებს. ეს საკითხები არ ყოფილა იმ განყოფილებაში, სადაც ტრადიციულად არის ხოლმე. და ეს შემთხვევითი არ გახლავთ, ვინაიდან, როცა ვამბობთ, ახალგაზრდობა ჩვენი მომავალიაო, ამ ფორმულას ერმა აზრს ვაქსოვთ.

ჩვენი ცხოვრების დიალექტიკა, ისტორიის აზრი ისეთია, რომ აწმყო ყოველთვის მერმისისაკენ არის მიმართული. მერმისი კი მუდამ აწმყოში იწყება.

კომუნისტური მშენებლობის მოწინავე მიჯნებზე უფროს ამხანაგებთან ერთად არის საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობა. ძნელია გადაჭარბებით შეაფასო კომკავშირის როლი, რომელიც პარტიის საიმედო რეზერვი ჩვენს სამეურნეო, კულტურულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საქართველოს კომკავშირის დამსახურება ღირსეულად შეაფასა პარტიამ. საქართველოს 800-ათასიანი კომკავშირი ლენინის ორდენით დაჯილდოდა. ჩვენი ყრილობა მხურვალედ ულოცავს რესპუბლიკის კომკავშირს მთავრობის მაღალ ჯილდოს და უსურვებს მას ახალ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში. 70-იანი წლების დამდეგს კომპარტიამ წამოაყენა ლოზუნგი — „პირით — ახალგაზრდობისაკენ!". ეს მოწოდება ლიტონ ლოზუნგად არ დარჩენილა. იგი განსაზღვრავდა ახალგაზრდობას შორის პარტიული მუშაობის ძირითად მიმართულებას. ასე იყო და ასე იქნება.

ჩვენი რესპუბლიკა ახალგაზრდაა. რესპუბლიკის მოსახლეობის ნახევარს ახალგაზრდები შეადგენენ.

რესპუბლიკის კომკავშირმა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საფუძვლად დააყენა პრინციპი: „თითოეულისაგან — პერსონალური პასუხისმგებლობის მაქსიმუმი, თითოეულს — კომკავშირული მზრუნველობისა და ყურადღების მაქსიმუმი!". ჩვენ, კომუნისტებს, გვახარებს, რომ უკანასკნელ წლებში მოპოვებული ბევრი კონკრეტული წარმატების მიუხედავად საქართველოს კომკავშირი არ დასჯერებია მიღწეულს, აქტიურად იბრძვის ნაკლოვანებების წინააღმდეგ, ყოველგვარი ნეგატიური მოვლენის, აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული ფორმალიზმის წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიას ნიადაგ ასაზრდოებდა კომკავშირი ახალი ძალებით. XXV ყრილობის შემდეგ განვლილ წლებში პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე დაწინაურებულია რვაასზე მეტი კომკავშირული მუშაკი. ხელმძღვანელი კომკავშირული კადრებისა და აქტივის აღზრდის საქმეს მნიშვნელოვანწილად შეიწყო ხელი შესანიშნავი კომკავშირული ქალაქის ბორის ძნელაძის შექმნამ.

საჭიროა კომკავშირმა დაამკვიდროს ყოველივე ძვირფასი, გაამდიდროს მუშაობა ახალი ფორმებით, რომლებიც მთლიანად შეესაბამება ახალგაზრდობის სულ უფრო მზარდ ინიციატივებსა და ენთუზიაზმს.

მეტ ყურადღებას მოითხოვს პიონერული ორგანიზაცია. დღევანდელი პიონერები, ოქტომბრელები — ესენი XXI საუკუნის მომავალი მოქალაქენი, კომუნისტები არიან. და იმაზე, რანი დადგებიან ისინი, დამოკიდებულია ის, თუ როგორი იქნება ცხოვრება მომავალში. „ყოველივე საუკეთესო —ბავშვებს" —ეს დევიზი უნდა გახდეს ჩვენი ყრილობის ერთ-ერთი განაწესი ყველასათვის. თითოეული საბავშვო ბაღი, ყოველი სკოლა, თითოეული პიონერთა სახლი, სპორტული ნაგებობა, თითოეული საბავშვო სამედიცინო დაწესებულება, ბავშვთა ყოველი ჯანმრთელობისა და დასვენების კერა, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ბავშვებს ეკუთვნის და ბავშვებისათვის არის გათვალისწინებული, საუკეთესო და მხოლოდ საუკეთესო უნდა იყოს. და ყოველივე ეს გარემისილი უნდა იყოს აღზრდის ისეთი ატმოსფეროთი, როცა მომავალ მოქალაქეთა მოქალაქეობრივ ჩამოყალიბებას, უფრო მეტიც, მათი პოლიტიკური სიმწიფის ჩამოყალიბებას ბავშვობის წლებიდანვე უნდა ეყრებოდეს მტკიცე საფუძველი ოჯახში, სკოლაში, საზოგადოებაში.

ამხანაგებო!

80-იანი წლები რესპუბლიკისა და მისი კომკავშირის ისტორიის ახალ ფურცელს შლის.

საბჭოთა ადამიანის მზერას მერმისში მუდამ აცისკროვნებს სოციალური ოპტიმიზმის უჭკნობი შუქი.

დღეს აქ, ამ დარბაზში, გვესწრებიან ყველა რევოლუციური ომების, ოქტომბრის რევოლუციის თაობების, ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის, კულტურული რევოლუციის, სამოქალაქო ომისა და სამამულო ომის, პირველი ომის შემდგომი თაობების წარმომადგენლები, ვეტერანები და ახალგაზრდები, ასე საუკეთოდ განასახიერებენ რევოლუციურ დროთა განუყოფელ კავშირს. ყველანი მოგმართავთ თქვენ, ახალგაზრდა დელეგატებს, ახალგაზრდობას. თქვენ, ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალი ხართ. ჩვენს შემდეგ თქვენ უნდა ატაროთ ლენინის დიადი დროშა, კომუნიზმის დროშა.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ თქვენ იქნებით, ამ დიდი ისტორიული მისიის ღირსნი! შრომით, სწავლით, გმირობით დამტკიცეთ თქვენი საბრძოლო მზადყოფნა კომუნისტური პარტიის მისი, დიდი ლენინის საქმის, ოქტომბრის რევოლუციის საქმის დაცვად დიადი ბრძოლისათვის!

ეს დიდი ბედნიერებაა, ამხანაგებო, იყო ჩვენი ეპოქის თანამედროვე, მისი შემოქმედი, ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების კომუნისტი, კომკავშირელი.

ეჭვი არ არის, რომ საბჭოთა საქართველოს კომუნისტები, ბოლშევიკ-ლენინელ-ოქტომბრელი, ერები და ეროვნებანი, მონოლითურად რომ აერია შეკავშირებულნი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პოლიტბიუროს, მისი მეთაურის — ლენინისა და ოქტომბრის რევოლუციის საქმის ერთგული განმგრძობის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო, რომელიც ერთგულად შეხვდებიან სკკპ XXVI ყრილობას, საბჭოთა საქართველოსა და მისი კომპარტიის 60 წლისთავს, პირნათლად შეასრულებენ მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს წინასწარდასახულობებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

დიდი ლენინის დროშით წინ — კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

(ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში არაერთხელ გაისმოდა ტაში).

ოქტომბრით გაცისკროვნებული გზა

(დასასრული)

ილოკავი, თ. ი. მოსაშვილი, ვ. მ. ოკაუჯავა, მ. შ. ორაგველიძე, ი. ნ. ორჯონიკიძე, ვ. რ. პაპუნიძე, პ. ა. პასკარი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ნ. დ. რუხაძე, შ. ს. სანაკოევი, ნ. რ. საჯაია, ა. ი. სელეზნიოვი, ე. ა. სეხნიაშვილი, ვ. მ. სირაძე, ა. მ. სმირნოვი, ვ. ა. სოგოლევი, ო. ნ. სულაძე, ი. ჯ. უბილავა, ი. გ. უნგიაძე, დ. ლ. ქართველიშვილი, მ. მ. ქაჯაია, ი. ი. ქედიშვილი, ვ. ა. ქოჩიანი, შ. ვ. ყარაყარაშვილი, თ. ა. ყუფუნია, კ. ნ. შავიშვილი, ჟ. კ. შარტავა, ე. ა. შევარდნაძე, გ. ი. შინჯიკაშვილი, ა. ი. შირინკინი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, რ. დ. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ი. გ. ხაზარაძე, მ. ი. ხალდეევი, ე. კ. ხარაძე, ვ. ი. ხარებავა, თ. შ. ხაჩიძე, ს. დ. ხიტროვი, ნ. ა. ჯავახიშვილი, რ. ა. ჯაფარიძე.

სამდივნოს შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები ა. ვ. ბურჯანაძე, ნ. ს. ბუჯუკური, გ. ი. გუნავა, გ. ბ. კოგანიძე, თ. ვ. ლაშქარაშვილი, ბ. ზ. მაქაშვილი, ლ. ი. მგალობლიშვილი, ა. ო. მოვსესიანი, ვ. ვ. სალტიკოვი, ნ. ვ. სანთელაძე, თ. ი. ხელაშვილი.

სარედაქციო კომისიაში აირჩიეს ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, ა. დ. ალექსიძე, გ. ვ. ბედინეიშვილი, ვ. კ. კირილიუკი, გ. ი. ლეგანიძე, გ. ი. ფედერიაკოვი, ნ. ა. ფოფხაძე, ვ. ი. ქაროშიძე, ო. შ. ქაჯაია, ნ. ბ. ჩერქეზიშვილი.

სამანდატო კომისიის შემადგენლობაში აირჩიეს ამხანაგები ბ. ზ. ბარსუკოვი, გ. ი. გუგუშვილი, ნ. ვ. გურგენიძე, დ. დ. დიასამიძე, ც. ვ. თალაკვაძე, ზ. ა. კვაშაძე, ვ. ო. კოგანია, ბ. დ. მაჭარაშვილი, ნ. ა. ოდიშვილი, მ. თ. ჩერედილოვი, გ. ე. ჩიგოგიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, ი. ი. ხუციშვილი.

ტრიბუნაზეა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ამხ. ო. ნ. სულაძე. მას წინადადება შემოაქვს საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის საპატიო პრეზიდიუმში აირჩიონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

ყრილობის დელეგატებმა დიდი აღფრთოვანებით, მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშის გრიალში ერთსულოვნად აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი.

მტკიცდება ყრილობის დღის წესრიგი:

1. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში— მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე.

2. საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. ი. გ. ხაზარაძე.

3. პარტიის XXVI ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი" — მომხსენებელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ა. პაპატარიძე.

4. საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები.

5. სკკპ XXVI ყრილობის დელეგატების არჩევნები.

მტკიცდება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის მუშაობის რეგლამენტი.

თავმჯდომარე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. გ. ვ. კოლბინი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებისათვის სიტყვას ალლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ე. ა. შევარდნაძეს.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის ანგარიში, რომელიც წაიკითხა საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ი. გ. ხაზარაძემ.

ამის შემდეგ დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებების განხილვა.

კამათში გამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე ამხ. შ. ა. ივანიაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ე. კ. ხარაძე.

ყრილობამ მოისმინა და დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება, რომელიც წაიკითხა კომისიის თავმჯდომარემ — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ე. ხაბეიშვილმა.

დელეგატები მჭუხარე ტაშით შეხვდნენ ცნობას, რომ ყრილობისასალმებელი დეპეშები მოუვიდა ყაზახეთის, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის კომუნისტურ პარტიათა ცენტრალური კომიტეტებისაგან, პარტიის მოსკოვისა და სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტებისაგან.

დელეგატებმა ერთსულოვნად მოიწონეს წინადადება, რომ მისალმება გაუგზავნონ სომხეთის კომპარტიის XXVII ყრილობას და მიესალმონ დავეთის კომპარტიის XV ყრილობას, აგრეთვე უზბეკეთის კომპარტიის ყრილობას, რომელიც 23 იანვარს იწყებს მუშაობას.

ყრილობაზე შეიქმნა 15 სამუშაო ჯგუფი.

პლენარული სხდომის შემდეგ გაიმართა ყრილობის სამუშაო ჯგუფების სხდომა. სამუშაო ჯგუფებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ყრილობისადმი ორგანიზაციულ-პარტიული, პოლიტიკურ-იდეოლოგიური და იდეოლოგიური მუშაობის, რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული განვითარების მართვის შემდგომი სრულყოფის საკითხებზე.

ამით დამთავრდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მუშაობის პირველი დღე.

23 იანვარს ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

საერთაშორისო დღესასწაულ ზეიმზე
22 იანვარი

მძევლები მხოლოდ საბაბი იყო

ვაშინგტონი, ირანში „ამერიკელ მძევლებთან დაკავშირებული კრიზისის" გადაწყვეტა არავითარ გავლენას არ მოახდენს პენტაგონის გეგმებზე სპარსეთის ყურის რაიონში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნის შემდგომი გაძლიერების თაობაზე. ამას იუწყებიან ამერიკისა და საზღვარგარეთის სხვა საინფორმაციო სააგენტოები ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტროს წყაროების დამოწმებით.

„ახლო მომავალში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ყოფნა სპარსეთის ყურის რაიონში, მძევლებთან დაკავშირებული კრიზისის მოწესრიგების პიუზედავად, გაგრძელდება", — ხაზგასმით აღნიშნავს პენტაგონის ოფიციალური პირების დამოწმებით რეიტერის სააგენტოს ვაშინგტონელი კორესპონდენტი.

როგორც რეიტერის სააგენტოს ცნობიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ კიდევ მაშინ აპირებდა გაეფართოებინა თავისი სამხედრო ყოფნა ამ რეგიონში, როცა თეირანში ჯაშუშობაში ბრალდებით ჯერ არ იყვნენ დაპატიმრებული ამერიკის საელჩოს თანამშრომლები. ვაშინგტონმა გამოიყენა მძევლთა ხელში ჩაგდება, როგორც შუა აღმოსავლეთში თავისი სამხედრო ძლიერების, უპირველესად ტო გაზრდის საბაბი.

მძიმე მემკვიდრეობა

ვაშინგტონი, ჯერ კიდევ არ მიწყნარებულა „საინაუგურაციო" ზეიმის ხმები, პრესა კი უკვე უწინასწარმეტყველებს ამერიკის შეერთებული შტატების ახალ ადმინისტრაციას მკაცრ დღეებს, ასახელებს ამ მრავალრიცხოვან პრობლემებს, რომლებიც მას მემკვიდრეობად დაუტოვა ჯ. კარტერის მთავრობამ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ხელიროში თავისი ჩავარდნების შედეგად, და რომლებსაც ახლა ხელი უნდა მოჰკიდოს რ. რეიგანის „გუნდმა".

როგორც ყოველკვირეულ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტს" მიაჩნია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა „დასნეულებული ეროვნული ეკონომიკის მდგომარეობა". თუმცა, წერს ყოველკვირეული, ახალ პრეზიდენტს მოუწევს თანამდებობის დაკავებისთანავე ხელი მოკიდოს ეკონომიკას, „რითაც პირველ სერიოზულ გამოცდას ჩაბარებს".

მარიონეტის განცხადება

კაირო, ეგვიპტის პრეზიდენტმა ა. სადათმა კვლავ განაცხადა, რომ უსიტყვოდ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების მილიტარისტულ მზადებას ახლო და შუა აღმოსავლეთში. როგორც გაზეთი „ალ აჰრამი" იუწყება, ასეთნაირ ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა ჯგუფი ეგვიპტეში ჯაშუშობაში ბრალდებით ჯერ არ იყვნენ დაპატიმრებული ამერიკის საელჩოს თანამშრომლები. ვაშინგტონმა გამოიყენა მძევლთა ხელში ჩაგდება, როგორც შუა აღმოსავლეთში თავისი სამხედრო ძლიერების, უპირველესად ტო ზრდის.

საფეხბურთო სეზონის კონტურები

1981 წლის საკავშირო ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის ჯგუფებს შორის დაიწყება 25 მარტს და დამთავრდება 11 ნოემბერს. შეჯიბრება გაიმართება ორ წრედ. გათამაშების კალენდარი შედგენილია ახლებურად: ახლა გუნდი ორ მატჩს საკუთარ მინდორზე გამართავს, მომდევნო ორს — სტუმრად და ა. შ. მონაცვლეობით. სულ უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს 18 კოლექტივი.

საკავშირო თასის გათამაშება დაიწყება 17 თებერვალს 8 ზონაში და შეჯიბრების ეს პირველი ეტაპი დამთავრდება 5 მარტს. ზონებში გუნდები ასე განლაგდნენ:

უფროროდის ზონა — კიევის „დინამო", „აიარათი", „კარპატი", ივანო-ფრანკოვსკის „პრიკარპატიე", „ნისტრუ" და გროდნოს „ბიმიკი"; **სოჩის ზონა** — „შახტიორი", „აუბანი", „ერევანი", „ზაპოროჟიე", „მეტალურგი" და სამტრედიის „ლოკომოტივი"; **ლენინგრადის ზონა (მანეეში)** — „ზენიტი", „ნეფთჩი", სმოლენსკის „ისკრა", ქუთაისის „ტორპედო", ხაბაროვსკის ასკ და ვოროშილოვგრადის „ზარია"; **კისლოვოდსკის ზონა** — „დნეპრი", მინსკის „დინამო", სტავროპოლის „დინამო", ლანჩხუთის „გურია" და ორჯონიკიძის „სპარტაკი"; **მოსკოვის ზონა (მანეეში)** — ცსკა, კიევის ასკ, „ყაზგირისი", მოსკოვის „დინამო", ტოლიატის „ტორპედო" და იაროსლავლის „შინეკი"; **დუშანბეს ზონა** — როსტოვის ასკ, „ფაზთაქორი", „პამირი", ჯოზკის „ბუსტონი", სამარყანდის „დინამო" და პავლოდარის „ტრაქტორი"; **სიმფეროპოლის ზონა** — „ტავრია", „ჩერნომორეცი", ნიკოლოლის „კოლოსი", „ფაკელი", მოსკოვის „ლოკომოტივი" და ბარნაულის „დინამო"; **ერევნის ზონა** — „არარატი", მოსკოვის „ტორპედო", ხარკოვის „ლოკომოტივი", ოდესის ასკ, ვოლგოგრადის „როტორი" და კოსტრომის „სპარტაკი". სოჩისა და კისლოვოდსკის ზონებიდან თითო უძლიერესი გუნდი, ხოლო დანარჩენი ზონებიდან ორ-ორი ნაკეთესო კოლექტივი მერვედფინალურ მატჩებში მიიღებენ მონაწილეობის უფლებას. **მათ შეუერთდებიან მოსკოვის „სპარტაკი" და თბილისის „დინამო", რომლებიც, იმის გამო, რომ ევროპულ ტურნირებში მონაწილეობენ, საკავშირო თასის გათამაშების შერჩევითი ასპარეზობიდან თავისუფლდებიან.** წელისყრის შემდეგ მერვედფინალური მატჩები გაიმართება 12 და 13 მარტს, მეოთხედფინალური—21 და 22 მარტს, ნახევარფინალური შეხვედრები კი შედგება 27 აპრილს. **წინა წლებისაგან განსხვავებით, ფინალური მატჩი გაიმართება 9 მაისს.**

პირველი ჩემპიონატი

— **სპორტული** კარატე არა მარტო ფიზიკური, არამედ ზნეობრივი აღზრდის კარგი სკოლაც არის. ჩვენმა ახალგაზრდობამ შეიყვარა ამ ახალი სახეობის სპორტი, რომელმაც ისე მძლავრად მოიკიდა ფეხი, რომ თბილისის პირველობის შემდეგ საქართველოს პირველ პირად-გუნდურ ჩემპიონატსაც ვმართავთ სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა შორის, — თქვა ამ ასპარეზობის საზეიმო გახსნის დღეს სპორტული კარატეს რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ო. ქინქლაძემ.

თბილისის პირველობის შემდეგ არცთუ უსაფუძვლო შეშფოთება გამოითქვა იმის გამო, რომ ტატამზე ბევრი სპორტსმენი მოუმზადებელი გამოვიდა. ზოგიერთი მონაწილე დაშავდა კიდეც. ამჟამად კი „შრომითი რეზერვების" სპორტულ დარბაზში მრავალრიცხოვანმა მაყურებელმა, თუ ძალზე იშვიათ გამონაკლისს არ ჩავთვლით, იხილა ნამდვილი კარატე — ლამაზი, ტექნიკური, იმპროვიზებული. ეტყობა, საქართველო პირველობას უკვალოდ არ ჩაუვლია. მწვრთნელებს გულმოდგინედ განუზოგადებიათ მისი შედეგები. კარატეს რესპუბლიკურმა ფედერაციამ, საქართველოსა და თბილისის სპორტკომიტეტებმა ყველაფერი იღონეს, რათა პირველი რესპუბლიკური ჩემპიონატი სანმეშოდ ჩატარებულიყო. მათი დამსახურებაა ისიც, რომ ჩემპიონატის მონაწილენი მკაცრად შეარჩიეს. ამიტომაც იყო, რომ ორთაბრძოლები საინტერესოდ მიმდინარეობდა და ტრავმის შემთხვევებიც არ ყოფილა.

აი, ისინიც, საქართველოს პირველი ჩემპიონები სპორტულ კარატეში: სპორტსაზოგადოება „სპარტაკიდან" — გ. ბაკურაძე, გ. სვანიძე, დ. ფოცხიშვილი (მწვრთნელები — ზ. ლეჟავა და თ. რამიშვილი); „ქარიშხალადან" — მ. ფაშაშვილი (მწვრთნელი — გ. ბერიძე), ბ. ინაშვილი (მწვრთნელი — დ. სუხიშვილი); „გამთიაფიდან" — ვ. გაზაევი (მწვრთნელები — მ. წვერავა და შ. ჩიქოვანი); „ლოკომოტივიდან" — ო. გელაძე, ვ. ღონდაძე (მწვრთნელი — გ. ბარბაძე). გუნდურ პირველობაში სპარტაკელებმა გაიმარჯვეს. მეორე ადგილზეა „ქარიშხალა", მესამეზე — „გამთიადი". ფედერაციის პრეზიდენტი საუკეთესო ტექნიკისთვის გადაეცა გ. ბაკურაძეს.

თ. ბაჩეჩილაძე.

სატურნირო ორბიტა

ბადრაკი. ესპანეთის ქალაქ ლინარესში გრძელდება საერთაშორისო შეჯიბრება ვაჟთა შორის.

ოთხი ტურის შემდეგ 3,5 ქულით ლიდერობს ქრისტიანსენი (აშშ)— მომდევნო ადგილებზე არიან ანატოლი კარპოვი (სსრ კავშირი) და რიბლი (უნგრეთი), რომელთაც 3-3 ქულა დააგროვეს.

ჰოლანდიის ქალაქ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრებაში ი ხუთი შეხვედრის შემდეგ ლიდერობს ჩელიაბინსკელი სვეშნიკოვი — 3,5 ქულა.

კალათბურთი. ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ორი მატჩი ასე დამთავრდა: ტაშკენტის „უნივერსიტეტი"-კიევის ასკ — 88:82, ვილნიუსის „სტატბა"-რიგის ვეფი — 81:76. და კიდევ ერთი ცნობა: მეორე წრის სამ დასკვნის მატჩს თბილისის დინამოელები სტუმრად გამართავენ. დაზუსტებული ცნობებით, ამ შეხვედრათა კალენდარი ასეთია: **26 იანვარი.** მინსკის რტი-თბილისის „დინამო", **29 იანვარი.** კაუნასის „ჟალგირისი"-თბილისის „დინამო"; **31 იანვარი.** რიგის ვეფი-თბილისის „დინამო".

მეორე შეხვედრა გადატანილია

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მეორე პარტია ნანა ალექსანდრიასა და ნანა იოსელიანს შორის გადატანილია იმის გამო, რომ პირველი ტაიმ-აუტი აიღო ალექსანდრიამ. პირველი პარტია 23 იანვარს უნდა დამთავრდეს.

ყრილობას უძღვნიან

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ XXVI ყრილობასთან დაკავშირებით რესპუბლიკის გამომცემლობებმა მრავალი წიგნი და ბროშურა მოამზადეს გამოსაცემად.

გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველო"** ხელდამშვენებული შეეგება ყრილობას. სერიით „XXVI ყრილობის შესახვედრად" მან გამოსცა სამი ბროშურა: კ. ივანიძის და დ. მებუკისა — „სკკპ — საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა", რ. გრძელიძისა — „სკკპ ლენინური ეროვნული პოლიტიკა თანამედროვე ეტაპზე" და შ. გულუას მხატვრული ნარკვევების კრებული „სიკეთე ძიებისა". სულ ახლახან გამოვიდა კრებულები: „ვ. ი. ლენინი. სკკპ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის შესახებ", „ვ. ი. ლენინი. სკკპ ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ", სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ჩერნენკოს წიგნი „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები", „საქართველოს კომპარტია ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში" (ტ. IV), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. ყვანიას „ბოლშევიკები და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში".

„პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალური საკითხები" — ამ სახელწოდებით გამოვიდა წიგნი, რომელშიც გაშუქებულია საქართველოს კომპარტიის მუშაობის გამოცდილების სხვადასხვა საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისთვის ბრძოლაში.

„ხალხის შუაგულში" — ეს ჰქვია კრებულს, რომელიც მოამზადა გაზეთ „ზარია ვოსტოკის" რედაქციის კოლექტივმა და რომელშიც განხილულია საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამოცდილება.

„ნაკადულმა" სერიით „კომკავშირელის ბიბლიოთეკა", გამოსცა ემად მოამზადა „ვ. ი. ლენინი. ახალგაზრდობის კავშირების ალგანენი", ვ. ქარუმიძის „კომუნისტური როლი განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში" [illegible] საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის ლ. ხუბულურის „მეორე სიცოცხლე".

ლ. გუგუშვილი.

ტელევიზია

23 იანვარი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია" (მ.), 09.40 — დილის ვარჯიში (მ.), 10.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ძველი მიწა", 10.55— კონცერტი, 11.40 — „60 ჰეროიკული წელი" — ქართული მხატვრული ფილმი „დარიკო", 13.10 — სტუდენტებისათვის უმაღლესი მათემატიკა, 16.55 — რუსული და საბჭოთა მუსიკის რჩეული ფურცლები — ო. თაქთაქიშვილი „რუსთაველის ნაკვალევზე" ორატორია სოლისტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის. ტექსტი ი. აბაშიძისა (მ.), 17.35 — შვეიცარიელი ფრანგული ენა, 18.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.20 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი, 19.05 — საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში: საბჭოთა კავშირისა და შვეიცის ნაკრები გუნდები (მ.), 19.35 — „კინოფანტაზია", 20.00 — „დიადი წიგნის ფურცლები". ფილმი მერვე (მ.), 21.00 — საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დღიური, 22.00 — „ვრემია" (მ.), 22.35 — ქართული საესტრადო მელოდიები, 23.10 — „მოამბე" (ლმის გამოშვება).

მეორე პროგრამა: 17.30 — მოსწავლეთათვის — ფიზიკა, 18.00 — კინონარკვევი, 18.15 — მასწავლებლის საათი — ქიმია, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „წითელი აგიტატორი".

თეატრი

23 იანვარი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ლელეს (მე-19 აბონ. მე-10 წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **რომეულუს დიდი;** აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ღამურა;** კინოსტუდია „ქართული ფილმის" კინომსახიობთა თეატრი — **ლუარსაბ ცხენები ჭითელ ბალახზე;** მეტეხის თეატრი — **ქართული ნოველების სალამო;** მინიატიურების სახელმწიფო — **ბამბარაზვების ღიმილი;** კონსერვატორიის დიდი დარბაზი — **საქართველოს სახელმწიფო დამსახურებული სიმფონიური ორკესტრი.**

„კომუნისტის" დღევანდელი ნომერი ათვალიერდიანია, (მე-5 და მე-6 გვ. ჩანართია).

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

საყრილობო თეატრალური ყფიშა

თანამედროვეობის მაჯისცემა სცენაზე

დღეს ყველაფერი საუკეთესო